№230 (12 300)
29 სექტემბერი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც დავიწყეთ, ისევე დავასრულოთ!

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

30 სექტემბერი. 17:00. D

საფრანგეთი–საქართველო

მარსელი, ველოდრომი

საფ: 15. კლემან პუატრენო 14. ორელიან რუჟრი 13. დავიდ მარტი 12. იანიკ ჟოზიონი 11. ქრისტოფ დომინისი 10. ლიონელ ბოსი 9. პიერ მინიონი; 1. ოლივიე მილუ 2. სებასტიან ბრუნო 3. ჟან-ბატისტ პუ 4. ლიონელ ნალე 5. ჟერომ თიონი 6. სერჟ ბეტსენი (კაპ) 7. იანიკ ნიონგა 8. ჟულიენ ბონერი / 16. დიმიტრი შარჟევსკი 17. ნიკოლა მასი 18. ფაბიენ პელუ 19. რემი მარტენი; 20. ჟან-ბატისტ ელისალდი; 21. დავიდ სკრელა 22. ვენსან კლერი

საქ: 15. ოთარ ბარკალაია 14. ბესიკ ხამაშურიძე 13. რევაზ გიგაური 12. ირაკლი გიორგაძე 11. ოთარ ელოშვილი 10. მერაბ კვირიკაშვილი 9. ირაკლი აბუსერიძე (კაპ); 1. მამუკა მაგრაქველიძე 2. აქსენტი გიორგაძე 3. დავით ზირაქაშვილი 4. ზურაბ მჭედლიშვილი 5. მამუკა გორგოძე 6. ილია მაისურაძე 7. გია ლაბაძე 8. გიორგი ჩხაიძე / 16. ავთანდილ კოპალიანი 17. გოდერძი შველიძე 18. ვიქტორ დიდებულიძე 19. ზვიად მაისურაძე; 20. გიორგი ელიზბარაშვილი; 21. ირაკლი მაჩხანელი 22. მალხაზ ურჯუკაშვილი

მსაჯი: ალან ლუისი (ირლ)

გუშინ, მარსელში. საქართველოს ნაკრების ვარჯიშზე. მარცხნივ, ცენტრში - ირაკლი მაჩხანელი; ქვემოთ - ვიქტორ დიდებულიძე

საკმარისია, ირლანდიამ ქულაც ვერ აილოს არგენტინის წინააღმდეგ და მაშინ საფრანგეთთან დიდი მოგება საქართველოს მეოთხედფინალში ზელანდიას შეახვედრებს. - ასე დაიწყო გუშინ მატჩის წინათქმა ერთ-ერთმა უცხოურმა სააგენტომ. ადვილი სათქმელია - **საკმარისია**, ირლანდიამ ქულა ვერ აილოსო. აღარ გვინდა ეს უადგილო ოცნება. ჩვენც მოგვყავდა ხოლმე ასეთი გაანგარიშებები, მაგრამ მხოლოდ სასიამოვნო განწყობის შესაქმნელად და უკვე მიღწეული წარმატების ხაზგასასმელად.

რა თქმა უნდა, ხვალ საქართველოს ნაკრები თავის მეოთხე და ბოლო მატჩს ითამაშებს ამ მსოფლიო თასზე. ფრანგებს განაღდებული აქვთ მეოთხედფინალში გასვლა. ამის დასაბუთება დიდ ადგილს წაიღებს და სიტყვაზე გვენდეთ. არც 4 ლელო და პრემია სჭირდებათ არაფერში. ფრანგებსაც მხოლოდ თეორიული შანსი აქვთ ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლისა - ვთქვათ და არგენტინა უქულოდ, 7 ქულაზე მეტით დამარცხდა ირლანდიასთან და მაშინ ჩვენთან აღებული ხუთი ქულა მასპინძლებს ჯგუფში პირველობას არგუნებს და მეოთხედფინალში ზელანდიას აცილებს. მაგრამ წარმოუდგენელია, არგენტინა ირლანდიასთან ასე დამარცხდეს და მესამე ადგილზე დარჩეს ჯგუფში. ყველაფერი წყალში გადაყაროს.

მოკლედ, ფრანგებს ჩვენთან არავითარი ზეამოცანა არ ექნებათ გადასაჭრელი და შეეცდებიან, მაყურებელი მაქსიმალურად ასიამოვნონ. იგივე შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენც, თუმცა...

ახლა მოუსმინეთ **ჯონა ლომუს**: - *საქართველო, მას შემდეგ რაც მსოფლიო თასზე პირველი მოგება (თანაც რა მოგება!), იზეიმა, საფრანგეთს შეხვდება. ძალიან ძნელი იქნება მათთვის ასე მალე, ოთხ დღეში ტურნირის ფავორიტთან თამაში. ქართველების ყურება ამ მსოფლიო თასზე ერთი სიამოვნებაა, მაგრამ მართლაც უსამართლობაა სამი-ოთხი დღის შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრები საფრანგეთთან ათამაშო, ისევე როგორც კანადა - ავსტრალიასთან ან აშშ - აფრიკასთან. ეს თითქმის შეუძლებელია!*

ძალიან ფრთხილობს ჩვენი ფრანგი კონსულტანტი **ანრი ბრონკანიც**. ფრთხილობს კი არა, შიშობს - წაიკითხეთ ამავე გვერდზე და დარწმუნდებით. მოტივაცია არ ჰქონდეთ დაკარგულიო! მართლაც, გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ: მთელი 30 ქულით მოვუგეთ ნამიბიას, ბოლო წუთზე დავუთმეთ არგენტინას პრემია და ირლანდიას... კინაღამ იქით მივეცით ქულა საქართველოსთან ღირსეული წაგებისთვის! მეტი რაღა უნდა გვინდოდეს?



თუ მოგეჩვენათ, რომ საფრანგეთთან ძალიან დიდი ანგარიშით წაგებისთვის გამზადებთ, ცდებით. მე მაინც მგონია, რომ ანრი ბრონკანი ან კარგად არ იცნობს ქართველების ხასიათს, ანდა, არაა გამორიცხული, ეშმაკობდეს თანამემამულეების წინაშე.

მგონი, ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ საქართველოს ნაკრებმა თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშოს ამ ტურნირზე. ყოველგვარი წნეხი და წინაღობა მოხსნილია, კონკრეტული ამოცანა არ დგას - უბრალოდ, უნდა გახვიდე და ითამაშო, მეტოქეს მხარი აუბა. მოტივაცია? - გაიტანო რაც შეიძლება მეტი და მიიღო რაც შეიძლება ნაკლები. რაც არ უნდა მოხდეს საფრანგეთთან ბოლო მატჩში, ჩვენი დიდი წარმატება და პროგრესი მაინც ყველასათვის აშკარა იქნება, მაგრამ როგორც დავიწყეთ, ისევე ღირსეულად უნდა დავასრულოთ!

ნიკოლოზ აბაშიძე



ანრი ბრონკანი გუშინდელ ვარჯიშზე

ფრანგი კონსულტანტი ფრთხილობს

ბრონკანი სასტიკი წინააღმდეგია. - ასეთი სათაურით გამოქვეყნდა ინტერვიუ ფრანგულ სარაგბო გაზეთ "მიდი ოლიმპიკში". წინდაწინ ვიტყვით, რომ საგანგაშო არაფერია. საქართველოს ნაკრების ფრანგ კონსულტანტ ანრი ბრონკანს, ნამიბიის ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ ჩვენი ბიჭების საბრძოლო განწყობის შესუსტების შიში აქვს. გთავაზობთ ამონარიდებს ამ ინტერვიუდან.

- საქართველოს ნაკრებმა თავისი მისია შეასრულა. ყოველ შემთხვევაში, ნაკრების მწვრთნელებს და მორაგბეებს ასე მიაჩნიათ. "ლელოების" მთავარი მიზანი ნამიბიის დამარცხება იყო, რაც მათ მშვენივრად მოახერხეს.

ნამიბიასთან თამაშის დასრულების შემდეგ არასში გუნდს მოუწყვეს ბანკეტი, რომელსაც საფრანგეთში საქართველოს ელჩი და ამ ქვეყნის სპორტის მინისტრი ესწრებოდნენ. საინტერესო სადღეგრძელოებს წარმოთქვამდნენ. მორაგბეები მალე დაიშალნენ, მაგრამ დილის ვარჯიშმა შემაშფოთა. ისინი საკმაოდ ზერელედ უდგებოდნენ საქმეს. მომეჩვენა, რომ საქართველოს ნაკრებს მოტივაცია თითქმის აღარ აქვს.

ცხადია, მე მათ საფრანგეთის ნაკრებთან ომს ვერ მოვთხოვ, მაგრამ თუ მოინდომეს, თავისუფლად შეუძლიათ ნებისმიერ მეტოქეს გაუწიონ ისეთი წინააღმდეგობა, როგორიც არგენტინასა და ირლანდიას გაუწიეს.

თუმცა მოტივაცია მთავარი პრობლემა არაა, ამას ალბათ მოევლება. მწვრთნელების საფიქრალი ახლა ტრავმირებული მოთამაშეების მდგომარეობაა. შეძლებენ თუ არა მოკლე დროში მოშუშებას და ძალების აღდგენას?

ბესიკ ჯანგავაძე

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. VII ტური
www.pfl.ge

მერანს კიდევ ერთი ნაღი ასძვრა

რეპეტიცია 19 ოქტომბრისთვის

მერანი-ვიტ ჯორჯია

0:3

18.09. თბილისი. ეროვნული
800 მაყურებელი

0:1 გ. დათუნაიშვილი (64), 0:2 მელქაძე (67), 0:3 გელაშვილი (80)

მერანი: თევდორაძე - კილაძე, კობიაშვილი, გიგაური, სალარიძე - ლომაშვილი, ტყეშელაშვილი, ბ. ნოზაძე, დეისაძე (70. ხუჭუა) - ჟღენტი (76. ქემაშვილი), გოჩაშვილი

სათადარიგოები: სეფიაშვილი, ავალიანი, ფურთუხია, ქობალია

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - პ. დათუნაიშვილი, კვახაძე, ლომაია, ბეჭვაია - გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე (46. ინჯგია), მელქაძე, კლიმიაშვილი - მელაშვილი (82. ლუჭაშვილი), სახოკია (82. ბერიაშვილი)

სათადარიგოები: მიქაბერიძე, ადამაძე, კაიშური, ჯაფარიძე

გაფრთხილება: სალარიძე (61), თევდორაძე (75), კვახაძე (9)

არბიტრი: მ. ურუშაძე

სტენოგრამა

25. გიორგი მელქაძემ ოციოდე მეტრიდან დაარტყა და ოდნავ ააცილა მიზანს.

45. ირაკლი კლიმიაშვილმა დაახლოებით ოცდაათი მეტრიდან დააქუხა და რევაზ თევდორაძემ კუთხურზე მოიგერია ბურთი.

48. კლიმიაშვილი მარცხნიდან მიადგა მეტოქის საჯარიმოს, მელქაძემ დაუგორა ბურთი, ვისაც დარტყმა გაუცუდდა.

60. რევაზ ინჯგიას პასით ზაზა სახოკია თევდორაძესთან პირისპირ დარჩა. მისი დარტყმული მეკარემ მოიგერია, დამატებაზე მელქაძეს მიზანმა უმტყუნა.

63. 0:1 მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში კლიმიაშვილმა იმარჯვა, სახოკიას გადაანოდა ბურთი, რომელსაც "მაკრატელა" არ გამოუვიდა, არეულობაში კი გიორგი დათუნაშვილმა იმარჯვა და ახლოდან გაიტანა.

67. 0:2 ჯარიმა სახოკიამ მოინადირა, მელქაძემ კი ცაციათი ჩაახვია ბურთი "მერანის" კარში.

80. 0:3 სახოკიას დარტყმული თევდორაძემ მოიგერია, დამატებაზე კი ნიკა გელაშვილმა იმარჯვა.

სახოკიას (თეთრ მაისურში) აქტიურობას მოჰყვა ვიტ ჯორჯიას გოლი

ზედიზედ ორი წაგების შემდეგ "ვიტ ჯორჯიამ" მოიგო და ეს არ ყოფილა ერთი ჩვეულებრივი, რიგითი გამარჯვება არცთუ ძლიერ მონინააღმდეგესთან - ვიტელებისთვის ეს ერთობ მნიშვნელოვანი თამაში იყო და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ცხრილში ერთი საფეხურით აინაცვლეს.

"ვიტ ჯორჯიას" და მის თავკაც **ნესტორ მუმლაძეს** გუშინდელი გამარჯვება თავდაჯერებულობისთვისაც ძალიან სჭირდებოდათ - ორი წაგების მერე გუნდს ალბათ ნირი ჰქონდა წამხდარი.

პირველ ტაიმში "მერანს" თავი ყინჩად ეჭირა, მეტოქეს ბურთის თავისუფლად ტარების საშუალებას არ აძლევდა. "ვიტ ჯორჯია" კი დაძაბული ჩანდა, ვერ ახერხებდა უპირატესობის მოპოვებას, საგოლე მომენტებიც არ ჰქონია, შეიძლება ითქვას, დაახლოებით თანაბარი თამაში იყო. მასპინძლები დაცვაში არ იჯდნენ, ბურთი მეტწილად მოედნის ცენტრში ტრიალებდა და ასეთი სიუჟეტი ფრის გარდა არაფერს უქადდა გუნდებს.

შესვენების შემდეგ კი "ვიტ ჯორჯია" გამოცოცხლდა, ტემპს და აგრესიას უმატა, რამდენჯერმე გამოძებნა ღრიჭო "მერანის" დამცავ ჯებირებში და თამაშიც უფრო ყურებადი შეიქნა.

ვიტელებმა ფლანგები გააქტიურეს, შეტევებში განაპირა მცველები, **გიგა ბეჭვაია** და **პაატა დათუნაშვილიც** ერთვებოდნენ. სასარგებლოდ ირჯებდა "ვიტ ჯორჯიის" მარცხენა ნახევარმცველი **ირაკლი კლიმიაშვილი**. მოკლედ, მასპინძლებმა სტუმრებს რიგიანად შეუტიეს, თუმცა ნახევარი ტაიმი ისე გაილია, "მერანი" კარს მშრალად ინახავდა.

პირველმა გოლმა თითქოს ფრთები შეასხა ვიტელებს - მუმლაძის გუნდი უფრო თავისუფლად, თავდაჯერებულად და შმაგად ათამაშდა, "მერანი" კი **გიორგი დათუნაიშვილის** გოლით გატყდა და არ ემჩნეოდა ის ფხა, თამაშის შენარჩუნებას რომ სჭირდება.

გადალახა თუ არა პატარა ჩავარდნა "ვიტ ჯორჯიამ", გუშინდელი მატჩის მიხედვით ალბათ ვერ ითქმევა - 19 ოქტომბერს მე-9 ტურში ვიტელები "დინამოს" ესტუმრებიან და იქ ხელის გულზე დადებულივით უნდა გამოჩნდეს, ვინ რისი მაქნისია.

რჩეული
ირაკლი კლიმიაშვილი

გუშინ "ვიტ ჯორჯიის" ძრავა იყო, დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა და თავისი გუნდის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი დაიდო. კლიმიაშვილი 19 წლისაა და ალბათ, მას ყურადღებას მიაქცევენ ჩვენი ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელები.

დავით თავართქილაძე

დაძაბული სამხრეთული დერბი

ბორჯომი-მესხეთი

2:0

28.09. ბორჯომი. ზეინკლიშვილი
1200 მაყურებელი

1:0 ყველაშვილი (23. ღონღაძის პასით), 2:0 გრიგალაშვილი (81)

ბორჯომი: შეყრილაძე - აკობია, ღონღაძე, ჭელიძე, მერებაშვილი (66. გოგიჩაიშვილი) - მემარნიშვილი, კ. ხანიშვილი (75. ქარქუზაშვილი), ნერგაძე, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი (84. ნასყიდაშვილი) - ყველაშვილი

სათადარიგოები: გლუნჩაძე, ლომიძე, დევიძე, თედიაშვილი

მესხეთი: სომხიშვილი - ლეკიშვილი, ჟვანია, კობესაშვილი, ძამსაშვილი - ჩხეტიანი, თურმანიძე, მ. თაყაძე (82. ღონღაძე), გვირჯიშვილი (69. სუდაძე) - კიდარაშვილი, აკოფიანი (46. ინასარიძე)

სათადარიგოები: ძამუნაშვილი, ნადირაშვილი, აფრიამაშვილი

გაფრთხილება: გრიგალაშვილი (38), კ. ხანიშვილი (44), ლეკიშვილი (49), ღონღაძე (63), მერებაშვილი (69), ჩხეტიანი (74)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

სტენოგრამა

10. ყველაშვილმა ითამაშა კარგად, საჯარიმოში ცრუმოძრაობით ჩამოიცილა მცველი და მოჭრილი ტრაექტორიით შორეულ კუთხეში დაარტყა. სომხიშვილმა შეძლო და კუთხურზე გადააგდო ბურთი.

21. ფლანგური პასის შემდეგ გვირიჯიშვილმა ეარი შეხებით დაარტყა, თუმცა ააცილა.

23. 1:0 - ღონღაძის ფლანგური ჩაწოდებისას, ახალციხელი მცველები ნამით შეყოვნდნენ, რითაც მეკარის ბაქანზე მდგომმა ყველაშვილმა კარგად ისარგებლა და თავით დაბალ კუთხეში გაუტანა სომხიშვილს.

36. მემარნიშვილმა სახიფათოდ ჩაწოდა, მაგრამ ხანიშვილი ვეღარ შესწვდა ბურთს.

42. გვირიჯიშვილი გავიდა პირისპირ მეკარესთან, მაგრამ შეყრილაძემ ვარდნაში შეძლო ბურთის მოგერიება.

43. კიდარაშვილი ხუთი მეტრიდან აცილებს კარს.

53. ყველაშვილი თავით აწვდის ჰენალტის ნიშნულთან მდგომ ხანიშვილს, რომელიც მცველებს კი ასწრებს, მაგრამ დარტყმა გამოსდის არაზუსტი.

81. 2:0 - საჯარიმოს კუთხესთან დანიშნული ჯარიმა შესანიშნავად შეასრულა გრიგალაშვილმა და სომხიშვილს ცხრიანში გაუტანა.

89. პირისპირ გასულ ნასყიდაშვილს მეკარემ აჯობა.

რეგიონულმა დერბიმ მაყურებელთა საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია, ორივეს სურდა ერთმანეთისთვის ამბიციების დამტკიცება. ინტრიგას ისიც მატებდა დაპირისპირებას, რომ ორივე გუნდს 11-11 ქულა ჰქონდა და მეზობლები აქაც "მეზობლურად" მე-3 და მე-4 ადგილებზე იყვნენ სატურნირო ცხრილში. ახალციხიდან ჩამოსულ 200 გულშემატკივარს და დამხვდურ 1000 კაცს შეხვედრამ მოლოდინი გაუმართლა. მწვრთნელებმა იდენტურ 4-4-2 სქემას მიმართეს და პირველივე წუთიდან ხისტი, უკომპრომისო ბრძოლა გაჩაღდა. თუმცა უფრო აქტიურები ნახევარდაცვის კარგი თამაშით ბორჯომლები გახლდნენ და დებიუტი მათი სახიფათო მომენტებით აღინიშნა, რასაც მალე გოლიც მოჰყვა. 23-ე წუთზე წამით შეყოვნებულ და პოზიციადაკარგულ ცენტრალურ მცველებს გაეპარათ **ყველაშვილი** და მან ახლოდან თავურით ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ მასპინძლებმა კიდევ რამდენჯერმე დაარტყეს კარში, თუმცა მათ გარჯას სიზუსტე აკლდა. ტაიმის ბოლომ კი სტუმართა უპირატესობით ჩაიარა და ფლანგზე კარგად მოთამაშე **გვირიჯიშვილი** პირისპირაც გავიდა, თუმცა მეკარე **შეყრილაძემ** იყოჩაღა, 43-ე წუთზე კი **კიდარაშვილს** მართებდა გატანა, მაგრამ "შეძლო" და მეკარის ბაქანზე მდგომმა 5 მეტრიდან ააცილა.

მეორე ტაიმის საწყისი წუთები პოზიციური ბრძოლით აღინიშნა და მეტოქეებმა თითო სახიფათო მომენტი გაცვალეს. შემდეგ ახალციხელი ფანების ყიჟინით შეგულიანებულმა "მესხეთმა" სცადა უპირატესობის მოპოვება, თუმცა მხოლოდ კიდარაშვილის ერთ მომენტს გამორჩა. მე-80 წუთზე კი სტუმართა ფანობა ჯერ გვერდით, შემდეგ კი მთავარ მსაჯს შემოსწყრა კაი გვარიანად, ტრიბუნებზე მომწიფებული კონფლიქტი პოლიციის დროულმა ჩარევამ განმუხტა. სტუმართა აფეთქება მასპინძლებმა მალე გოლით დააშოშმინეს - **გრიგალაშვილმა** ცხრიანში გაიტანა საჯარიმოდან. შეხვედრის ბოლო აკორდი **ნასყიდაშვილის** პირისპირ გასვლა გახლდათ თუმცა მას მეკარემ აუღო. საბოლოოდ კი "ბორჯომმა" სამი ქულით გაუსწრო მეზობლებს და მესამეზე მყარად დამკვიდრდა.

მატჩის შემდეგ

ლერი გაბისკირია (მესხეთი): "მომენტები ვერ გამოვიყენეთ, თორემ შეიძლება სხვა თამაში წასულიყო. რეგიონული გუნდების თამაში ყოველთვის დაძაბულია და გამონაკლისი არც ეს გახლდათ. გვქონდა შეცდომები, რომელსაც მომავალში გამოვასწორებთ".

ვლადიმერ ხაჩიძე (ბორჯომი): "ბიჭებმა მონდომებით ითამაშეს და მიცემული დავალებები კარგად შეასრულეს. განსაკუთრებით ნახევარდაცვის კმაყოფილი ვარ. ვთვლი, რომ დამსახურებულად მოვიგეთ."

რჩეული
გიორგი ნერგაძე

იგი ბორჯომელთა ნახევარდაცვის სული და გული იყო. ორთაბრძოლებიც ბლომად მოიგო და ზუსტ გადაცემებსაც უკეთებდა თავისიანებს. ამავდროულად, რამდენჯერმე ძლიერად და სახიფათოდაც დაარტყა კარისკენ.

მერაბ გრძელიძე
ბორჯომიდან

www.kazbegi.com

გაზსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორი ღრმა ძილშია

დილა-მგლები

1:3

28.09. გორი. თ. ბურჯანაძე
700 მაყურებელი

0:1 ჭედია (9), 0:2 კრასოვსკი (14. პენალტით), 0:3 ჭედია (23), 1:3 ნოზაძე (42)

დილა: ილურიძე - მასურაშვილი, ლაცაბიძე, დ. ხანიშვილი, ბალაშვილი - ბალიაშვილი, ნოზაძე, სადაღაშვილი (46. თურმანიძე), ტლაშაძე (70. კურტანიძე) - ბ. ჩიტაია, სამადაშვილი (72.სულთანიშვილი)

სათადარიგოები: კენჩხუაშვილი, ლომიძე, შერმადინი, იჩქითი

მგლები: ივარდავა - ექონია, მაჭავარიანი, ფარულავა, ნარსია - ქირია (85. ქომეთიანი), ვართაგავა (87. კუტალია), გაბედავა, ბაკარანძე - კრასოვსკი, ჭედია (46. ლიპარტაია)

სათადარიგოები: ჭითანავა, ხუხია, ჭკადუა, წურწუმია

გაფრთხილება: დ. ხანიშვილი (31), გაბედავა (44)

გაძევება: ილურიძე (73)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

სტენოგრამა

9. 0:1 - ჭედიამ მიიღო ბურთი საჯარიმოს შიგნით, ჩამოიცილა ერთი მცველი და ილურიძეს შორეულ კუთხეში გაუტანა.

14. 0:2 - გაბედავა ილურიძესთან პირისპირ გავიდა, მისი და გოლკიპერის შეტაკებისას მსაჯმა ეს უკანასკნელი დაადანაშაულა და პენალტი დანიშნა.

23. 0:3 - ჭედია კიდევ ერთხელ დაუსხლტა ცენტრალურ მცველებს და კარში დაარტყა. მეკარე ისევ უძლური აღმოჩნდა

29. ფარულავას მიერ დაახლოებით 35 მეტრიდან დარტყმული საჯარიმო კარში ეშვებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში ილურიძემ შეძლო ბურთის კუთხურზე მოგერიება.

42. 1:3 - ნოდარ ნოზაძის მიერ დაახლოებით 20 მეტრიდან შესრულებულ ჯარიმას ზუგდიდელთა მეკარემ ვერაფერი მოუხერხა.

55. ათიოდ მეტრიდან სამადაშვილი ურტყამს ძლიერად, მცველს ხვდება, დამატებულს ისევ მცველი გადაეფარა.

73. მეკარესთან პირისპირ გასული ექონია ცდილობს საჯარიმოს გარეთ გამოსულ ილურიძეს თავზე გადაუგდოს. მეკარესაც არაფერი დარჩენოდა, გარდა საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისა. არბიტრმა ილურიძე გააძევა.

86. ქომეთიანი კარში ჩამდგარ ბალიაშვილთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ ბოლო მომენტში მცველთა დასახმარებლად ჩამოსულმა ჩიტაიამ აჯობა და კუთხურზე გადააგდო ბურთი.

ბოლო წლებში უმაღლეს ლიგაში უთავბოლო შესვლა-გამოსვლით „დილა“ იმდენად დაიბნა, რომ შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის მოძებნა მეტისმეტად უჭირს. არადა, მიმდინარე ჩემპიონატის საწყის ტურებში, გორელ ფეხბურთელთა ბრძოლის ჟინის შემხედვარე კაცი ვითარების გამოსწორებას ივარაუდებდა, თუმცა კრიზისი ახლა უკვე ისევე ნათლად გამოჩნდა, როგორც ლიგიდან გასასვლელი კარი.

არც უწინდელი ბრძოლის ჟინი ეტყობოდა მასპინძელთა გარჯას (განსაკუთრებით პირველ ტაიმში). ბუნებრივია სტუმრები ამას ადეკვატური პასუხის გარეშე არ დატოვებდნენ, მაგრამ ალბათ, თავად ზუგდიდელებიც ვერ წარმოიდგენდნენ, რომ 23-ე წუთზე უკვე სამბურთიანი სხვაობით შეძლებდნენ წინ გასვლას და თან ასე იოლად.

„მგლებს“ „ციდან ვარსკვლავები“ ნამდვილად არ მოუწყვეტია. ზუგდიდელებმა ძალიან მშვიდად, პრაგმატული თამაშით მიაღწიეს გამარჯვებას. სამი ქულის მოპოვებაში დიდი წილი სტუმართა სწრაფმა ფორვარდმა **გიორგი ჭედიამ** დაიდო. გორელებს პირველი გამაბრუებელი დარტყმა მან უთავაზა მე-9 წუთზე. ვიდრე ქართლელები აზრზე მოვიდოდნენ, მცველთა უყურადღებობით ნასარგებლებმა **გიორგი გაბედავამ** პენალტიც მოიმკო, რომელიც **კრასოვსკიმ** გამოიყენა და 23- ე წუთზე ჭედიას დუბლი უკვე აბსოლუტურად გამოთიშულმა „დილამ“ გაუშვა.

ძალიან ცუდად იასპარეზა მასპინძელთა გუნდის ყველა რგოლმა. „მგლებს“ ტერიტორიულ უპირატესობაზე არანაირი პრეტენზია არ გამოუხატავს. მით უფრო 3:0-ის შემდეგ. ზუგდიდელებმა სწრაფ კონტრშეტევებზე ააგეს თამაში. მოწინააღმდეგე კი იშვიათი გამონაკლისის გარდა ვერც შეტევას და ვერც კონტრშეტევას ვერ ახერხებდა. ისეთს, **ივარდავას** კართან ხიფათი რომ შეექმნა. „მგლების“ გოლკიპერი პირველ ტაიმში მხოლოდ **ნოზაძემ** აანერვიულა, რომელსაც სამჯერ მოუწია ოციოდ მეტრიდან საჯარიმო დარტყმის შესრულება და სხვათა შორის ყველა მათგანი კარგადაც გამოუვიდა, მაგრამ თუ პირველ ორ შემთხვევაში ივარდავამ ივაჟკაცა, მესამეჯერ ველარაფერი გააწყო.

„დილა“ მეტისმეტად გვიან, მეორე ტაიმში გამოცოცხლდა და სწრაფადაც ათამაშდა, რაშიც უნდა აღინიშნოს, რომ „მგლებს“ ხელი არ შეუშლია. სტუმრები ისევ მასპინძლების შეცდომის მოლოდინში იყვნენ, თუმცა მოედანზე აღარ იყო დუბლის ავტორი გიორგი ჭედია, ხოლო მის ნაცვლად მოთამაშე **ლიპარტიამ** ღირებული ვერაფერი შექმნა, მისი უმთავრესი ნაკლი არასათანადო სისწრაფე გახლდათ.

ვარდოსანიძის შეგირდები ბევრი კი ეცადნენ ანგარიშში სხვაობის შემცირებას, მაგრამ ამაოდ. გორელები ლამის ყველა იერიშისას მთელი გუნდით, მცველებთან ერთად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე და უკან მხოლოდ მეკარეს ტოვებდნენ. ასეთი გარჯას გაშვებული გოლი არა, მაგრამ გოლკიპერის გაძევება კი მოჰყვა. მის ნაცვლად კარში **ლაშა ბალიაშვილი** ჩადგა. გორელ ნახევარმცველს ახალ ამპლუაში თავის გამოჩენის საშუალება არ მისცემია. უცნაურია, მაგრამ ყველაზე რეალური საგოლე მომენტი მასპინძლებს რიცხობრივ უმცირესობაში თამაშისას ჰქონდათ, თუმცა ივარდავას შეცდომა თანაგუნდელმა მცველებმა გამოასწორეს და მეტოქე თავდამსხმელებს დაუცველი კარის აღების საშუალება არ მისცეს.

რჩეული

გიორგი ჭედია

ზუგდიდელმა თავდამსხმელმა მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა და ესეც ეყო იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა. მისი დუბლი გადამწყვეტი აღმოჩნდა ისედაც გამოთიშული მეტოქის დასანოკაუტებლად.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 155 ტელეფონის დაფგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ISP ისაუბრე შეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუჭიანურად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ორ. ცაბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ზესტაფონელთა კაპიტანი (მარცხნივ) საუკეთესო იყო

ჯერ პირველზე

სიონი-ზესტაფონი

0:2

28.09. გოლნისი. თ. სტეფანია
1000 მაყურებელი

0:1 საჯაია (38. პენალტით), 0:2 გ. ნოდ. ჭელიძე (60. კ. ჩხეტიანის პასით)

სიონი: სტურუა – ქურასბედიანი (78. კვიტაიშვილი), ბოიომო, მენთესაშვილი, რაქვიაშვილი – სანიკიძე, ბაჯელიძე, ნადირაძე, ვაშაკიძე (61. ქუცურუა) - ჩასემი, ქარდავა (58. ქარდავა).

სათადარიგოები: გ. იაშვილი, გაგუა, თავგერიძე, ნაყოფია.

ზესტაფონი: ჭანტურია – თოდუა, საჯაია, ლობჟანიძე – კესანი, კ. ჩხეტიანი, ჟონატასი (86. იონანიძე), რ. ონიანი, ვიეირა (85. ხიდეშელი) – გ. ნოდ. ჭელიძე (74. შ. ღონღაძე), ბიტოო.

სათადარიგოები: ჯალაღანია, ნ. კვასხვაძე, ბ. გოცირიძე, ფიფია.

გაფრთხილება: მენთესაშვილი (37), ვიეირა (62)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

სტენოგრამა

8. ზესტაფონელებმა პირველად დაარტყეს მეტოქის კარისკენ. სტუმართა კაპიტანმ კახა ჩხეტიანის დარტყმის მოგერიება ზვიად სტურუას არ გასჭირვებია.

10. ჩასემმა ჩინებული პასით ქარდავა ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. თუმცა ქარდავამ კარში დარტყმა ვერ შეძლო - მცველებმა შეუშალეს ხელი.

19. რაქვიაშვილის პასი ქარდავამ მიიღო და ამჯერად დაარტყა კიდეც, მაგრამ ააცილა.

26. გვერდით ხაზთან, მეტოქესთან მებრძოლ ლობჟანიძეს სხვა გზა არ ჰქონდა ბურთი მეკარე ჭანტურიას დაუბრუნა. უხერხულად დაბრუნებული მაღალი ბურთისას ჭანტურიამ თავურით განმუხტა ვითარება.

27. ბიტოოს თავურისას სტურუამ იმარჯვა.

38. 0:1 - ჭელიძემ ჟონატასს საჯარიმოში ქუსლით გაუკეთა გადაცემა. ორთაბრძოლისას ნაქცეულ მენთესაშვილს ბურთი ხელზე მოხვდა, რის შედეგადაც სტუმართა შეტევა შეჩერდა და ლევან ფანიაშვილმა პენალტი დანიშნა.

39. მენთესაშვილმა შორიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ ააცილა.

55. თოდუას პასი ჟონატასმა შეირგო, კარშიც დაარტყა, მაგრამ სტურუამ ჩინებული რეაქცია გამოავლინა.

56. ნადირაძემ შორეული დარტყმა ასცდა მიზანს.

57. ჭელიძის მიერ ოსტატურად დარტყმული მილიმეტრებით ასცდა მასპინძელთა კარს.

60. 0:2 - კახა ჩხეტიანის პასით ჭელიძემ მეორედ აილო მასპინძელთა კარი.

76. კახა ჩხეტიანის დარტყმული ოდნავ არაზუსტი აღმოჩნდა.

82. ბიტოოს დარტყმულს სტურუა გადაეფარა.

პირველი წრე ეკვატორს გასცდა და ჩემპიონობისთვის მებრძოლი ორი გუნდიც გამოიკვეთა – თბილისის "დინამო" და "ზესტაფონი". სწორედ ეს გუნდები იყოფენ პირველ-მეორე ადგილს. **დუშან უჰრინის** გუნდი დღეს მხოლოდ ერთი ქულის მქონე, აუტსაიდერ "ბათუმს" მასპინძლობს. და თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ დედაქალაქელები მორიგ გამარჯვებას მიითვლიან. "დინამოსგან" განსხვავებით, რთული ამოცანის წინაშე იდგა "ზესტაფონი". ორი ტურის წინ ერთ-ერთი ფავორიტი "ვიტ ჯორჯია" **გიორგი ყიფშიძის** კრებულმა ბოლნისში დაამარცხა. წინა ტურში კი ახალციხიდან ქულა წამოიღო. შესაბამისად, **თემურ მახარაძის** გუნდსაც არ ელოდა იოლი გასეირნება. თუმცა იმერლებმა გუშინდელი გამოცდა ჩინებულად ჩააბარეს და ცხრილშიც დაწინაურდნენ.

მატჩის სტარტზე მასპინძლები აქტიურობდნენ და მცირედით სჯობდნენ კიდეც უკეთესი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ "ზესტაფონს", მაგრამ სტუმრები მატჩის სადავეებს მალევე დაეუფლნენ და **ჟონატასის** მიერ მოპოვებული პენალტით **საჯაიამ** გახსნა ანგარიში.

თავის მხრივ, ბოლნისელებიც აქტიურობდნენ, მაგრამ კლასმა და გამოცდილებამ თავისი გაიტანა. მეორე ტაიმში მორიგი ჩინებული კომბინაცია იმერლებმა **ჭელიძის** გოლით დაადგირგვინეს. კიდევ შეიძლებოდა ანგარიში შეცვლილიყო, სტუმარ-მასპინძელს არაერთი მომენტი ჰქონდა, ბოლნისელი **ჩასემიც** ბევრს ეცადა, მაგრამ უშედეგოდ.

პრესკონფერენცია

გიორგი ყიფშიძე (სიონი): "რეალურად რომ ვიმსჯელოთ, მეტოქეს ჩვენზე უკეთესი ფეხბურთელები ჰყავს და უკეთესადაა მომზადებული. ამასთან, ტრავმებისა და დისკვალიფიკაციის გამო რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა. სათადარიგოთა სკამი მოკლე გვაქვს. ყველა ეს ფაქტორი დღევანდელ მატჩში სათანადოდ აისახა. "ზესტაფონმა" დამსახურებულად მოიგო".

თემურ მახარაძე (ზესტაფონი): "სიონის" თამაშს "ვიტ ჯორჯიასთან" თავად დავესწარი. ამ მატჩის ვიდეოფირი ფეხბურთელებსაც ვაჩვენე. ასე რომ, თავიდანვე ვიცოდით, რომ რთული მატჩი გველოდა. ცუდად დავიწყეთ თამაში და სასტარტო წუთებზე ბოლნისელებმა გვაჯობეს. თუმცა ჩემმა გუნდმა მალე გამოასწორა თამაში და მნიშვნელოვანი 3 ქულა მოვიპოვეთ.

- შემადგენლობას ხშირად ცვლით. წინა მატჩი ფიფიამ და გოცირიძემ ჩინებულად ჩაატარეს, მაგრამ მათ დღეს თამაში არ მოუწიათ. ეს რით ავხსნათ?

- გრძელი სათადარიგოთა სკამი გვაქვს და როტაციას მივმართავთ. შესაბამისად, სასტარტო შემადგენლობაც ხშირად იცვლება.

- ქართული საზომებით მეორე ტაიმში "ზესტაფონმა" ჩინებულად ითამაშა. როგორ ფიქრობთ, სწორედ ესაა ამ გუნდის პიკი თუ უკეთ შეუძლია თამაში?

- არა, ეს პიკი არაა. უკეთესი თამაშიც შეგვიძლია ვაჩვენოთ. ზამთრის პაუზისას გუნდი მოსამზადებელ შეკრებას გაივლის და პიკი მეორე წრეში გვექნება.

რჩეული

კახა ჩხეტიანი

დიდი სამუშაო გასწია მოედანზე. ამასთან საგოლე პასიც მიითვალა.

დავით ცაბაძე
გოლნისი-თბილისი

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ გიორგი კიკნაძესთან

შოკიდან გამოვდივართ

გიორგი კიკნაძისა და ზაზა ზამთარაძის დუეტისგან ხალხი "ლოკომოტივში" ბევრს ელოდა. გასულ სეზონში მწვრთნელებმა სამ კლუბში იმუშავეს - ჯერ რუსთავის "ოლიმპში" გამოიჩინეს თავი, შემდეგ ქუთაისის "ტორპედოში" მიიწვიეს, ბოლოს კი თბილისის "ლოკომოტივში" დაასრულეს სეზონი და ამ ხნის განმავლობაში ყველა მწვრთნელზე მეტი ქულა დააგროვეს.

"ლოკომოტივის" სეზონისწინა შეხვედრებმა იმედები კიდევ უფრო გააძლიერა - გუნდი საკმაოდ გამართულად თამაშობდა. ან ჩემპიონატში როგორი დასაწყისი ჰქონდა? თასის მფლობელი და მესამეადგილოსანი "ამერი" დაამარცხა...

- მაშინ ვიფიქრე, რომ ამ გუნდით სამეულში მოხვედრაც შეიძლებოდა. - გვიმხელს გიორგი კიკნაძე. - სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. პირიქით, გუნდი აირია.

- და რა მოხდა?

- ჩვენც ვცდილობთ მომხდარის ახსნას.

- სეზონის დასაწყისში თქვენგან ყველა სიურპრიზს ელოდა, მაგრამ არა ასეთს.

- ჩვენც არ ველოდით. მეგონა, "ამერთან" მოგება ფეხბურთელებისთვის დიდი სტიმული იქნებოდა. თან ისე კარგად და გამართულად ითამაშეს... სხვათა შორის, გუნდი სეზონისწინა ამხანაგურებშიც მომეწონა. მოულოდნელად ყველაფერი აირია. ვფიქრობ, რა ხდება და უეჭველია, ეს მოთამაშეთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობას უკავშირდება. უმრავლესობას ლიდერ გუნდებში არ უთამაშია და როდესაც აუცილებლად უნდა მოგვეგო, ალბათ, ფსიქოლოგიურ წნეხს ვერ გაუძლეს. მე და ზაზამ რაღაც რომ ვერ გავითვალისწინეთ, ფაქტია. ჩავარდნა გვაქვს, მაგრამ უიმედოდ არასდროს ვყოფილვარ და მგონია, რომ ცუდი პერიოდი მალე წარსულს ჩაბარდება.

...ალბათ, "ამერთან" მოგებამ ჩვენც ცუდი სამსახური გაგვიწია და მათაც. უცნაური ამბავია, ვისთანაც უფრო გვქონდა იმედი, "მესხეთთან" და "მგლებთან", მათთან ვერ მოვიგეთ, "ამერს" კი ქულაც არ დავუთმეთ.

- ანუ თავისუფლაღ მხოლოდ მაშინ თამაშობენ, როდესაც პასუხისმგებლობა არ აქვთ?

- დიახ, ამაზეა საუბარი. მათ პრინციპული მეტოქის ბარიერი უნდა გადალახონ.

- მოსამზადებელ ეტაპზე ეს პრობლემები არ იგრძნობოდა? რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გუნდის შემადგენლობას სერიოზული რყევები არ განუცდია, ანუ შეთამაშებულები ხართ.

- ასეც ვერ ვიტყვი, ექვსი კაცი წავიდა, ცვლილებები მაინც იყო.

- ერთ-ერთი ყველაზე დიდი უცნაურობა გიორგი ალავერდაშვილს უკავშირდება. თავიდან ძალიან კარგად გამოჩნდა, მაგრამ ახლა თითქმის სულ ჩრდილშია. რა სჭირს ასეთი?

- გიორგის თამაში რომ შეუძლია, ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ თავისებური ბიჭია და პრობლემები აქედან გამომდინარე ექმნება. ის უდავოდ ნიჭიერია და თუკი საქმეს პროფესიულად მიუდგება, გუნდსაც გამოადგება და საკუთარ თავსაც.

- წაგებების შემდეგ "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობისგან უნდობლობა არ გიგრძვნია?

- არანაირი! პირიქით, ერთმანეთს გვერდში დავუდექით, რაც ძალიან მიხარია. ჩვენ გამოსავალს ერთად ვეძებთ. ჩავარდნა ნებისმიერ მწვრთნელს, ფეხბურთელს, გუნდს აქვს, მაგრამ მე "დილასთან" მოგებამ დამაიმედა. დისკვალიფიკაციის გამო ხალხი დაგვაკლდა, მაგრამ ფსიქოლოგიურ პრობლემები დავძლიეთ.

- ლევან ყენია გერმანიის ვიზას და "შალკეში" ჩარიცხვას ელის. რა ხდება, იქნებ გვითხრათ?

- ლევანი ვიზას თვის ბოლომდე მიიღებს.

- გამორიცხავთ "ლევანტეს" მსგავს პრეცედენტს, როდესაც ვიზა არ მისცეს?

- მგონი, ეს გამორიცხულია.

- "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ის უდავოდ გამორჩეული თამაში იყო. საქართველოს ჩემპიონატისა და თასის ისტორიაში ერთი გუნდის სამი მოთამაშე და მწვრთნელი ერთბაშად არასდროს გაუძევებიათ. ასეთი რა მოგვიდათ?

- სეზონი წარუმატებლად აგვენყო და ამ დროს სპორტულ ჩავარდნას, ფსიქოლოგიურიც მოსდევს. ეს იცით როგორი რამ იყო? სისხლის გამოშვება, მორჩა, წარუმატებლობის პერიოდი დამთავრდა, ბიჭებს ხასიათი გამოუკეთდათ და მე მათი მჯერა.

გორის "დილასთან" მოგება თავისთავად კარგი ფაქტი იყო. მალე დისკვალიფიცირებული მოთამაშეებიც დაგვიბრუნდებიან და მგონი, ხუთეულში მაინც მოვხვდებით. სატურნირო მდგომარეობა ამის იმედს იძლევა.

მერაბ მამულაშვილი

პისკოვეცს უკრაინელების დამაჭება სურს

ოლიმპი თანამეგობრობისთვის ძლიერდება

ანატოლი პისკოვეცი

წესით და რიგით, თანამეგობრობის ჩემპიონთა ტრადიციულ თასზე საქართველოდან რუსთავის "ოლიმპი" უნდა გამოვიდეს. თუმცა ქართულ პრესაში ეს საკითხი რატომღაც ეჭვების საგანი გახდა.

"ოლიმპის" პრესატაშე **მიხეილ ჯორბენაძე** ჭორებს კატეგორიულად უარყოფს: *"გუნდი მოსკოვში აუცილებლად გაემგზავრება. არ დაიჯეროთ, უარის თქმა არც გვიფიქრია."*

ცხადია, რომ დღევანდელი გუნდით მოსკოვში თამაში ისედაც შელახული პრესტიჟისთვის კიდევ უფრო სარისკო იქნება. აპირებს თუ არა გუნდი გაძლიერებას?

"ალბათ, ტურნირამდე ვიღაცას დავიმატებთ. გაძლიერება ყოველთვის სასურველია და მით უფრო ასეთი ტურნირის დაწყებამდე. არაა გამორიცხული, ღირსეული გამოსვლისთვის, ფეხბურთელები სხვა გუნდებიდან დავიმატოთ", - ასეთი იყო პასუხი.

შეგახსენებთ, რომ რუსთავის "ოლიმპი" ზაპოროჟიეს "მეტალურგიდან" წამოსულ თავდამსხმელს, **ირაკლი მოდებაძეს** დაიმატებს. თუმცა საეჭვოა, ამ დონის თავდამსხმელი საქართველოში ზამთრის შემდეგაც დარჩეს. მას "ოლიმპში" თამაში მხოლოდ ფორმის შესანარჩუნებლად სამი თვით სურს.

ამ თემაზე რუსთაველთა მთავარი მწვრთნელ **ანატოლი პისკოვეცსაც** ვესაუბრეთ და მან ძალიან საინტერესო ჩანაფიქრი გაგვანდო.

- თანამეგობრობის ტურნირში ჩვენი მონაწილეობის შესახებ უფრო ზუსტი პასუხი ორი კვირის შემდეგ მექნება.

- ამ ორ კვირაში რა მოხდება?

- ბევრი რამე გაირკვევა, რაზეც დამოკიდებული იქნება ჩემი პასუხი.

- თანამეგობრობის თასზე მონაწილეობა ხომ არ გადაიფიქრეთ?

- ეს არ გვიფიქრია, მაგრამ ასეთ ტურნირზე მარტო გუნდის სახელზე არ ვფიქრობთ მგონი, მეთანხმებით. მთავარია, ღირსეულად წარვადგინოთ საქართველო, საამისოდ წინასწარაა თადარიგი დასაჭერი. მე ვესაუბრე "ოლიმპის" ხელმძღვანელებს, რომ საჭიროა ხარჯთაღრიცხვა და მათ უნდა დაითვალონ ყველა წვრილმანი. ჯერ გასარკვევია, რა ღირს ტურნირში მონაწილეობა. ჩვენ ამაში გამოუცდელები ვართ, არადა, ეს მნიშვნელოვანი საკითხია. ამასთანავე, ტურნირის რეგლამენტი ორ კვირაში გვექნება, ესეც საინტერესო დოკუმენტია.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა, მე მსურს, თანამეგობრობაზე გაცილებით ძლიერი გუნდით გასვლა, ვიდრე დღევანდელი "ოლიმპია". ასეთი გუნდით წასვლა კი არ ღირს, რადგან წარმატების მიღწევა გაგვიჭირდება.

ჩვენ გაძლიერება გვჭირდება და არა მოთამაშეთა დროებით დამატებით, არამედ შესყიდვით. ახალი ფეხბურთელების იმედი მეორე ნრეშიც უნდა გვქონდეს.

კიდევ ერთი საკითხი, რომლის მოგვარებაც თანამეგობრობამდე დაგვჭირდება, ესაა სერიოზული შეკრებისა და რამდენიმე საკონტროლო შეხვედრის ჩატარება. ვფიქრობ, კარგი იქნებოდა ყირიმში წასვლა. უკრაინაში გუნდებთან მოლაპარაკება არ გამიჭირდება და საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან გუნდს შევათამაშებ. იქვე უფრო გამიადვილდება ფეხბურთელების შერჩევა. უკრაინელი ბიჭების დამატება არ გვაწყენდა.

თანაც, ყირიმიდან პეტერბურგში გადაფრენა გაცილებით იოლია და ხარჯიც ნაკლები იქნება, ვიდრე თბილისიდან მგზავრობისას. წლეულს ტურნირი ამ ქალაქში გაიმართება და არა მოსკოვში.

- ეს გადაწყვეტილია?

- დიახ, გარკვეული ცვლილებები მზადდება, მაგრამ საბოლოოდ საკითხი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია.

- შემადგენლობის გაძლიერება ახსენეთ. ეს იქნება "რემონტი" თუ "კოსმეტიკა"?

- ჯერ მიჭირს თქმა, მაგრამ სერიოზული გაძლიერება გვჭირდება.

- უკრაინის ჩემპიონატის ფონზე ჩვენი როგორი საყურებელია?

- ნორმალური, ჩვეულებრივი დონეა. "ზესტაფონი" მომეწონა და ვიცი, ასეთი კიდევ 3-4 გუნდია. თუმცა როდესაც ყველას ვნახავ, აზრსაც მაშინ გამოვთქვამ. აშკარად თვალშისაცემია, რომ აქაურებს ფუნქციური მომზადება, ძალა და სათამაშო დისციპლინა აკლიათ.

- თქვენი აზრით, ამ პრობლემის მოგვარებას დიდი დრო დასჭირდება?

- სხვათა შორის, არა. საკმაოდ მოკლე დროში რადიკალურად შეიძლება ფუნქციური მომზადების დონის გაზრდა. სათამაშო დისციპლინაზე კი ყოველდღიურად ვმუშაობთ.

- დაბოლოს, არასაფეხბურთო კითხვა - თბილისში დაწყებული მღლვარება ხომ არ გაფრთხობთ? საქართველოს ისედაც ერიდებიან, რატომღაც, ბევრს საშიში ქვეყანაც ჰგონია.

- არანაირად არ მაღელვებს ეს ამბები. დასტურად ისიც გამოდგება, რომ წუთი წუთზე აეროპორტში წავალ, სადაც უკრაინიდან მეუღლეს ველოდები.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერები

კობიაშვილის 12 წუთი

ფრე სირაძის გარეშე

ლევან კობიაშვილი

— გუშინ გერმანიის პირველ და მეორე ბუნდესლიგაში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. რამდენიმე დაპირისპირებაში მონაწილეობა ქართველთა კლუბებმაც მიიღეს.

ლევან კობიაშვილის "შალკემ" "ჰერტას" უმასპინძლა. **რაფინიას** მიერ 44-ე წუთზე გატანილი პენალტი ერთადერთი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში. ლევან კობიაშვილი გელზენკირხენელთა სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა ის 78-ე წუთზე **პანდერის** ნაცვლად გამოჩნდა მოედანზე. ამ მოგებით "შალკემ" ქულათა მარაგი 16-მდე გაზარდა, მეორე ადგილზე აინაცვლა და ცხრილის ლიდერ "ბაიერნს" მხოლოდ ქულით ჩამორჩება.

ალექსანდრე იაშვილის "კარლსრუე", რომელიც 12 ქულით მე-6 ადგილზეა დღეს "დორტმუნდსა" შინ ეთამაშება.

მეორე ბუნდესლიგაში გუშინ მხოლოდ **დავით სირაძის** "პადერნბორნმა" ითამაშა - ფრედ "აუგსბურგთან" 1:1. სამწუხაროდ დავით სირაძეს არა თუ არ უთამაშია, არამედ განაცხადში საერთოდ არ ყოფილა. "პადერნბორნს" 8 მატჩში ჯერ არ მოუგია და სამი ფრითა და ამდენივე ქულით ცხრილში ბოლო ადგილი უკავია.

კვირას, 30 სექტემბერს, **ოთარ ხიზანეიშვილის** "ფრაიბურგი" "აუეს" მიიღებს, **მათე ღვინიანიძის** "მიუნხენ 1860" "კობლენცს" დაუხვდება, ხოლო **ილია კანდელაკის, გიორგი ონიანისა და გიორგი სეთურიძის** "კარლ ცაისი" კი "ფიურტს" სტუმრად ეთამაშება.

დავით ცაბაძე

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიფორმოთ ჭალანჭი, სანამ მილიონებად დაფასდება

ლევან ყენია (77)

ლევან ყენიას გერმანიაში გამგზავრებას ჯერაც ვერ დაადგა საშველი. არადა, უკვე კარგა ხანია, მას "შალკეში" ელიან. "ხუმარათა" გულშემატკივრებმა იციან, რომ მათი კლუბი ქართველ ტალანტს ეპატიჟება და ამ თემაზე სჯაბაასიც მოაწყვეს. ვფიქრობთ, რამდენიმე ქომაგის მოსაზრება უინტერესო არ უნდა იყოს. "შალკეს" ფანების დიდ ნაწილს საყვარელ გუნდში ყენიას ხილვა ძალიან სურს, თუმცა საწინააღმდეგო აზრიც არსებობს.

"16 წლისაა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ითამაშა? ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს. ამ ასაკის ფეხბურთელები ბავშვთა ლიგებში ასპარეზობენ, ყენიას კი ასეთი ნახტომი გაუკეთებია. ძალიან საინტერესოა, დიდი სიამოვნებით ვნახავდი მის თამაშს".

"ვნახე ფრაგმენტები საქართველო-უკრაინის მატჩიდან და ლევანი ძალიან მომეწონა. ვერ ვიტყვი, რომ მოედანზე საუკეთესო იყო, მაგრამ მგონი, მას შემდეგ, რაც იგი შეცვლაზე შევიდა, ქართველთა გუნდი უკეთ ათამაშდა. ყენიამ თამაში რამდენიმე მომენტში აიღო საკუთარ თავზე და ეს კარგადაც გამოუვიდა".

"ჰო, მეც გავიგე, რომ თბილისის "ტორპედოში" თუ "ლოკომოტივში" 16 წლის ტალანტი თამაშობს. ნამდვილად გამიჭირდება იმის თქმა, დაიმკვიდრებს თუ არა თავს "შალკეში". ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ჩემპიონატი საკმაოდ სუსტი ტურნირია და იქ კარგად თამაში ბევრს არაფერს ნიშნავს. თუმცა ვნახოთ, ვინ იცის, ეგებ ყენია "შალკეს" მომავალი ვარსკვლავია".

"ბევრი ვეძებე თბილისის "ლოკომოტივის" ვებგვერდი, მაგრამ ვერ მივაგენი. მერე მითხრეს, რომ ამ კლუბს საიტი საერთოდ არა აქვსო. ასე რომ, ყენიაზე საერთოდ არაფერი ვიცი..."

"არ ვიცი, ვინაა ყენია და არც მაინტერესებს. გაიზარდოს თავის ქვეყანაში და თუ რამდენიმე წლის შემდეგ თუნდაც **კობის** დონის ფეხბურთელი დადგება, გამეხარდება, თუ "შალკეში" ვიხილავ. ჩვენი კლუბის ახალგაზრდულ აკადემიას რაც შეეხება, ჩემი აზრით, იქ ასეთ მცირეწლოვან უცხოელებს არ უნდა იღებდნენ. ამით ხომ დიდი ფეხბურთისკენ გზა გერმანელ ბიჭებს ეღობებათ".

"საოცარია, 16 წლისა და ეროვნულ გუნდში? გასაგებია, რომ საქართველოს ნაკრები სუსტი გუნდია, მაგრამ ეს მაინც მოვლენაა. თანაც, იქ მოხვედრა იოლი არავისთვის უნდა იყოს. საქართველოს ნაკრებში ხომ **კობი, კალაძე, ასათიანი, არველაძე, იაშვილი, ხიზანეიშვილი** და **ხიზანიშვილი** თამაშობენ".

"მერე რა, რომ ეროვნული ნაკრების წევრია?! ეს ხომ საქართველოს ნაკრებია, ევროპის ერთ-ერთი უსუსტესი გუნდი".

"მისი თამაშის ვიდეოჩანაწერი ვნახე და აღფრთოვანებული დავრჩი. იგი უდიდესი ტალანტია! იმედია, "შალკეს" ხელმძღვანელობას ეყოფა კეთილგონიერება და ლევან ყენიას სხვას არ დაუთმობს".

"თუ მართლა ასეთი ნიჭიერია, მაშინ ძალიან მიკვირს, "შალკეს" გარდა, სხვა კლუბი რატომ არ დაინტერესებულა მისით?"

"მერე რა, რომ სხვა არ დაინტერესებულა? ეს არაფერს ნიშნავს, თავის დროზე **დიეგო** მხოლოდ "ვერდერს" სურდა, დღეს კი ბრემენელებს მადრიდის "რეალი" ახევს კალთებს. ასე რომ, ვინ იცის, ეგებ ყენიაც მისი დონის ფეხბურთელი დადგეს? არა მგონია, "შალკეს" ხელმძღვანელობას ლევანის გელზენკირხენში ჩამოყვანა და მისი აქ ცხოვრება ძალიან ძვირი დაუჯდეს. დავარქვათ ამას ექსპერიმენტი. ვფიქრობ, საკმაოდ დიდია იმის შანსი, რომ ექსპერიმენტმა გაამართლოს და უახლოეს მომავალში "შალკეს" მხოფლიო დონის ვარსკვლავი ჰყავდეს".

"არ შეიძლება 16 წლის ბიჭზე ასეთ აღმატებით ხარისხში საუბარი, თუნდაც იგი მსოფლიოს ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელი იყოს. ჩვენ ვართ "შალკეს" გულშემატკივრები და თინეიჯერებზე არ უნდა გადავირიოთ. თუ ყენია კარგ ფეხბურთელად დადგება, კი ბატონო, მერე ვაქოთ, ჯერჯერობით კი მხოლოდ 16 წლის ყმაწვილია, თანაც ჩამორჩენილი საფეხბურთო ქვეყნიდან. მოდით, მეტი პატივი ვცეთ საკუთარ კლუბს, მართალია, "შალკე" არც "რეალია" და არც "მანჩესტერი", მაგრამ გერმანული მასშტაბის გრანდი ნამდვილადაა".

"რა გრანდი, რის გრანდი... დღესდღეობით, "შალკეს" ნამდვილად არა აქვს იმის ფუფუნება, რომ ტალანტები გაუშვას ხელიდან. ხედავთ ჩვენს გუნდში ვინმეს, ვისაც ვთქვათ, ბაიერნელ **ტონი კროოსთან** მიახლოებული მონაცემები აქვს. ჯობია, "შალკეს" აკადემიაში გამორჩეული ყმაწვილები მოვიზიდოთ, თუნდაც არაგერმანელები. სხვაგვარად, ჩვენს გუნდს არც გერმანიის ჩემპიონობა ეღირსება და არც ევროთასებზე წარმატება. დღევანდელი "შალკე" ძალიან არ მომწონს, საშუალო დონის ლეგიონერებითაა სავსე".

"როგორც იქნა, ერთ-ერთი ქართული საიტის ინგლისურენოვანი ვერსია ვიპოვე, სადაც ყენიაზე მცირე ინფორმაციაა. ერთი შეხედვით, საინტერესო ფეხბურთელია, ჩამოვიდეს "შალკეში", შანსი აუცილებლად უნდა მიეცეს".

"არ ვიცი, ვინაა ყენია, მაგრამ "შალკე" მას ყურადღებით უნდა დაჰკვირდეს. ხომ შეიძლება, რომ წლების მერე მისი ფასი რამდენიმე მილიონი იყოს, ამიტომ სჯობს, "შალკემ" ახლავე გაუფორმოს კონტრაქტი".

მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა

აჭარის ფეხბურთის ფედერაცია ახალ პრეზიდენტს აირჩევს



ალექსანდრე ახვლედიანი

„ვთვლი, რომ საკუთარი შესაძლებლობები ამ თანამდებობაზე ამოვწურე. ახლა დროა, ასპარეზი სხვას დავუთმო", - განაცხადა ორიოდ დღის წინათ გამართულ აჭარის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე ორგანიზაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე ახვლედიანმა. ჩვენი ინტერვიუც ამ თემაზე საუბრით დავიწყეთ.

- არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ აპირებთ, იქნებ მიზეზიც გვითხრათ...

- როგორც აღვნიშნე, საკუთარი შესაძლებლობები ამოვწურე. აჭარაში ფეხბურთის განვითარების ახალი ეტაპი უნდა დაიწყოს და ამისთვის, პირველ რიგში, ახალი სისხლია საჭირო. თუმცა იმასაც გეტყვით, რომ ქართული ფეხბურთის სამსახურში დავრჩები და შეძლებისდაგვარად დავეხმარები როგორც ფედერაციას, ასევე ბათუმის „დინამოსაც".

- არჩევნები როდის გაიმართება?

- 25 ოქტომბერს. სავარაუდოდ, 40 დელეგატი იქნება და მათგან ხმის მიცემის უფლება 22-ს ექნება. დარწმუნებული ვარ, ღირსეულ პიროვნებას აირჩევენ.

- ბათუმის „დინამოს" ძალიან ცუდი პერიოდი უდგას, ახლახან გუნდი მთავარმა მწვრთნელმაც დატოვა, თქვენც მიდიხართ...

- მესმის რისი კითხვაც გინდათ. პასუხისმგებლობას არასდროს გავურბივარ, მაგრამ ძალიან გთხოვთ, კლუბსა და ფედერაციას ერთმანეთში ნუ ავურევთ. „დინამო" ცალკე იურიდიული პირია. ერთსაც გეტყვით, ბათუმის „დინამომ" უმაღლეს ლიგაში ამდენ ხანს ადგილი რომ შეინარჩუნა, ამაში ჩვენც მიგვიძღვის წვლილი და ვერავინ იტყვის, რომ კლუბისთვის არაფერი გაგვიკეთებია.

რაც შეეხება ამირან გოგიტიძეს, მან გუნდისთვის ყველაფერი გაიღო. თანაც, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რა რესურსები იყო მის განკარგულებაში, შედეგი სავსებით ლოგიკურია. ნლეულს, ფაქტობრივად, გუნდს მოსამზადებელი პერიოდი არ გაუვლია. სამწუხარო ფაქტი მოხდა, რომ ზედ ჩემპიონატის დაწყების წინ, კლუბიდან წავიდნენ ის ფეხბურთელები, რომლებსაც „დინამოს" ბირთვი უნდა შეეკრათ. ასე რომ, გოგიტიძეს არაფერში ვამტყუნებ. ჩავარდნა ყველა გუნდს აქვს და არც ბათუმის „დინამოა" გამონაკლისი.

- სფფ საქმის კურსშია?

- რა თქმა უნდა, ჩვენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა საქმის კურსში ჩავაყენეთ.

- დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ამდენი მინი-სტადიონების ფონზე ქალაქს ერთი ცენტრალური არენა არ გააჩნია...

- მინი-მოედნების დაგება, პირველ რიგში, ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება ცენტრალურ სტადიონს, გადაწყვეტილია, რომ მისი მშენებლობა ანგისაში, მომავალი წლის იანვარში დაიწყება. აქვე გეტყვით იმასაც, რომ დასრულდა ფედერაციის ახალი ოფისის მშენებლობა. იგი ხიმშიაშვილის ქუჩის №12-ში, სასტუმრო კომპლექს „მარინას" გვერდითაა განთავსებული და მაღალ სტანდარტებს აკმაყოფილებს.

- არჩევნებს დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობთ, რამდენად დიდი იქნება კონკურენცია?

- თავდაპირველად აღვნიშნავ, რომ 25 ოქტომბრამდე ერთი კვირით ადრე შეწყდება პრეზიდენტობის მსურველთა განაცხადების მიღება. რაც შეეხება კონკურენციას, არა მგონია, დიდი იყოს.

- თქვენ თუ მიიღებთ კანდიდატთა განხილვაში მონაწილეობას?

- რა თქმა უნდა, მივიღებ. თუმცა საერთო გადაწყვეტილებას აღმასკომი მიიღებს.

- თქვენს მემკვიდრეს რა რჩევას მისცემთ?

- მხოლოდ ერთს - დაეხმაროს ქართულ ფეხბურთს, დიდი ყურადღება დაუთმოს ბავშვთა ფეხბურთს და შეძლებისდაგვარად დაუდგეს გვერდში ბათუმის „დინამოს". 1925 წლიდან იღებს კლუბის ისტორია სათავეს და ძალიან არ მინდა, იგივე ბედი გაიზიაროს, რაც ფოთის „კოლხეთმა", ქუთაისის „ტორპედომ" და ლანჩხუთის „გურიამ".

ირაკლი დარცმელიძე
ბათუმიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. VI ტურის წინ

რომა თუ ინტერი? ტოტი თუ ზლატანი?

ზლატან იბრაჰიმოვიჩი

ფრანჩესკო ტოტი

დღეს

რომა-ინტერი
ლივორნო-ფიორენტინა

ხვალ

კალიარი-სიენა
ემპოლი-პალერმო
მილანი-კატანია
ნაპოლი-ჯენოა
რეჯინა-ლაციო
სამპდორია-აბალანტა
ულინეზი-პარმა
ტორინო-იუვენტუსი

სიმბოლურია, რომ "რომა"-"ინტერის" პრინციპული დაპირისპირება სწორედ იმ დროს იმართება, როცა ორივე გუნდი სატურნირო ცხრილს თანაბარი ქულებით ლიდერობს. თუმც ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის ჯახი ყველა ვარიანტში ნომერი პირველი მოვლენა იქნებოდა. სერია A-ს დაწყებამდე მათ უკვე მოსინჯეს ძალები იტალიის სუპერთასზე. ფრიად საინტერესო თამაში, "სან სიროზე", "რომას" გამარჯვებით 1:0 დასრულდა. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს არის მატჩი ფავორიტის გარეშე. ბრძოლა იქნება მოედნის თითოეულ გოჯზე, თითოეული ბურთისთვის, თითოეული კაცისთვის. მართალია, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** უარყოფს - ეს არ იქნება დაპირისპირება ჩემსა **ფრანჩესკო ტოტის** შორისო, მაგრამ უდავოა, რომ რაღაც ფარული, ვირტუალური შერკინება მაინც გაიმართება, რადგან დღეს ორივემ უნდა დაამტკიცოს, რომ გუნდის ლიდერია. ტოტი ვახსენეთ და, "რომას" კაპიტანი, რომელმაც ოთხშაბათს "ფიორენტინასთან" მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა, ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ გახლავთ. მაგრამ სურვილი, დაეხმაროს საყვარელ გუნდს უმნიშვნელოვანეს თამაშში, უდიდესია, შესაბამისად, ტოტი მოედანზე იქნება. ტრავმის შემდეგ ფეხზეა **სიმონე პეროტაც**.

მაგრამ **ლუჩანო სპალეტი** მაინც ვერ ასცდა პრობლემებს. ტრავმირებულია სამი წამყვანი ფიგურა, **მარკო კასეტის, რობერტო აკვილანისა** და **როდრიგო ტადეის** სახით. პოტენციურად, "ჯალოროსის" სამივეს შეცვლა სრულფასოვნად შეუძლია, მაგრამ ნახეთ - მარჯვენა მცველი **სისინიო** ჯერ ვერ არის ფორმაში, აკვილანის შესაცვლელად გამზადებული **დავიდ პისაროც** დიდხანს მკურნალობდა და ისიც შორსაა საკადრისი კონდიციებისგან, და ერთადერთი ტადეია, რომელსაც **ლუდოვიკ ჟიულის** სახით შესაფერისი რეზერვი ჰყავს. თუმც ბევრისთვის საკითხავია, ვინ ვისი რეზერვია და ვინ უფრო იმსახურებს ძირითადში თამაშს...

აქედან გამომდინარე, "ინტერს" თითქოს უპირატესობა უნდა ჰქონდეს შუა ხაზში, მაგრამ **რობერტო მანჩინიც** ანუხებს საკადრო პრობლემები. კვლავ ვერ ითამაშებს **პატრიკ ვიეირა**. მაგრამ "ნერაძურის" მწვრთნელს ისიც უნდა აფიქრებდეს, რომ ამ ზონაში, ჯერჯერობით, ვერც საღსალამათი მოთამაშეები არიან სათანადო ფორმაში. მანჩინომ ეს "სამპდორიასთან" შეხვედრის შემდეგ აღიარა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მატჩი "ინტერისთვის" ამ სეზონში საუკეთესო იყო. ამდენად, ნახევარდაცვაში ფეხბურთელების ხშირი ცვლა არა როტაციული აუცილებლობით, არამედ, სწორედაც რომ ზემოხსენებული მიზეზითაა ნაკარნახევი. გაურკვეველია და მხოლოდ ვარაუდებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, საყრდენად **ესტებან კამბიასო** იდგება თუ **ოლივიე დაკური**. ვერ არის ფორმაში **დეიან სტანკოვიჩიც**, მაგრამ მანჩინის დღეს მისი სრულფასოვანი შემცვლელი არ ჰყავს. სასტარტოში ნამდვილად იქნება **ლუიმ ფიგუ**, რომელმაც "სამპთან" მატჩში გოლიც გაიტანა და, რაც მთავარია, სანაქებოდაც ითამაშა. რაც შეეხება დაცვას, აქ სიახლეა ის, რომ ტრავმის შემდეგ **კრისტიან კივუ** დაბრუნდება. მაგრამ ვერ ითამაშებს ბრაზილიელი მარჯვენა მცველი **მაიკონი**, რომელსაც ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს.

სავარაუდო შემადგენლობა

რომა: კ. დონი, პანუჩი, მექსე, ჟუანი, ტონეტო, დე როსი, პისარო, ჟიული, პეროტა, მანსინი, ტოტი.

ინტერი: ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, კორდობა, სამუელი, კივუ, ფიგუ, კამბიასო, სტანკოვიჩი, სეზარი, კრესპო, იბრაჰიმოვიჩი.

დღესვე, ტოსკანურ დერბიში "ლივორნო"-"ფიორენტინას" უმასპინძლებს. შეიძლება ითქვას, რომ **ფერნანდო ორსისთვის** ეს მატჩი ერთ-ერთი გადამწყვეტია იმათგან, რომელიც მწვრთნელს ახლო მომავალში ელოდება. "ლივორნოს" პრეზიდენტმა **ალდო სპინელიმ** მკაცრად გააფრთხილა ორსი, რომ თუ სასწრაფოდ შედეგებს არ გამოასწორებს, თანამდებობას გამოეთხოვება. "ლივორნომ" მისთვის დღემდე არნახული სატრანსფერო კამპანია გასწია და გასაგებია, რომ სპინელის ბოლოსწინა ადგილი არ აკმაყოფილებს. ალბათ, ორსი სკამზე დასვამს **ფრანჩესკო ტავანოსა** და **დიეგო ტრისტანს**. მათ ხელში თავდასხმა ვერ გამოცოცხლდა. კიდევ ერთი ფორვარდი **ფაუსტო როსინი** ტრავმირებულია. "ფიორენტინას" პრობლემა აქვს ნახევარდაცვაში. "რომასთან" მატჩში გაძევების გამო, **მარკო დონადელს** უქმად ყოფნა მოუწევს.

კრიზისში მყოფი "მილანი" ნავსის გატეხვას "კატანიასთან" ეცდება. "როსონერის" პირველი ტურის შემდეგ არ გაუმარჯვია - ზედიზედ 3 ფრე და ერთი მარცხი. სხვა საყურადღებო დეტალი, რაც წინა ტურის მიმოხილვაში აღვნიშნეთ: "მილანის" ფორვარდებს ჩემპიონატში გოლი ჯერ არ გაუტანიათ. არადა, **კარლო ანჩელოტის** არჩევანი არ აქვს. ის იძულებულია, დაელოდოს, როდის გაეხსნებათ საგოლე მადა **ფილიპო ინძაგისა** და **ალბერტო ჯილარდინოს**. ტრადიციულად, კარლეტო ერთი გამოკვეთილი ფორვარდით იწყებს თამაშს. თუმცა არ გამოვრიცხავთ, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ინძაგიმ და ჯილარდინომ "კატანიას" თავიდანვე ერთად შეუტიონ. სტუმრებს ნახევარდაცვაში ორი წამყვანი მოთამაშე არ ეყოლებათ: **დავიდე ბაიოკო** და **ჯაკომო ტედესკო** ერთმატჩიან სასჯელს იხდიან.

რაკი პირველი მატჩი მოვიგეთ, ახლა ფსიქოლოგიური ტვირთი მოგვეხსნა და უფრო თავისუფლად ვითამაშებთო, განაცხადა "ლაციოს" მწვრთნელმა **დელიო როსიმ** "კალიარისთან" გამარჯვების შემდეგ. "ლაციალე" უნდა ესტუმროს "რეჯინას", რომელსაც ჯერ გამარჯვება არ აქვს და ბურთების უარესი სხვაობის გამო ბოლო ადგილზეა. ორივე გუნდი საბრძოლო შემადგენლობით იქნება.

მოგება არ აქვს შარშანდელი სეზონის აღმოჩენად წოდებულ "ემპოლის", რომელიც "პალერმოს" მასპინძელი იქნება. "მილანთან" მოგების შემდეგ სიცილიელები კარგ განწყობაზე არიან და წარმატებული სერიის გაგრძელებას აპირებენ. **სტეფანო კოლანტუონოს** შემადგენლობის კორექტირების საფუძველი არ აქვს. ჯერჯერობით, ვერაფერს შეცვლის მისი კოლეგა **ლუიჯი კანიც**, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საამისოდ შესაფერისი საკადრო პოტენციალით ვერ დაიკვეხნის.

სერია B-დან გადმოსული "ნაპოლი" და "ჯენოა" ერთმანეთს "სან პაოლოზე" ხვდებიან. მატჩი ცარიელი ტრიბუნების თანხლებით ჩატარდება. საქმე ისაა, რომ "ნაპოლი"-"ლივორნოს" მატჩის მსვლელობისას ადგილობრივი ქომაგები უწესრიგობით გამოირჩეოდნენ, მოედანზე ათასგვარ საგნებს ისროდნენ და მეტოქე გუნდის შეურაცხმყოფელ ბანერებსაც აფრიალებდნენ. სხვათა შორის, ერთ-ერთი საგანი ლაინსმენსაც მოხვდა. იტალიის საფეხბურთო ლიგამ მიზანშეწონილად ჩათვალა, ახლავე დაესაჯა "სან პაოლო", რათა მომავალში უარესი გართულება აიცილოს თავიდან...

"ჯენოამ" პირველი გამარჯვება ოთხშაბათს ("უდინეზესთან" შინ, 3:2) მოიპოვა, "ნაპოლი" კი პირველ ტურში საკუთარ მოედანზე ნაგების შემდეგ არ დამარცხებულა. მოსალოდნელია, რომ მასპინძელთა მწვრთნელი **ედოარდო რეია** ძირითადში დააბრუნებს არგენტინელ ფორვარდ **ეზეკილ ლავეცის**. "ჯენოას" კი, დისკვალიფიკაციის გამო, მთავარი მეკარე **რუბინიო** დააკლდება.

საინტერესო თამაში უნდა იყოს "უდინეზე"-"პარმა", რომელშიც **პასკუალე მარინო** და **დომენიკო დი კარლო** სამ-სამი ფორვარდით აპირებენ თამაშს. უდინელებს ტრავმირებული ჰყავთ ორი წამყვანი ნახევარმცველი - **კრის ობოდო** და **ჯამპიერო პინცი**. "კალიარისთან" გასვლით მატჩში, "სიენას", რომელსაც ჯერ 3 ქულა არ ღირსებია, ორი მნიშვნელოვანი ფიგურა დააკლდება, **ტომას ლოკატელისა** და **ენრიკო კიეზას** სახით.

დაბოლოს, ტურინული დერბი, ამ ტურის კიდევ ერთი ინტრიგა. ზედიზედ 4 ფრის შემდეგ, "ტორინომ" ამ დღეებში "პარმასთან" წააგო. "ბროწეულების" პრობლემაა შემტევი ნახევარმცველის **ალესანდრო როზინას** ტრავმა. თუმცა ამ მხრივ, "იუვენტუსი" უარეს დღეშია. **კლაუდიო რანიერი** ვერ დაიხმარს **მაურო კამორანეზის, ვინჩენცო იაკუინტასა** და **ანდრადეს**. დისკვალიფიცირებულია **ჯონათან ზებინა**. ეჭვი არ არის, რომ რანიერი ძირითადში დააბრუნებს **ალესანდრო დელ პიეროსა** და **პაველ ნედვედს**, რომლებმაც "რეჯინასთან" მატჩი გამოტოვეს. შესაძლოა, კვლავ სასტარტოში ვიხილოთ პორტუგალიელი ნახევარმცველი **ტიაგო მენდეში**, რომელმაც "რეჯინასთან" ხსენებულ შეხვედრაში შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რომა	5	3	2	0	11-4	11
2. ინტერი	5	3	2	0	10-3	11
3. იუვენტუსი	5	3	1	1	14-6	10
4. ნაპოლი	5	3	1	1	8-2	10
5. პალერმო	5	3	1	1	8-6	10
6. ფიორენტინა	5	2	3	0	9-6	9
7. ატალანტა	5	2	3	0	8-5	9
8. უდინეზი	5	2	1	2	6-9	7
9. მილანი	5	1	3	1	7-5	6
10. ლაციო	5	1	3	1	6-5	6
11. პარმა	5	1	3	1	6-6	6
12. ჯენოა	5	1	3	1	4-6	6
13. კატანია	5	1	2	2	3-5	5
14. სამპდორია	5	1	2	2	2-6	5
15. კალიარი	5	1	1	3	6-8	4
16. ტორინო	5	0	4	1	6-8	4
17. სიენა	5	0	3	2	4-8	3
18. ემპოლი	5	0	2	3	1-6	2
19. ლივორნო	5	0	2	3	6-13	2
20. რეჯინა	5	0	2	3	3-11	2

სანქცია

ნოველინოს ეშმაკობა ძვირად დაუჯდა

ვალტერ ნოველინო

"ტორინოს" მწვრთნელი **ვალტერ ნოველინო** "პარმასთან" ოთხშაბათის მატჩის დროს ტრიბუნაზე იჯდა. იტალიის საფეხბურთო ლიგამ ის "სიენასთან" საკვირაო თამაშის მსვლელობისას არბიტრ **ანდრეა ჯერვაზონის** შეურაცხყოფის გამო დასაჯა. როგორც გაირკვა, "პარმასთან" მატჩის შესვენებისას "ტოროს" თავკაცი გასახდელში ჩაბრძანდა, რისი უფლებაც არ ჰქონდა. ნოველინო, თურმე, საშხაპესა და გასახდელს შორის პატარა ოთახში დაიმალა და შეგირდებს მითითებებს იქიდან აძლევდა. მწვრთნელის მალულმა ქადაგებამ გუნდს ვერ უშველა. სწორედ მეორე ტაიმში გაუშვეს "ბროწეულებმა" ორი მშრალი გოლი და სეზონში პირველი მარცხი იწვნიეს. ნოველინოს კი იტალიის საფეხბურთო ლიგის სადისციპლინო კომისიამ ჯარიმის სახით 10 000 ევროს გადახდა დააკისრა, დისკვალიფიკაცია კი აღარ გაუგრძელა.

გულახდილი აღიარება

ამაური: ხელი იყო!

"პალერმო"-"მილანის" მატჩს დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. "როსონერის" მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** მარცხის (1:2) მიზეზი არბიტრ **სტეფანო ფარინას** შეცდომებში დაინახა. ამის თაობაზე მიმოხილვაში ჩვენც ვწერდით. შეგახსენებთ, რაც მოხდა: 73-ე წუთზე, როცა სიცილიელები 0:1-ს აგებდნენ, მათ ერთ-ერთ იერიშს საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა. იქ "პალერმოს" ფორვარდი **კარვალიო ამაური** მაღლა შეხტა, ბურთი ჩამოიღო და **აიმო დიანას** საგოლედ გადააწოდა. ანგარიში გათანაბრდა, მილანელები კი ამაოდ ცდილობდნენ არბიტრის დარწმუნებას იმაში, რომ ბრაზილიელს ბურთი ხელზე მოხვდა. ვიდეორეფერის პრაქტიკა დანერგილი რომ ყოფილიყო, ფარინა გოლს ნამდვილად არ ჩათვლიდა. არადა, ტელეგამეორებამ, თანაც ყველა რაკურსით, ნათლად დააფიქსირა, რომ თავდამსხმელმა მართლაც ხელით ითამაშა...

ეტყობა, ამაური სინდისის ქენჯნამ შეანუხა და გუშინ პრესას "აღიარებითი ჩვენება" მისცა. მან ხელით თამაში დაადასტურა: *"უხერხული სიტუაცია იყო და ვცდილობდი, ბურთი როგორმე მხრით გამეჩერებინა, მაგრამ ხელში მომხვდა. თუმცა ეს არ ყოფილა გამიზნული ქმედება, უნებლიედ მომივიდა. ახლა იმასაც ვფიქრობ, "მილანისთვის" დიდი ანგარიშით რომ მოგვეგო, ამ ეპიზოდს არავინ გაიხსენებდა".*

ანჩელოტისგან განსხვავებით, **კლარენს ზეედორფმა** ("მილანისგან" გოლი სწორედ მას ეკუთვნოდა) ეს ეპიზოდი, და საერთო თამაში, გაცილებით საღად შეაფასა: *"შეიძლება, არბიტრმა შეცდომები დაუშვა, მაგრამ არა მგონია, მარტო ეს იყოს "მილანის" მარცხის მიზეზი. შეცდომები ჩვენც მრავლად გვქონდა და ვთვლი, რომ პრობლემები, პირველ რიგში, საკუთარ თამაშში უნდა ვეძებოთ".*



კარვალიო ამაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. VIII ტურის წინ

იქნებ, ლევერკუზენმა ქნას?

გუშინ

შალკე-პერტა 1:0

დღეს

ვერდერი-არმინია
ლევერკუზენი-ბაიერნი
ჰამბურგი-ვოლფსბურგი
ბოხუმი-ნიურნბერგი
კარლსრუე-ბორუსია
პანზა-შტუტგარტი

ხვალ

ჰანოვერი-დუისბურგი
კოტბუსი-აინტრახტი

მიროსლავ კლოზე და შტეფან კისლინგი

არის თუ არა შესაძლებელი, რომ "ლევერკუზენს" "ბაიერნისთვის" ყველაზე საშიში მეტოქე ეწოდოს, ამის განსაზღვრა მკითხველისთვის მიგვინდვია, ფაქტი კი ის გახლავთ, რომ რეკორდმაისტერი ხვდება გუნდს, რომელიც მასთან ყველაზე ახლოსაა - მეორე ადგილზე და ლიდერს 3 ქულით ჩამორჩება. მიუნხენური გიგანტი წაუგებელია და შეუძლია თუ არა "ლევერკუზენს" ის, რომ ბუნდესლიგის ფავორიტს პირველი მარცხი აგემოს, ესეც დღეს გამოჩნდება. ფაქტი ისიცაა, რომ "ფარმაცევტები" შესანიშნავ ფორმაში არიან - **მიხაელ სკიბეს** გუნდმა ზედიზედ სამი თამაშის მოგება შეძლო და **შტეფან კისლინგის** სახით ჰყავს ფორვარდი, რომელიც დღესდღეობით "ფარმაცევტებში" ყველაზე გამორჩეული მოთამაშეა. სკიბემ შვებით ამოისუნთქა, რადგან ლაზარეთიდან ბრუნდება და დღეს თამაშს შეძლებს გუნდის ლიდერი **ბერნდ შნაიდერი**. ჩვენი გერმანელი კოლეგები იხსენებენ იმ დროს, როცა "ბაიერი" "ბაიერნის" ნომერ პირველი კონკურენტი იყო (**კრისტოფ დაუმისა** და **კლაუს ტოპმოლერის** ხელში) და იმედოვნებენ, რომ ლევერკუზენელები მრისხანე მეტოქეს ამჯერადაც მედგარ წინააღმდეგობას გაუწევენ. წინა ტურში შესანიშნავი დებიუტი ჰქონდა 17 წლის **ტონი კროოსს**, მაგრამ ეს უკანასკნელი დღეს არითამაშებს - **ოტმარ ჰიტცფელდმა** კროოსი მოყვარულთა გუნდში დაიბრუნა.

დორტმუნდის "ბორუსიის" განადგურების შემდეგ (3:0 ვესტფალენშტადიონზე), "ჰამბურგი" ეიფორიაშია. თავად განსაჯეთ, თვით HSV-ს თავკაცმა **ჰუუბ სტევენსმაც** კი, რომელიც თავის შეგირდებს ყოველთვის აკრიტიკებს ხოლმე, ამ მატჩის შემდეგ თქვა, ჩემმა ბიჭებმა დღეს ყველაფერი ფრიადზე გააკეთესო. თუკი ჩრდილოელები დღეს "ვოლფსბურგსაც" დაამარცხებენ, მოწინავე ოთხეულში დამკვიდრდებიან. "ჰამბურგს" დღეს **რომეო კასტელენი** ვერ დაეხმარება. ამ უკანასკნელმა მყესები გაიწყვიტა და იძულებითი პაუზა გამოიწერა. სამაგიეროდ, დისკვალიფიკაცია მოიხადა და ითამაშებს **გი დემელი**. მართალია, **მიშო ბრეკომ** მის პოზიციაზე საკმაოდ კარგად ითამაშა, მაგრამ დემელი შეუცვლელია. "ვოლფსბურგის" თავკაც **ფელიქს მაგათს** ძალიან უნდა, რომ მშობლიური ქალაქიდან მინიმუმ ქულა წაიღოს. როგორც იცით, მაგათმა აქტიური სპორტული კარიერის საუკეთესო წლები "ჰამბურგში" გაატარა, მერე კი HSV-ს თავკაციც გახლდათ.

"ვერდერს" ისედაც ბევრი ფეხბურთელი ჰყავდა ტრავმირებული და შუა კვირაში გამართული ტურის შემდეგ, "მუსიკოსების" მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. გარკვეულია, რომ "არმინიასთან" ტრავმის გამო ვერ იასპარეზებს კაპიტანი **ფრანკ ბაუმანი**. ტრავმა აწუხებს **დიეგოსაც** და "ვერდერის" მთავარი მწვრთნელი **თომას შააფი** იმედოვნებს, რომ მისი გუნდის ბრაზილიელი ლიდერი მატჩამდე გამოჯანმრთელებას მოასწრებს. ბილეფელდურ კლუბში კი ემოციები ჩაცხრა - შესანიშნავი სტარტის შემდეგ, "არმინიამ" ბოლო 4 მატჩიდან 3 მატჩი წააგო და თანაც, სამივე უიმედო ანგარიშით: 0:3, 0:3, 0:2.

"შტუტგარტმა" წინა ტურში "ბოხუმი" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა და ჩემპიონებმა შვებით ამოისუნთქეს. მაგრამ შვაბები ამბობენ, ამ გამარჯვებას არანაირი ღირებულება არ ექნება, თუკი როსტოკშიც არ მივაღწევთ წარმატებასო. მაგრამ აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ "შტუტგარტი" ერთადერთი გუნდია ბუნდესლიგაში, რომელსაც მიმდინარე სეზონში გასვლით შეხვედრაში ჯერ ერთი ქულაც კი არ აუღია. "ჰანზამ" საშინელი სტარტის შემდეგ, ზედიზედ ორი თამაში მოიგო და შესაბამისად, მეკლენბურგელებიც დამშვიდდნენ. საინტერესოა ისიც, რომ "შტუტგარტის" თავკაცი **არმინ ფეე** "ჰანზას" ყოფილი დამრიგებელია.

ნირწამხდარი "ბორუსია" იმ "კარლსრუეს" სტუმრობს, რომელმაც სენსაციებს მიგვაჩვია. **ალექსანდრე იაშვილის** გუნდი მე-6 პოზიციაზეა, KSC-ს ოთხიდან სამი გასვლითი თამაში მოგებული აქვს და მწვრთნელი **ედე ბეკერი** იმედოვნებს, რომ მისი შეგირდები ამჯერად საკუთარი პუბლიკის წინაშეც მიაღწევენ წარმატებას. "კარლსრუეს" **ანდრეას გიორლიტცი** ჰყავს დისკვალიფიცირებული, "დორტმუნდს" კი **ფლორიან კრინგე**. საინტერესოა ისიც, რომ "ბორუსიის" ნახევარმცველი **ჯოვანი ფედერიკო** ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაშობს. ამ უკანასკნელმა "კარლსრუეში" გატარებულ ბოლო ორ სეზონში 33 გოლსა და 22 საგოლე პასს მოიყარა თავი, BVB-ში კი, ჯერ-ჯერობით, არაფერი გამოსდის - მხოლოდ 1 გოლი 6 თამაშში. დღესვე, "ბოხუმი" "ნიურნბერგს" უმასპინძლებს და ეს თამაში ორივე გუნდისთვის ერთ-ერთი უკანასკნელი შანსია. თუკი "ბოხუმის" პრობლემა ისაა, რომ გუნდი საგოლე მომენტებს ვერ ქმნის, **ჰანს მაიერის** სამწყსოს შემთხვევაში განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე - ნიურნბერგელები არაერთ მომენტს ქმნიან, მაგრამ შანსებს ქარს ატანენ.

ხვალ, "ჰანოვერი" "დუისბურგს" მიიღებს და ფავორიტი, რა თქმა უნდა, მასპინძელთა გუნდია. ხოლო აუტსაიდერი "კოტბუსი" კი, რომელმაც ახალ მწვრთნელს სლოვენიაში (!) მიაგნო, საკუთარ "ფროინდშაფტზე" ფრანკფურტის "აინტრახტს" უმასპინძლებს.

	თ	ა	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბაიერნი	7	5	2	0	21-3	17
2. შალკე	8	4	4	0	15-6	16
3. ლევერკუზენი	7	4	2	1	11-3	14
4. ჰამბურგი	7	4	1	2	9-5	13
5. პერტა	8	4	0	4	11-12	12
6. კარლსრუე	7	4	0	3	8-10	12
7. აინტრახტი	7	3	2	2	7-6	11
8. ვერდერი	7	3	2	2	10-12	11
9. შტუტგარტი	7	3	1	3	9-10	10
10. არმინია	7	3	1	3	11-13	10
11. ჰანოვერი	7	3	1	3	9-12	10
12. ბორუსია	7	3	0	4	11-13	9
13. ვოლფსბურგი	7	2	2	3	10-11	8
14. ბოხუმი	7	2	2	3	8-10	8
15. დუისბურგი	7	2	0	5	8-11	6
16. ჰანზა	7	2	0	5	8-12	6
17. ნიურნბერგი	7	1	2	4	6-10	5
18. კოტბუსი	7	0	2	5	3-16	2

ევრო 2008

უეფამ კონტურები მოხაზა

იტალია, საფრანგეთი და ინგლისი ერთ ჯგუფში?

უეფამ, მომავალ ზაფხულს, ავსტრიასა და შვეიცარიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის კონტურები მოხაზა. დიდი შანსია, რომ ფინალურ ეტაპზე მინიმუმ ერთი სიკვდილის ჯგუფი შეიქმნას - მაგალითად, ისეთი, სადაც იტალია, საფრანგეთი და ინგლისი (!) ერთად ითამაშებენ.

ევროპის მოქმედი ჩემპიონები პირველ კალათაში განითესებიან

ევრო 2008-ის ფინალური ეტაპის წილისყრა 2 დეკემბერს, ლუცერნშია დაგეგმილი და ამთავითვე ცხადია, რომ ტურნირის მასპინძლები, შვეიცარია და ავსტრია პირველ კალათაში იქნებიან განთესილები და შესაბამისად, A და B ჯგუფებში, პირველი რანგის სტატუსით მოხვდებიან. ეს გადაწყვეტილება უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა სტამბულის ყრილობაზე მიიღო. ცნობილია ისიც, რომ მესამე, ანუ C ჯგუფის თავი, ევროპის მოქმედი ჩემპიონი, საბერძნეთის ნაკრები იქნება (თუ, რა თქმა უნდა, სასწაული არ მოხდება და **ოტო რეჰაგელის** შეგირდები ევროპის ჩემპიონატს მიღმა არ დარჩებიან). საბერძნეთს, საკვალიფიკაციო ეტაპზე დღესდღეობით, 19 ქულა აქვს და C ჯგუფის ლიდერია, უსწრებს რა თურქეთსა და ნორვეგიას (ორი ქულით). რომელი ნაკრები იქნება მეოთხე, ანუ D ჯგუფის თავი? გაირკვა, რომ ამ სტატუსით ის გუნდი ისარგებლებს, რომელსაც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპსა და ევროპის ჩემპიონატის მიმდინარე საკვალიფიკაციო ეტაპზე, ჯამში საუკეთესო მაჩვენებელი ექნება.

იმის გამო, რომ გერმანიის ნაკრებს 2006 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩები (როგორც მასპინძელს) არ ჩაუტარებია, ბუნდესგუნდის შემთხვევაში ყურადღება მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის მიმდინარე საკვალიფიკაციო მატჩებს მიექცევა. ამ მხრივ კი გერმანიას, ჯერ-ჯერობით, ბადალი არ ჰყავს, მაგრამ ჩინებული შანსი აქვს მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ იტალიასაც, რომელიც დღესდღეობით ფიფას მსოფლიო რეიტინგს უდგას სათავეში.

ტრადიციულად იარსებებს კიდევ სამი კალათა: მეორე, მესამე და მეოთხე. თუკი ფიფას რეიტინგის აქტუალურ მდგომარეობასა და საკვალიფიკაციო ეტაპების ჯამურ მაჩვენებლებს დავეყრდნობით, გამოდის, რომ მეორე კალათაში ეს გუნდები მოთავსდებიან: გერმანია (ან იტალია), ჰოლანდია, საფრანგეთი და ესპანეთი. ხოლო ისეთ ტოპ-გუნდებს კი, როგორებიცაა პორტუგალია, ინგლისი და ჩეხეთი, მესამე კალათაში ყოფნით მოუწევთ დაკმაყოფილება. ამრიგად, შესაძლოა, ერთ ჯგუფში მოხვდნენ იტალიის, საფრანგეთისა და ინგლისის ნაკრები გუნდები. ცნობილია ისიც, თუ რომელ ქალაქებში რომელი ჯგუფის მატჩები ჩატარდება. როგორც იცით, შეხვედრები ორივე ქვეყანაზე თანაბრად გადანაწილდება: ავსტრიასაც და შვეიცარიასაც 4-4 ქალაქი წარმოადგენს. A ჯგუფის მატჩები ბაზელსა და ჟენევაში გაიმართება, B ჯგუფს ვენა და კლაგენფურტი უმასპინძლებს, C-ს ციურიხი და ბერნი, ხოლო D-ს კი ზალცბურგი და ინსბრუკი.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ უეფას აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ევროპის ჩემპიონატის სოციალური პარტნიორი "წითელი ჯვარი" იქნება. კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი ის გახლავთ, რომ უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინის** დიდი სურვილი აქვს, ევროპის ჩემპიონატზე ე.წ. ვიდეო-მსაჯი დაამტკიცოს, რაც ზუსტად განსაზღვრავს, გადაკვეთა თუ არა ბურთმა ამა თუ იმ მომენტში ესა თუ ის ხაზი. ამასთან, პლატინიმ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ უეფა რასიზმთან ბრძოლას აგრძელებს. *"ფეხბურთი, რა თქმა უნდა, შესანიშნავია და ნებისმიერი საფეხბურთო მატჩი საინტერესო, მაგრამ ცხოვრებაში ფეხბურთზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორებიც არსებობს. სამწუხაროდ, ევროპაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი რასისტულ გამოხტომებს. მოვითხოვ, რომ ნებისმიერ სტადიონზე რასიზმის ნებისმიერი ფორმით გამოვლინების შემთხვევაში, დამნაშავე უმკაცრესად დაისაჯოს!"* - აცხადებს პლატინი.

რაც შეეხება მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის წილისყრას, რომელიც 25 ნოემბერს სამხრეთაფრიკულ დურბანში შედგება: ცნობილია, რომ გუნდები კალათებში ფიფას რეიტინგის იმ დროისმდგომარეობით განითესებიან. მაგალითად, თუ გერმანიის ნაკრები იმ დროისთვისაც მეოთხე ადგილზე იქნება (დღეს პირველი ოთხეული ასე გამოიყურება: იტალია, ბრაზილია, არგენტინა, გერმანია), მაშინ ბუნდესგუნდი ევროპაში მეორე გუნდად იქნება მიჩნეული და პირველ კალათაში მოკალათდება. ასე რომ, თუ საქართველოს ნაკრებმა 25 ნოემბრამდე რეიტინგი არ გაიუმჯობესა, ისევ რთულ ჯგუფში მოხვედრის საფრთხე დაგვემუქრება.

მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპზე 9 ჯგუფი იარსებებს. 8 მათგანში 6-6 გუნდი მოხვდება, ერთი ჯგუფი კი 5- გუნდიანი იქნება. ქვეჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდები მუნდიალის საგზურს ავტომატურად გაიფორმებენ, საუკეთესო 8 მეორეადგილოსანი კი ფლეიოფში გაარკვევს იმ 4 გუნდის ვინაობას, რომლებიც 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრებიან. ამრიგად, ერთი მეორეადგილოსანი, რომელსაც ყველაზე უარესი მაჩვენებელი ექნება, ფლეიოფში ვერ იასპარეზებს. ასე განაწილდება მუნდიალის 13 საგზური ევროპაში.

გოტფრიდ ლენცი

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. VI ტურის წინ

შეხვედრა წარსულთან

დღეს

სარაგოსა-სევილია
ლევანტე-ბარსელონა
ატლეტიკო-ოსასუნა

ხვალ

ვილიარეალი-ბილბაო
ალმერია-რასინგი
ბეტისი-ვალიორკა
ვალიადოლიდი-მურსია
ხეგაუე-რეალი
რეკრეატივო-ვალენსია
ესპანიოლი-დეპორტივო

როგორც იცით, შუა კვირაში პრიმერა დივიზიონის მეხუთე ტურის შეხვედრები გაიმართა. თამაშების ხარისხმა გულშემატკივართა მოლოდინი მეტნაკლებად გაამართლა. ყველაზე დასამახსოვრებელი, ალბათ, "ბარსელონისა" და "სარაგოსის" დაპირისპირება გახლდათ. კატალონიურმა გრანდმა ულამაზესი ფეხბურთი შემოგვთავაზა. პირველ ტაიმში ისინი მართლაც შეუდარებლები იყვნენ. "ბარსას" გამოსვლას პრესამ უმაღლესი შეფასება მისცა. აღსანიშნავია, რომ თავად ფეხბურთელები და მწვრთნელებიც უაღრესად კმაყოფილები დარჩნენ. თუმცა "სარაგოსასთან" მატჩი უკვე ისტორიის საკუთრებაა და კატალონიელები ვალდებულები არიან, მორიგი დაპირისპირებისთვის მოემზადონ. მეექვსე ტურში "ბარსელონა" სტუმრად "ლევანტეს" შეერკინება. ამ შეხვედრის წინ **ფრანკ რიიკაარდმა კარლეს პუიოლი** დაიბრუნა. გუნდის კაპიტანმა მუხლის ტრავმა მოიშუშა და ბოლო ვარჯიშები სრული დატვირთვით ჩაატარა. თუ მწვრთნელი საჭიროდ ჩათვლის, პუიოლს ძირითად შემადგენლობაში დააბრუნებს. მოსალოდნელია, რომ მოვლენები სწორედ ამგვარად განვითარდება, რადგან არაგონელებთან **რაფა მარკესმა** ტრავმა მიიღო. ექიმების თქმით, მისი გამოჯანმრთელება ალბათ ვერ მოესწრება. ამიტომ კარლესის თამაში მართლაც ძალიან აქტუალური ხდება. რიიკაარდმა თავის დაზღვევის მიზნით, სათადარიგო გუნდიდან **მარკ კროსასს** უხმო. იმ შემხთვევაში თუ პუიოლი 90 წუთის დატვირთვას ვერ გაუძლებს, ახალგაზრდა კროსასი მოედანზე შევა. ამასობაში **ეიდურ გუდიონსენიც** გამოჯანმრთელდა, მაგრამ ნაკლებსავარაუდოა, რომ ისლანდიელი ძირითად შემადგენლობაში მოხვდეს. ჰოლანდიელ სპეციალისტს პრობლემები დაცვის მარჯვენა ფლანგზეც ელის. იმავე "სარაგოსასთან" მატჩში **ჯანლუკა ძამბროტამ** სერიოზული ტრავმა მიიღო. გაირკვა, რომ მას ბარძაყის კუნთი გაუწყდა, რაც სულ მცირე ერთთვიან მკურნალობას მოითხოვს. მის ნაცვლად, სავარაუდოდ, **ოლეგერი** ითამაშებს, თუმცა **ლილიან ტურამის** გამოჩენაც არ არის გამორიცხული. ვალენსიაში გამგზავრებამდე რიიკაარდმა პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: *"სარაგოსასთან" ფანტასტიკური შთაბეჭდილება დავტოვეთ, მაგრამ ეს ეიფორია "ლევანტესთან" აღარ გამოგადგება. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ. დიდი იმედი მაქვს, "ბარსელონა" მიმდინარე სეზონში საგარეო შეხვედრასაც მაღალ დონეზე ჩაატარებს. ვალიარებ, რომ წინა მატჩებში, ამ თვალსაზრისით, სერიოზულად მოვიკოჭლებდით. მჯერა, შინ მორიგი სამი ქულით დავბრუნდებით".*

კატალონიური გრანდის განაცხადში ასეთი შემადგენლობა მოხვდება: *ვალდესი, ჟორკერა, პუიოლი, ანრი, ჩავი, ინიესტა, აბიდალი, ოლეგერი, დეკუ, ტურე, ტურამი, სილვინიო, მილიტო, მესი, ჯოვანი, ბოიანი, კროსასი, გუდიონსენი.*

"რეალი" მომდევნო ტურის შეხვედრის გასამართად თანაქალაქელ "ხეტაფეს" ესტუმრება. **ბერნდ შუსტერის** მეტოქე მისი ყოფილი გუნდი იქნება. მისი ბიჭები შესანიშნავ განწყობაზე იმყოფებიან. გუშინწინ მათ "ბეტისს" საკმაოდ რთული მატჩი მოუგეს და ლიდერობა დაიბრუნეს. მნიშვნელოვანი დაპირისპირების წინ, ესპანური გრანდის მთავარ მწვრთნელს შემადგენლობასთან დაკავშირებული პრობლემები არ ემუქრება. სამეფო კლუბის უკლებლივ ყველა წამყვანი მოთამაშე მწყობრშია, მათ შორის, **რუუდ ვან ნისტელროიც**. მოგეხსენებათ, ჰოლანდიელმა ფორვარდმა ხუთშაბათის თამაში ტრავმის გამო გამოტოვა. თუმცა ახლა უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს. თუ შუსტერი რუუდის მოედანზე გაყვანას გადაწყვეტს, რაული ალბათ, სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდება. გერმანელი მწვრთნელი მიიჩნევს, რომ გონსალოს ბლანკოს ამოსუნთქვა სჭირდება.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რეალი	5	4	1	0	13-3	13
2. ვილიარეალი	5	4	0	1	8-5	12
3. ვალენსია	5	4	0	1	8-7	12
4. ბარსელონა	5	3	2	0	9-3	11
5. ატლეტიკო	5	2	2	1	9-4	8
6. მალიორკა	5	2	2	1	9-5	8
7. რეკრეატივო	5	2	2	1	7-7	8
8. ალმერია	5	2	1	2	7-6	7
9. ესპანიოლი	5	2	1	2	7-7	7
10. სევილია	4	2	0	2	11-7	6
11. ოსასუნა	4	1	2	1	5-3	5
12. ვალიადოლიდი	5	1	2	2	7-9	5
13. მურსია	5	1	2	2	3-5	5
14. სარაგოსა	5	1	2	2	6-9	5
15. ბილბაო	5	1	2	2	4-7	5
16. დეპორტივო	5	1	2	2	3-7	5
17. რასინგი	5	1	2	2	2-7	5
18. ბეტისი	5	0	2	3	4-8	2
19. ხეტაფე	5	0	2	3	3-8	2
20. ლევანტე	5	0	1	4	2-10	1

ბოიან პრასნიკარი

კოტბუსი

ახალი მწვრთნელი სლოვენიიდან

ენერგის ენერგიული ბოიან პრასნიკარი მიხედავს...

ბუნდესლიგის აუტსაიდერმა "კოტბუსმა", როგორც იქნა, ახალი მწვრთნელი იპოვა. გუშინ გადაწყდა, რომ ერთი კვირის წინათ გათავისუფლებულ **პეტრიკ ზანდერს**, რომელიც "ენერგის" ხელმძღვანელებმა მეტად სკანდალურად დაითხოვეს, სლოვენიელი სპეციალისტი **ბოიან პრასნიკარი** შეცვლის. "კოტბუსის" გენერალურმა მენეჯერმა **შტეფან ჰაიდრიხმა** ჯერ კიდევ ხუთშაბათს განაცხადა, ახალი მწვრთნელი აღმოსავლეთ ევროპიდან იქნებაო. მისი განმარტებით, გერმანიაში კვალიფიციური მწვრთნელებიდან ყველა დაკავებულია, რაც გახდა კიდეც იმის მიზეზი, რომ ბუნდესლიგის ბოლოადგილოსანი კლუბის შეფებს სპეციალისტი სხვაგან ეძებნათ.

პრასნიკარი ახალ პოსტზე გუშინ, ნაშუადღევს წარადგინეს. გუშინვე, მან "კოტბუსი" პირველად ავარჯიშა და გუნდს უკვე კვირის მატჩისთვის ამზადებს: ხვალ "ენერგი" "აინტრახტს" მასპინძლობს. "კოტბუსის" პრეზიდენტი **ულრიხ ლეპში** ამბობს, რომ პრასნიკარის სახით, გუნდმა ძალიან გამოცდილი და თავისი საქმის პროფესიონალი სპეციალისტი იპოვა. პრასნიკარმა კონტრაქტი 2009 წლამდე გააფორმა. კლუბის შეფებსა და სლოვენიელ მწვრთნელს შორის გადამწყვეტი მოლაპარაკებები ხუთშაბათს გაიმართა. მანამდე "ენერგის" გაწვრთნაზე უარი განაცხადეს პოლონელმა **ფრანჩიუკ შმუდამ** და ნორვეგიელმა **იორნ ანდერსენმა**. "კიკერის" ინფორმაციით, პრასნიკარი სლოვენიაში, **სრეჩკო კატანეცთან** ერთად, ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად მიიჩნევა და რაც მთავარია, შესანიშნავად საუბრობს გერმანულად.

ბოიან პრასნიკარი "კოტბუსამდე" სლოვენიურ "პრიმორიეს" წვრთნიდა. 1999 წელს მან "მარიბორი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა, დაამარცხა რა "გენკი" და "ლიონი". ჯგუფში კი, "მარიბორმა" ბოლო ადგილი დაიკავა, რადგან კიევის "დინამოს", "ლაციოსა" და "ლევერკუზენის" კომპანიაში ვერაფერს გახდა. ამასთან, პრასნიკარმა ლიუბლიანის "ოლიმპია" და "მარიბორი" არაერთხელ გახადა სლოვენიის ჩემპიონი. ცნობილი გახდა, რომ 54 წლის პრასნიკარის თანხმობამდე, "კოტბუსის" ჩაბარებაზე უარი თქვა ლეგენდარულმა გერმანელმა მცველმა **იურგენ კოლერმაც**.

კარლოს ალბერტოს ეპილეფსია აქვს?

ცოტა ხნის წინათ გაცნობეთ, რომ "ვერდერის" ბრაზილიელი ნახევარმცველი **კარლოს ალბერტო** თავს ძალიან ცუდად გრძნობს. გავრცელებული და დადასტურებული ინფორმაციის თანახმად, 22 წლის ბრაზილიელს უძილობა სჭირს, რისი მიზეზიც ვერა და ვერ დადგინდა. გუშინ კი, ბრაზილიური გამოცემა "გლობოსპორტის" ცნობამ ბრემენული კლუბის ქომაგები შოკში ჩააგდო. ხსენებული გაზეთი იტყობინებოდა, რომ კარლოს ალბერტოს ეპილეფსია აქვს - ფეხბურთელს პირველი შეტევა 2006 წლის ივლისში ჰქონდაო. *"ჩვენ უკვე ვესაუბრეთ კარლოსს ამ თემაზე და მან "გლობოსპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაცია კატეგორიულად უარყო,"* - აცხადებს "ვერდერის" გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი**.

სტევენსი VS ჰრუბეში

"ჰამბურგის" მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი** გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცს, წარსულში "ჰამბურგის" ლეგენდარულ ფეხბურთელ **ჰორსტ ჰრუბეშს** შემოსწყრა. საქმე ეხება HSV-ს 18 წლის ფორვარდ **მაქსიმ ჩუპო-მოტინგს**. ეს უკანასკნელი რუსეთშია და გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრებს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ეხმარება. სტევენსის თქმით, ტურნირის დაწყებამდე ის ჰრუბეშს შეუთანხმდა, რომ თუკი გერმანია ორი თამაშის შემდეგ მომდევნო ეტაპის საგზურს მოიპოვებდა, ჩუპო-მოტინგი ჰამბურგში დაბრუნდებოდა და ბუნდესლიგის დღევანდელ ტურში HSV-ს დაეხმარებოდა. ჰრუბეშის სამწყსომ პირველი ორი მატჩი მოიგო და მომდევნო ეტაპის საგზური განაღდებული აქვს, მაგრამ მწვრთნელმა ჩუპო-მოტინგი არ გაათავისუფლა. *"ჩვენ შევთანხმდით, ჰრუბეშმა კი სიტყვა გატეხა. არ მჯერა, რომ ასე მოიქცა,"* - განრისხებულია სტევენსი.

კანისარესი საქმეს უბრუნდება

მცირეხნიანი ტრავმის შემდეგ, **სანტიაგო კანისარესი** სავარჯიშო მოედანს დაუბრუნდა. გუშინ, "ვალენსიის" ვეტერანმა გოლკიპერმა ნაყოფიერად იმუშავა. მის შემხვედვარე ექიმებს იმედი გაუჩნდათ, რომ სანტი ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებას ამ უქმეებზევე შეძლებს. საბოლოო ვერდიქტი თამაშამდე მცირე ხნით ადრე გახდება ცნობილი. **კიკე სანჩეს ფლორესი** იმედოვნებს, რომ გამოცდილი მეკარე კარს დაუბრუნდება. "ღამურების" თავკაცმა გადაკვრით განაცხადა, **ტიმო ჰილდებრანტს** პრიმერა დივიზიონთან შესაგუებლად დრო სჭირდებაო. როგორც ჩანს, ფლორესი მის მიერ ჩატარებული შეხვედრებით ძალიან უკმაყოფილოა.

პრიმერა დივიზიონი. V ტურის გამოხმაურება

სევილიელები რაულმა და ბაპტიშტამ გაჭეხეს

რეალი-ბეტისი 2:0

ოთხშაბათს "ვილიარეალმა" მორიგი პრიმერადივიზიონური გამარჯვება იზეიმა და ელიტალურ ლიგაში ცხრაწლიანი ასპარეზობის განმავლობაში პირველად ლიდერის პოზიცია დაიკავა. თუმცა "ყვითლების" პირველობა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. მადრიდის "რეალმა" "ბეტისს" მოუგო და კვლავ პირველ საფეხურზე გადაინაცვლა. ანდალუსიელებთან საბრძოლველად **ბერნდ შუსტერმა** მნიშვნელოვნად გადახალისებული შემადგენლობა გაიყვანა. **რუუდ ვან ნისტელროიმ** თამაში ტრავმის გამო გამოტოვა. აი, **მარსელო** და **მიჩელ სალგადო** კი დამრიგებლის სტრატეგიულ ჩანაფიქრს შეეწირნენ. ჰერ შუსტერმა **მიგელ ტორესსა** და **გაბრიელ ჰაინცეს** პირველივე წუთიდან თამაშის საშუალება მისცა. ყველაზე დიდი მოულოდნელობა კი **ხავიერ სავიოლას** ძირითადში გამოჩენა გახლდათ. როგორც ჩანს, მთავარმა მწვრთნელმა არგენტინელ ფორვარდს რამდენიმე დღის წინათ "ვალიადოლიდის" კარში გატანილი გოლი დაუფასა და შესაძლებლობების გამოსამჟღავნებლად მეტი დრო მისცა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პირველ ტაიმში "ბეტისმა" ძლევამოსილ მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. მთელ რიგ ეპიზოდებში ანდალუსიელები გაცილებით უკეთაც გამოიყურებოდნენ. **ექტორ კუპერის** ბიჭებს ოდნავ მეტად რომ გამართლებოდათ, ანგარიშსაც გახსნიდნენ, მაგრამ ხან **იკერ კასილიასს** ვერ უმკლავდებოდნენ, ზოგჯერ კი თავად სცოდავდნენ და არაზუსტად ურტყამდნენ. სხვათა შორის, მადრიდულ შეხვედრაში სევილიელებმა კასილიასის კარის ძელი სამჯერ შეაზანზარეს. გასაოცარია, მაგრამ თითქმის, 70 წუთის განმავლობაში მასპინძლები რეალური საგოლე მომენტის შექმნას ვერ ახერხებდნენ. ბოლოს დაღლილობამ და კლასთა სხვაობამ იჩინა თავი. "ბეტისის" მცველებმა საჯარიმოში **რაული** წააქციეს. კაპიტანმა პენალტი ზუსტად და ეფექტურად შეასრულა. მოგვიანებით კი, შეცვლაზე შესულმა **ჟულიო ბაპტიშტამ** ნამდვილი საფეხბურთო შედევრი შემოგვთავაზა. ბრაზილიელმა ფორვარდმა მაკრატელათი ულამაზესი გოლი გაიტანა.

ბაპტიშტა იმდენად გახარებული იყო, რომ პატარა ბავშვივით ხარხარებდა. აი, რა განუცხადა მან *"დიარიო მარკას" კორესპონდენტს: "დიდი ხანია, ასეთი ბედნიერი არ ვყოფილვარ. ულამაზესი ბურთი შევაგდე. შესაძლოა, ვინმეს ჰგონია, რომ შემთხვევით გამომივიდა, მაგრამ მერწმუნეთ, ასე არ არის. სიტუაცია სწორად შევაფასე. დროულად ავხტი და მეკარეს შანსი არ დავუტოვე. იმედია, ჩემს შესაძლებლობებს მომავალში მეტად დააფასებენ".*

ბერნდ შუსტერმა კი ასეთი შეფასება გააკეთა: *"არიენ რობენმა და რობინიომ ჩვენ თამაშს ის მუხტი შემატეს, რომლის გარეშეც გამარჯვებას ვერ მოვიპოვებდით. ზოგადად, ცალკეული ფეხბურთელების გამოყოფა არ მახასიათებს, მაგრამ ამჯერად ვიტყვი, რომ სამ ქულას სწორედ ამ ბიჭებს უნდა ვუმადლოდეთ. ბაპტიშტას გოლი, რა თქმა უნდა, ხელოვნების ნიმუში გახლდათ, მაგრამ მთავარი მაინც გუნდური სულისკვეთებაა. მიხარია, რომ ლიდერის პოზიცია შევინარჩუნეთ".*

ექტორ კუპერი შედეგით ძალიან დამწუხრებული დარჩა. არგენტინელ სპეციალისტს მიაჩნდა, რომ მისმა ბიჭებმა სულ მცირე, ერთი ქულა დაიმსახურეს.

რაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლოთარ მათეუსთან

დაგიმტკიცებთ, რომ მეც შემიძლია...

მათეუსი ბაიერნის თამაშებზე ხშირად დადის და ლამაზი ფეხბურთით ტკბება

ლოთარ მათეუსს ხშირად ნახავთ "ალიანს-არენის" ბიზნესლოჟაში, იმ კლუბის თამაშებზე, რომლის რიგებშიც კარიერის უდიდესი ნაწილი გაატარა. ავსტრიული "ზალცბურგიდან" წასვლის შემდეგ, ის ჯერჯერობით უმუშევარია. "ბაიერნის" ოფიციალური ვებგვერდის კორესპონდენტი ლოთარს მშობლიურ კლუბსა და თავის მომავალ გეგმებზე ესაუბრა...

- "ალიანს-არენას" ხშირად სტუმრობთ?

- თითქმის ყოველთვის, როცა კი ამისთვის დრო მაქვს. ჯერ ერთი, რომ "ბაიერნი" ჩემს ცხოვრებაში ძალიან ბევრს ნიშნავს, და მეორეც: დღევანდელი გუნდის ცქერა ერთი სიამოვნებაა. ხალხი ლამაზ ფეხბურთით ტკბება და ისვენებს. ამიტომაც ვარ აქ ასე ხშირად.

- ემოციები ისეთივე გაქვთ, როგორც ადრე?

- რა თქმა უნდა, როცა "ბაიერნი" აქ "ინტერს" და "რეალს" ეთამაშებოდა, მაშინაც კარგი დრო იყო. მაგრამ თუ დამიჯერებთ, ეს ნამდვილად ვერ შეედრება იმას, რაც ახლა ხდება. სავსე ტრიბუნები გუნდის სარკეა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს საფეხბურთო მატჩები კი არა, საფეხბურთო ზეიმებია.

- შეიცვალა არამარტო შემადგენლობა, არამედ კლუბის იმიჯიც. ასე არ არის?

- სრული სიმართლეა. ახლა, "ბაიერნისადმი" დამოკიდებულება ისეთი აღარ არის, როგორიც რამდენიმე თვის წინ იყო. გუნდი დღეს სულ სხვა ფეხბურთს თამაშობს... ვიტყოდი, რომ ეს არის მაგიური ფეხბურთი.

- გული არ გწყდებათ, რომ ეს "ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგაში არ თამაშობს?

- ცხადია, საწყენია და ამაზე არც ღირს ლაპარაკი. მაგრამ მე თუ მკითხავთ, შარშანდელი სეზონიც საინტერესო იყო. რომ არა ეს ჩავარდნა, "ბაიერნის" ხელმძღვანელობა რადიკალურ გადახალისებაზე არ წავიდოდა. თუმცა არ უეფას თასის მნიშვნელობა უნდა დავაკნინოთ. გაზაფხულზე ამ ტურნირის ჩემპიონთა ლიგიდანაც შეუერთდებიან ძლიერი გუნდები და კარგი სანახაობის მოწმენიც გავხდებით.

- როგორც მწვრთნელს, გშურთ ოტმარ ჰიტცფელდის?

- არა, არა... შური არაფერ შუაშია (იცინის). ბუნებრივია, დიდი სიამოვნებაა ასეთ ფეხბურთელებთან მუშაობა. მთავარია, რა მიმართულებას აირჩევს ოტმარი. მიმაჩნია, რომ ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული არა იმდენად მწვრთნელ ჰიტცფელდზე, რამდენადაც ფსიქოლოგ ჰიტცფელდზე.

- ინვესტიცია ამართლებს?

- ფრანკ რიბერიზე რა უნდა გითხრათ, მსოფლიო კლასის მოთამაშეა. ლუკა ტონის ტრავმები აწუხებდა, ცოტა პრაქტიკაც აკლია და გარკვეული პრობლემებიც აქვს, მაგრამ როგორც ხედავთ, ის როგორღაც ახერხებს ძალების მობილიზებას და გოლების გატანას. მიროსლავ კლოზეს ბრემენში ბოლოხანს გაუჭირდა, მიუნხენში კი თავს გაცილებით თავისუფლად გრძნობს, თანაც გადამწყვეტი გოლებიც გააქვს...

- რიბერიზე, ტონისა და კლოზეზე მთელი გერმანია ლაპარაკობს. მოდით, სხვა ახალწვეულებზეც ვთქვათ...

- ორი მათგანი მინდა გამოვყო. ჰამით ალთინთოფი ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენაა. ის პირველ რიგში კარგია იმით, რომ ნებისმიერი თანაგუნდელის შეცვლა შეუძლია ნებისმიერ პოზიციაზე, თან გოლების გატანაც შეუძლია. მაგრამ ჩემთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი ზე რობერტოა, არ გაგიკვირდეთ, რიბერიზე მეტადაც კი. ის გუნდზე მუშაობს, მოედნის ცენტრს სრულად აკონტროლებს და რიბერისაც ეს უხსნის ხელ-ფეხს. მარსელ იანსენისა და ხოსე ერნესტო სოსას შეძენაც მახარებს. იანსენი შესანიშნავი განაპირა მცველია და დიდი მომავალიც აქვს. არგენტინელი კი აბსოლუტური ტალანტია და კიდევ იტყვის თავის სათქმელს. რაც შეეხება იან შლაუდრაფს, ის სწრაფი და ტექნიკურია. ოტმარისთვის შლაუდრაფი მთავარი ფორვარდების კარგი ალტერნატივაა.

- გახდება თუ არა ეს ინვესტიციები მაგალითი მთელი ბუნდესლიგისთვის? სხვა კლუბების ხელმძღვანელები რისკს ერიდებიან...

- "ბაიერნს" აქვს ფული და მისთვის ეს არანაირი რისკი არ არის. სხვათა შორის, ნუ დაგვავიწყდება, რომ ჰარგრივსის, მაკაისა და სანტა კრუსის გაყიდვამაც მოიტანა დაახლოებით 30 მილიონი ევრო. "ბაიერნი" ბანკი კი არა, საფეხბურთო კლუბია.

- ვინ გაუწევს "ბაიერნს" კონკურენციას ამ სეზონში?

- გამიკვირდა, რომ ბევრი გუნდი სტარტზევე სერიოზულ პრობლემებს წააწყდა. ვფიქრობ, ამ შემადგენლობითა და ამ თამაშით "ბაიერნს" არაფერი გაუჭირდება, მას არ ეყოლება სერიოზული კონკურენტი.

- ...და სხვა გუნდები კმაყოფილნი იქნებიან ამით?

- ...მაგრამ ეს ფაქტია და მას ვერსად გავექცევით. "შალკე", "ვერდერი", "ჰამბურგი" და "ლევერკუზენი" ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად იბრძოლებენ. რაც შეეხება "შტუტგარტს", როგორც ჩანს, ის ვერ უძლებს "ვერცხლის სინის" წნეხს, თან ჩემპიონთა ლიგაშიც უწევს თამაში...

- 1996 წელს "ბაიერნთან" ერთად უეფას თასი მოიგეთ. შეუძლია ამ გუნდს, კიდევ ერთხელ მოიგოს ეს ტურნირი?

- სხვათა შორის, უეფას თასი "ინტერთან" ერთადაც მაქვს მოგებული. ვფიქრობ, ამ შემადგენლობისთვის, მიუღწეველი ამოცანა არ არსებობს. ის ყველა იმ ტურნირის ფავორიტია, სადაც კი მონაწილეობს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღევანდელი "ბაიერნი" ევროპის 5-6 წამყვან კლუბს შორისაა. რაკი სხვა ტოპ-კლუბები ჩემპიონთა ლიგაში თამაშობენ, მაშინ მე გეკითხებით: რამ უნდა შეუშალოს ხელი "ბაიერნს" უეფას თასის მოგებაში? და ეს მისი მთავარი მიზანიც უნდა იყოს.

- ახლა, ცოტაც თქვენზე ვისაუბროთ. ამ ბოლო დროს ამბობდნენ, თითქოს "სტიაუაში" უნდა დაგეწყოთ მუშაობა, მაგრამ არ გამართლდა. იყო შემოთავაზება ბუქარესტიდან?

- არანაირი. დააკვირდით, როგორც კი სადმე მწვრთნელს გაათავისუფლებენ, პრესა მაშინვე მე მახსენებს ხოლმე. მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევ. ველოდები წინადადებებს იმ კლუბებისგან, რომელთაც აქვთ პერსპექტივა და სერიოზულ მიზნებსაც ისახავენ, არ აქვს მნიშვნელობა, გერმანია იქნება ეს თუ სხვა ქვეყანა.

- გამოდის, რომ ბუნდესლიგაში მუშაობაც გსურთ?

- რატომაც არა? გამოცდილება საკმარისად მაქვს და გუნდები, სადაც კი მიმუშავია, ჩემს ხელში ყოველთვის პროგრესირებდნენ. სამწუხაროდ, ადრე გერმანიაში ფუნქციონერებს ჩემი არ სჯეროდათ. ამ დღეში იყო ბერნდ შუსტერიც. ახლა, ბერნდი "რეალშია" და მეც დავამტკიცებ, რა შემიძლია.

ლოთარ მათეუსი

ARGENTINA

ბასილემ რიკელმე გამოიძახა

ალბისელესტეს თავკაცი უთამაშებელი ფეხბურთელის მიწვევით რისკზე მიდის

არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, **ალფიო ბასილემ** ჩილესა და ვენესუელის ეროვნულ გუნდებთან სამუნდიალო საკვალიფიკაციო დაპირისპირების წინ "ალბისელესტეს" შემადგენლობა გამოაქვეყნა. სენიორ ბიელსამ ნაკრებში **ხუან რომან რიკელმეს** უხმო. მისი გადაწყვეტილება ბევრისთვის ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ რიკელმეს გასული კოპა ამერიკის შემდეგ ფეხბურთი არ უთამაშია. მოგეხსენებათ, რომანს "ვილიარეალის" მთავარ მწვრთნელთან უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა აქვს. კლუბის პრეზიდენტის, **ფრანსისკო როიგის** კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, **მანუელ პელეგრინი** არგენტინელის მოედანზე შეშვებას არ ჩქარობს. ბუნებრივია, უთამაშებელი ფეხბურთელის საპასუხისმგებლო, საკვალიფიკაციო მატჩებისთვის გამოძახება სერიოზულ რისკს შეიცავს. თავად რიკელმე მეტისმეტად მოტივირებულია და პირობას დებს, რომ თამაშის შემთხვევაში მაქსიმუმს გაიღებს: *"თუ სენიორ ბიელსა მათამაშებს, თავს არ დავზოგავ. არ მინდა იფიქროთ, რომ ამ შეხვედრებს ვინმესთვის ნიშნის მოსაგებად გამოვიყენებ. მხოლოდ "ალბისელესტეზე" ვიფიქრებ და შევეცდები ჩემს ნაკრებს ექვსი ქულის მოპოვებაში დავეხმარო. მჯერა, კარგად ვითამაშებთ და გავიმარჯვებთ. მნიშვნელოვანია, შესარჩევი ტურნირი გართულებების გარეშე ჩავატაროთ. საკვალიფიკაციო პაექრობებს ოპტიმისტურად ვუყურებ. ექვსი ქულა უნდა მოვიხვეჭოთ."*

ბასილემ ესპანეთიდან რიკელმეს გარდა კიდევ 12 მოთამაშე მიიწვია. მათ შორის, რა თქმა უნდა, **ლეო მესიცაა**. "ბარსელონის" ახალგაზრდა ფორვარდს "ალბისელესტეს" ლიდერისათვის განკუთვნილი ტვირთი დააწვება.

სენიორ ალფიომ ეროვნული გუნდის კარის დასაცავად **რობერტო აბონდანსიერისა** და **ოსკარ უსტარის** უხმო. აღსანიშნავია, რომ აბონდანსიერის მიკროტრავმა აწუხებს. ამ მიზეზის გამო რობერტომ "ვალენსიისა" და "ხეტაფეს" დაპირისპირება გამოტოვა. სხვათა შორის, უსტარიც "ხეტაფეს" საკუთრებაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა სამხრეთამერიკელი გოლკიპერის დებიუტი წარუმატებელი გამოდგა. მან ორი გოლი გაუშვა და "ვალენსიას" გამარჯვების საშუალება მისცა.

არგენტინელები 13 ოქტომბერს "რივერ პლეიტის" მშობლიურ "მონუმენტალზე" ჩილეს უმასპინძლებენ. სამი დღის შემდეგ კი გასვლით შეხვედრაში ვენესუელას მარაკაიბოში დაუპირისპირდებიან.

"ალბისელესტეს" სრული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები: აბონდანსიერი (ხეტაფე), უსტარი (ხეტაფე);

მცველები: დიასი (ხეტაფე), ჰაინცე (რეალი), გაბრიელ მილიტო (ბარსელონა), კოლოჩინი (დეპორტივო), გუტიერესი (მალიორკა), ბურდისო (ინტერი), ძანეტი (ინტერი), დემიკელისი (ბაიერნი);

ნახევარმცველები: გახო (რეალი), მაქსი როდრიგესი (ატლეტიკო), კამბიასო (ინტერი), მასკერანო (ლივერპული), ინსუა (ამერიკა დე მეხიკო), რიკელმე (ვილიარეალი);

თავდამსხმელები: სავიოლა (რეალი), მესი (ბარსელონა), აგუერო (ატლეტიკო), ტევესი (მანჩესტერ იუნაიტედი).

ხუან რომან რიკელმე

ვან ბასტენი აიაქსში?

მარკო ვან ბასტენი "ჩელსიში" მოსალოდნელ დანიშვნასთან დაკავშირებულ სპეკულაციებს ეხმაურება. ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ამბობს, რომ თუ საკლუბო ფეხბურთში გააგრძელებს მოღვაწეობას, ურჩევნია, შინ იმუშაოს. ჰოლანდიელი მიმომხილველების აზრით, ვან ბასტენი "აიაქსის" მწვრთნელობის კანდიდატია. ამსტერდამელებს "ბარსელონის" ყოფილი მეორე მწვრთნელი **ჰენკ თენ კეიტი** ავარჯიშებს. მისმა გუნდმა ორჯერ ვერ მოახერხა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში შელწევა.

რიჩარდსი სიტიში რჩება

მიკა რიჩარდსისა და "მანჩესტერ სიტის" მოლაპარაკებები დასასრულს უახლოვდება. ინგლისის ნაკრების მცველი კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. 19 წლის ფეხბურთელის დღევანდელი ხელშეკრულება მხოლოდ 2010 წელს იწურება, მაგრამ კლუბს მისთვის ხელფასის მომატება სურს. ესეც არ იყოს, რიჩარდსმა უკლებლივ ყველა ინგლისური გრანდის ყურადღება მიიპყრო. ახალი კონტრაქტი მისი შენარჩუნების წინაპირობაა.

MILAN

რონალდინიო: ჩელსი თუ მილანი?

მოურინიოსაც როსონერიში დასაძმება უწინასწარმეტყველეს

"ბარსელონის" პრეზიდენტი **ჟოან ლაპორტა** კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ **რონალდინიო** არ იყიდება. არ არსებობს ფასი, რის სანაცვლოდაც ბრაზილიელს დავთმობდითო, ამბობს ის. "გაძეტა დელო სპორტი" რონალდინიოს "მილანში" ტრანსფერს წინასწარმეტყველებს. სხვა ინფორმაციით, ბრაზილიელი "ჩელსიში" გადასასვლელად ემზადება. "როსონერიში" რონის რვა თანამემამულე თამაშობს. "გაძეტა" იუწყება, რომ პრეზიდენტ **სილვიო ბერლუსკონის** მის შესაძენად დაახლოებით 100 მილიონი ევრო აქვს გადადებული. კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, ფეხბურთელის წლიური ანაზღაურება 10.5 მილიონი ევრო იქნება.

"მილანთან" დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია ვრცელდება. "როსონერის" პრობლემები აქვს. ის უკვე ოთხი თამაშია, მოგებას ვერ ახერხებს. კლუბის სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. ამიტომ იტალიაში **კარლო ანჩელოტის** მოსალოდნელ აბარგებაზე დაიწყეს საუბარი. ვინ შეიძლება შეცვალოს ევროპის ჩემპიონი მწვრთნელი? ამის მიხვედრა ძნელი არ უნდა იყოს. უმუშევარია "ჩელსის" ყოფილი ბოსი **ჟოზე მოურინიო**. ის არ მალავს, რომ ინგლისის შემდეგ იტალიაშიც სიამოვნებით იმუშავებდა. თუმცა ვიმეორებთ, ეს მხოლოდ სპეკულაციებია. თუ რამდენად საფუძვლიანი, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. VIII ტურის წინ

გრანტის პირველი ლონდონური დერბი

დღეს ტოტენჰემს 125 წელი შეუსრულდა

დღეს

მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი
ჩელსი-ფულჰემი
დერბი-ბოლტონი
პორტსმუთი-რედინგი
სანდერლენდი-ბლეკბერნი
ვესტ ჰემი-არსენალი
ვიგანი-ლივერპული
ბირმინგემი-მანჩესტერ იუნ.

ხვალ

ევერტონი-მიდლსბრო

ზეგ

ტოტენჰემი-ასტონ ვილა



აბრაამ გრანტი

ჟოზე მოურინიოს დათხოვნის შემდეგ "ჩელსი" პირველ საშინაო შეხვედრას გამართავს. შუა კვირაში "არისტოკრატებმა" ოთხმატჩიანი მოუგებელია სერია შეწყვიტეს. მათ ლიგის თასის მესამე რაუნდში ქვედა დივიზიონის "ჰალ სიტი" დაამარცხეს (4:0). ახლა პრემიერლიგაში გამარჯვების დროა. "ჩელსის" მეტოქეა "ფულჰემი". ამ კლუბმა "სტემფორდ ბრიჯზე" უკანასკნელად 43 წლის წინ გაიმარჯვა. პრემიერლიგაში "არისტოკრატების" წაუგებელი საშინაო სერია 66 თამაშს მოიცავს. მათ შინ უკანასკნელად 2004 წლის 21 თებერვალს, "არსენალმა" სძლია. მოურინიოს ხელმძღვანელობით ჩატარებულ სამ სეზონში "ჩელსი" სახლში ერთხელაც არ დამარცხებულა, მაგრამ მოდით, სტატისტიკა გვერდზე გადავდოთ და გავიხსენოთ, რომ ინგლისის ჩემპიონატში ლონდონელებს სამი თამაშია, არ მოუგიათ და გოლიც არ გაუტანიათ. ამის მიზეზი **დიდიე დროგბას** ტრავმაა. მასთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი ცნობები ვრცელდება. თავდამსხმელს რამდენიმე კვირა გაუცდა, მაგრამ ორი დღის წინ ვარჯიში განაახლა და დღეს, შეიძლება, განაცხადში ვიხილოთ. **ფრენკ ლემპარდი** ისევ დაშავებულია. **ჯონ ობი მიკელმა** სასჯელი უნდა მოიხადოს. ტრავმები აქვთ **რიკარდო კარვალიოსა** და **მიხაელ ბალაკს**. "ფულჰემს" წამყვანი მცველი **მორიც ფოლცი** არ ეყოლება. მას საზარდული აწუხებს. დაშავებულია კიდევ ერთი მცველი **იან პირსი**. **ლორი სანჩესს** ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი - **კუკი, ბულარდი, კრისტანვალი** და **მაკბრაიდი** გამოაკლდება.

ამ ტურში კიდევ ერთი ლონდონური დერბი გაიმართება. "ვესტ ჰემი" "არსენალს" უმასპინძლებს. "მეთოფეები" ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერები არიან. ისინი ამ სეზონში ერთხელაც არ დამარცხებულან. "ვესტ ჰემი" კი ის კლუბია, რომელმაც **არსენ ვენგერის** შეგირდებს უკანასკნელად მოუგო. ეს აპრილში "ემირატს სთედიუმზე" მოხდა. "არსენალს" რევანშის აღება შეუძლია.

"ჩაქუჩებს", შეიძლება, ორი წამყვანი ფეხბურთელი - **კრეიგ ბელამი** და **სკოტ პარკერი** დაუბრუნდეს. მწყობრშია **ფრედრიკ ლიუნგბერგი**, რომელმაც ტრავმის შემდეგ პირველად "პლიმუთთან" ლიგის თასის მესამე რაუნდში ითამაშა. "ვესტ ჰემს" საკადრო პრობლემები ჯერ არ მოუგვარებია. **ზამორა, დევენპორტი** და **კვოში** ისევ არ ვარჯიშობენ. ხანგრძლივი შვებულებები აქვთ **ფობერსა** და **დაიერს**. "არსენალს" ახალწვეული თავდამსხმელი **ედუარდო და სილვა** ვერ დაეხმარება. მუხლის ტრავმა მოიშუშა **ალექსანდრ გლებმა**. ისვენებს ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი - **იენს ლემანი, ვილიამ გალასი, ტომაშ როსიცკი** და **ალექსანდრ სონგი ბილონგი**.

თუ "არსენალი" დამარცხდება, ხოლო "მანჩესტერ იუნაიტედი" "ბირმინგემს" დაამარცხებს, "ეშმაკები" პირველ ადგილზე გადავლენ. ბირმინგემელებს "მენიუს" ყოფილი ვარსკვლავი **სტივ ბრუსი** ავარჯიშებს. "იუნაიტედი" ბირმინგემში შერცხვენილი ჩადის. შუა კვირაში ჩემპიონები ინგლისის ლიგის თასს გამოეთიშნენ. მათ ქვედა დივიზიონის "ქოვენთრისთან" წააგეს. წარუმატებლობის მიზეზი საკადრო ექსპერიმენტი გახლდათ. **სერ ალექს ფერგიუსონმა**, ფაქტობრივად, სარეზერვო გუნდი გამოიყვანა. ასეთი რამ აღარ განმეორდება. დღეს "მენიუ" საუკეთესო ფეხბურთელებით ითამაშებს. თანაც მანჩესტერელებს პრემიერლიგაში საუცხოო სერია აქვთ - ზედიზედ ოთხი მოგება და არცერთი გაშვებული გოლი. თანაც გასულ უქმეებზე მათ "ჩელსი" ორი ბურთის სხვაობით დაამარცხეს. ტრავმა მოიშუშა **ოუენ ჰარგრივსმა**. ის, შეიძლება, განაცხადში ვიხილოთ. სადაცაა გამოჯანმრთელდება კაპიტანი **გარი ნევილი**. ორი კვირის შემდეგ ის სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში ითამაშებს. ჯერჯერობით კი თავისიანებს მხოლოდ ტრიბუნიდან გაამხნევებს. "ბირმინგემ სიტის" ესპანელი ნახევარმცველი **ბორხა ოუბინია** დაუშავდა. მან მუხლის მყესები გაიწყვიტა და სეზონის უმეტეს ნაწილს გამოტოვებს. ბორხა, რა თქმა უნდა, "იუნაიტედსაც" ვერ შეხვდება. ბოლოსწინა ვარჯიშზე ფინელი თავდამსხმელი **მიკაელ ფორსელიც** დაიმტვრა.

საინტერესო თამაში გველის "ისტლენდზე". "მანჩესტერ სიტი" "ნიუკასლს" უმასპინძლებს. გუნდებმა წლევანდელი სეზონი შთამბეჭდავად დაიწყეს. ისინი ევროპულ საგზურებზე აცხადებენ პრეტენზიას. მიმომხილველთა ვარაუდით, უშეღავათო მატჩი უნდა ვიხილოთ. "სიტის" **როლანდო ბიანკი** ვერ დაეხმარება. "ნორვიჩთან" ლიგის თასის მატჩში იტალიელმა თავდამსხმელმა საზარდულის ტრავმა გაირთულა. იმ შეხვედრაში ერთადერთი გოლის ავტორი **გეიორგიოს სამარასი** ისევ თადარიგში გადაინაცვლებს. მანჩესტერელთა ერთადერთი თავდამსხმელის პოზიციაზე კი **ემილ მპენზას** ვიხილავთ. ჯორდებს **მარკ ვიდუკა** დაუბრუნდებათ. **მაიკლ ოუენი** გერმანიაშია, რათა გაარკვიოს, სჭირდება თუ არა ოპერაცია. **შოლა ამეობიც** ვერ თამაშობს. საზარდული აწუხებს **კლაუდიო კასაპას**. ასე რომ, მისი ასპარეზობაც საეჭვოა.

"ტოტენჰემის" გასაჭირს ბოლო არ უჩანს. ლონდონელები მე-18 ადგილზე იმყოფებიან და ბოლო ადგილისაგან ერთი ქულა ჰყოფთ. "ასტონ ვილასთან" თამაშის დღეს "მამლებს" ზუსტად 125 წელი უსრულდებათ. ამიტომ "ტოტენჰემის" ფეხბურთელები საგანგებოდ ამ დღისათვის შეკერილი ფორმებით ითამაშებენ. ღია ცისფერი მაისურები და თეთრი ტრუსები მაყურებელს შორეულ 1882 წელში წაიყვანს. "მამლების" ისტორია სწორედ ამ ფერებით იწყებოდა. ზეიმს, რა თქმა უნდა, გამარჯვება მოუხდებოდა.

რაფა ბენიტესს ჯერ არ გადაუწყვეტია, ძირითადში ათამაშოს თუ არა "რედინგთან" სათასო მატჩის გმირი **ფერნანდო ტორესი**. ესპანელმა თავდამსხმელმა ლიგის თასზე პირველი ინგლისური ჰეთ თრიკი შეასრულა, მაგრამ დღეს, შეიძლება, თადარიგში აღმოჩნდეს. მწვრთნელის საკადრო პოლიტიკა არ იცვლება. ფეხბურთელებმა რიგრიგობით უნდა ითამაშონ, რათა სეზონის ბოლომდე ძალები ეყოთ. "ლივერპულს" ორი დაშავებული ფეხბურთელი, **ჯერმეინ პენანტი** და **ხავიერ მასკერანო** აკლია. მის დღევანდელ მეტოქე "ვიგანს" კი, შეიძლება, ძირითადი შემადგენლობის სამი მოთამაშე გამოაკლდეთ: **კილბეინი, რაიან ტეილორი** და **ვალენსია**.

აუტსაიდერების მატჩში ბოლოადგილოსანი "დერბი" ბოლოსწინა ადგილზე მყოფ "ბოლტონს" შეხვდება. ამ გუნდებს შვიდი თამაშში ოთხ-ოთხი ქულა აქვთ დაგროვილი.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. არსენალი	6	5	1	0	15-4	16
2. მანჩ. იუნ	7	4	2	1	6-2	14
3. მანჩ. სიტი	7	4	1	2	8-5	13
4. ლივერპული	6	3	3	0	11-2	12
5. ნიუკასლი	6	3	2	1	9-5	11
6. ჩელსი	7	3	2	2	7-8	11
7. ვესტ ჰემი	6	3	1	2	9-6	10
8. ასტონ ვილა	6	3	1	2	7-4	10
9. ევერტონი	7	3	1	3	8-8	10
10. ბლეკბერნი	6	2	3	1	5-4	9
11. პორტსმუთი	7	2	3	2	8-8	9
12. ვიგანი	7	2	2	3	8-7	8
13. მიდლსბრო	7	2	2	3	9-11	8
14. ბირმინგემი	7	2	2	3	7-9	8
15. სანდერლენდი	7	2	2	3	7-11	8
16. რედინგი	7	2	1	4	5-11	7
17. ფულჰემი	7	1	3	3	12-14	6
18. ტოტენჰემი	7	1	2	4	10-12	5
19. ბოლტონი	7	1	1	5	8-12	4
20. დერბი	7	1	1	5	4-20	4

ჩელსი. ახალი ამბები

დროგბა რჩება ლონდონში

აბრამოვიჩი კი უსაფრთხოების ზომებს აძლიერებს

დიდიე დროგბამ "ჩელსის" თავკაცი **აბრაამ გრანტს** სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. "დეილი ექსპრესის" ცნობით, გუნდში მისვლისთანავე მწვრთნელმა ფეხბურთელები შეკრიბა და მოახსენა: თუ ვინმე უკმაყოფილოა, შეუძლია, ხმამაღლა თქვას, ბარგი შეკრას და წავიდეს. გრანტს არ სურდა, შეგირდების უკმაყოფილების ამბავი გაზეთებიდან შეეტყო. ერთ-ერთი ფეხბურთელი, რომელმაც **ჟოზე მოურინიოს** წასვლის გამო იმედგაცრუება ვერ დამალა, დროგბა გახლდათ. მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, დიდიე იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნას დაელოდება და ახალ სამსახურს მონახავსო. მაგრამ კოტივუარელი ვარსკვლავი ლონდონიდან აბარგებას სულაც არ აპირებს. მან არცთუ ისე დიდი ხნის წინ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. დიდიეს ხელშეკრულების ამოწურვამდე "ჩელსიში" თამაში სურს.

ლონდონელებმა კი, ამასობაში, შეტევის გაძლიერება გადაწყვიტეს. "მირორის" ცნობით, "არისტოკრატებმა" "უდინეზეს" თავდამსხმელებს - **ფაბიო კვალიარელასა** და **ანტონიო დი ნატალეს** დაადგეს თვალი. ოთხშაბათს "ჯენოა"-"უდინეზეს" მატჩს ლონდონელი სკაუტები დაესწრნენ. სანახავი ბევრი არაფერი ყოფილა. ფრიუულელებმა სამი უპასუხო გოლი მიიღეს. დი ნატალემ წლევანდელი სეზონი შთამბეჭდავად დაიწყო, მაგრამ იმ დღეს აბსოლუტურად შეუმჩნეველი იყო.

და კიდევ ერთი ინფორმაცია "არისტოკრატების" ბანაკიდან. **რომან აბრამოვიჩმა** გადაწყვიტა, პირადი მცველების რაოდენობა გაზარდოს. ინგლისურ ტაბლოიდებს თუ დავუჯერებთ, ამის მიზეზია მოურინიოს მოულოდნელი აბარგება და ფანების ამბოხი. ამიერიდან აბრამოვიჩი "სტემფორდ ბრიჯზე" უფრო მეტ მცველს იახლებს. ეშმაკს არ სძინავს. ხომ შეიძლება, რომელიმე გაგულისებულმა გულშემატკივარმა პრეზიდენტთან ანგარიშსწორება დააპიროს. "ნიუს ოფ ზე უორლდის" ცნობით, რუსი ოლიგარქი საპატიო სტუმრების ლოჟაში ათ ადგილს უსაფრთხოების თანამშრომლებს დაუჯავშნის. აქამდე ტრიბუნაზე მას მხოლოდ ერთი მცველი ახლდა ხოლმე და ისიც, როგორც წესი, მის ზურგს უკან იჯდა.

დიდიე დროგბა

მანჩესტერ იუნაიტედი

გიგზისა და ბრაუნის ახალი კონტრაქტები

რაიან გიგზს "მანჩესტერ იუნაიტედთან" ახალი კონტრაქტის გაფორმება სურს. 33 წლის ნახევარმცველს ხელშეკრულება სეზონის ბოლოს უმთავრდება. ის მანჩესტერში მე-17 წელია, ასპარეზობს. ამ ხნის განმავლობაში უელსელმა ვეტერანმა 510 შეხვედრა ჩაატარა. ჩატარებული მატჩების მიხედვით "იუნაიტედის" რეკორდსმენია ლეგენდარული **ბობი ჩარლტონი**. მის ანგარიშზე 754 შეხვედრა ირიცხება. გიგზის ახალი კონტრაქტის შესახებ წინასწარი მოლაპარაკებები უკვე შედგა. "მენიუს" აღმასრულებელმა დირექტორმა **დევიდ გილმა** მიმომხილველებს აუწყა, იმედია, ყველაფერს უმოკლეს დროში მოვაგვარებთო. გიგზი ამბობს, რომ კონტრაქტის გამო "იუნაიტედთან" პრობლემები არასოდეს შექმნია. რაიანმა მანჩესტერელთა მაისურით ცხრაჯერ მოიპოვა ინგლისის ჩემპიონობა. აქვე გეტყვით, რომ "ეშმაკები" კიდევ ერთ ფეხბურთელთან აპირებენ თანამშრომლობის გაგრძელებას. საუბარია **ვესლი ბრაუნზე**, რომლის ხელშეკრულებაც გაისად ზაფხულში იწურება.

ამასობაში, "მენიუ" ნეაპოლელი ნახევარმცველით **მარეკ ჰამშიკით** დაინტერესდა. ჰამშიკი სლოვაკეთის ნაკრების წევრია. მან "ეშმაკების" ყურადღება ჯერ კიდევ მაშინ მიიპყრო, როცა "ბრეშას" მაისურით ასპარეზობდა. იტალიური სააგენტოების ცნობით, "მანჩესტერი" მზადაა, ფართო საზოგადოებისათვის უცნობი ფეხბურთელი 18 მილიონ ევროდ შეიძინოს.

ეინდჰოვენი ჰოლანდიის თასიდან გააგდეს

"ეინდჰოვენი" ჰოლანდიის თასს გამოეთიშა. ოთხშაბათს პსვ-მ "ჰერენვენის" სარეზერვო გუნდი 3:0 დაამარცხა და მომდევნო ეტაპზე თამაში გაინაღდა, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ოქმში დარღვევა აღმოაჩინა. ეინდჰოვენელთა შემადგენლობაში ითამაშა მცველმა **მანუელ და კოშტამ**. ის დისკვალიფიცირებული იყო და მატჩის გამოტოვება მართებდა. განაჩენმა არ დააყოვნა: ფედერაციის რეგლამენტის თანახმად, პსვ-ს ტექნიკური წაგება ჩაეთვალა და ტურნირს გამოეთიშა. კლუბის გენერალური მენეჯერი **იან რეკერი** გაოგნებული იყო. მან სასწრაფოდ გამოძიების ჩატარება გადაწყვიტა. ადმინისტრაციის ის თანამშრომელი, ვის შეცდომასაც "ეინდჰოვენის" თასიდან გაგდება მოჰყვა, მომხდარის გამო საკუთარი სამსახურით აგებს პასუხს.

კომპანი, იუვეს ახალი ფავორიტი

"იუვენტუსი" ისევ ცენტრალურ მცველს ეძებს. ტურინელებმა "ჰამბურგის" 21 წლის ფეხბურთელ **ვენსან კომპანის** დაადგეს თვალი. გერმანული კლუბი მას 12 მილიონ ევროდ აფასებენ. ერთი წლის წინ "ჰამბურგმა" "ანდერლეხტს" ახალგაზრდა ბელგიელი ვარსკვლავის სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო გადაუხადა. კომპანის გარდა, "ქალბატონის" ყურადღება მოსკოვის ლოკომოტიველმა **ბრანისლავ ივანოვიჩმა**, უდინეზელმა **კრისტიან საპატამ** და შტუტგარტელმა **ფერნანდო მეირამაც** მიიპყრეს.

არსენალი

უსმანოვის მორიგი შენაძენი

რუსმა ოლიგარქმა ალიშერ უსმანოვმა "არსენალის" აქციების მორიგი პაკეტი შეიძინა. პაკეტი საკმაოდ მოკრძალებული გახლდათ. ის სულ რაღაც 10 ათას აქციას შეიცავდა. უსმანოვმა 6 მილიონი გირვანქა გადაიხადა და დღეისათვის "არსენალის" ფასიანი ქაღალდების 23 პროცენტს მოუყარა თავი. ერთი კვირის წინ უსმანოვმა თქვა, მინიმუმ 25 პროცენტის შეძენას ვაპირებო. მკითხველს შევახსენებთ, რომ თუ ის ლონდონური კლუბის მესამედს დაეუფლება, დირექტორთა საბჭოში ვეტოს უფლებას მოიპოვებს. ესე იგი, დირექტორატს მისთვის ანგარიშის განვა მოუხდება. რამდენიმე დღის წინ "არსენალი" ინგლისის უმდიდრეს კლუბად დასახელდა. ის ევროპის მეორე უმდიდრესი კლუბიც გახდა. ლონდონელებს მხოლოდ მადრიდის "რეალმა" გაასწრო. კლუბის ფინანსურ წარმატებებს დაემთხვა უსმანოვის ასპარეზზე გამოსვლაც. ის მეთოდურად ზრდის კლუბში საკუთარ წილს და ნანატრ მიზანს უახლოვდება. თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ რუს მილიარდერს "არსენალის" მთლიანად დაუფლება სურს. უსმანოვის აზრით, ლონდონური კლუბი საუცხოო საინვესტიციო პროექტია.

ძიუდო

მსოფლიო სუპერთასი

დარჩენილი ორი ლიცენზიისთვის



გრიგოლ მამრიკიშვილი ტატამს უბრუნდება

დღეს და ხვალ როტერდამში გაიმართება სეზონის მორიგი სუპერთასი, რომელიც სალიცენზიო ქულებსაც იძლევა. ბუნებრივია, მსგავს ტურნირებში ჩვენი ნაკრები შესუსტებულ-გადახალისებული, პრაქტიკულად, სათადარიგო შემადგენლობით იასპარეზებს, ვინაიდან შვიდიდან ხუთი ლიცენზია ახლახანს ბრაზილიაში ჩატარებულ მსოფლიო პირველობაზე მოიპოვა. გასაგებია, რომ **შოთა ხაბარელი** სათადარიგოებს გამოცდის, თუმცა როტერდამის ტურნირი მნიშვნელოვანი **გრიგოლ მამრიკიშვილის** (81) დაბრუნებითაა - ნაკრების ჰოფილი პირველი ნომერი პარიზის სუპერთასზე მოტეხილი ბეჭის შემდეგ ტატამს უბრუნდება. ნაკრები კი ასეთი შემადგენლობით იჭიდავებს: **ბეთქილ შუკვანი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **გრიგოლ მამრიკიშვილი** და **ლევან წიკლაური** (81), **იოსებ მსხალაძე** (90), **ადამ ოქრუაშვილი** და **ზვიად ხანჯალიაშვილი** (+100).

მონაწილე არ გვეყოლება 73 და 100 კილოგრამ წონით კატეგორიებში - აქ ლიცენზიები მოპოვებულია. სხვა წონებში მწვრთნელებს ყველგან გამოსაცდელი ფალავნები მიჰყავთ. მათგან აღსანიშნავია **ლევან წიკლაური,** რომელიც ნაკრებში შედარებით ახალი კაცია. იგი პერიოდულად კი აღწევდა გარკვეულ წარმატებებს და ძირითადად საქართველოში, მაგრამ აგვისტოში გერმანულ ბრაუნშვაიგში ხმაურიანად დააქუხა, როცა ჩემპიონი გახდა. ძლიერი, საჯილდაო ქვად გამოდგეს, მაგრამ არც მეათეხარისხოვანი ყოფილა და რაც მთავარია, აშკარად აჯობა თანაგუნდელებს - **გიორგი ბაინდურაშვილსა** და **საბა გავაშელიშვილს**.

როგორც ვხედავთ, როტერდამში **ზაზა კედელაშვილიც** იჭიდავებს. თანაც, 66-ში და არა 73-ში, როგორც ხშირად შეღავათს უკეთებდნენ მწვრთნელები. ეგ იმიტომ, რომ მას მსოფლიოზე ხელი მოეცარა და ახლა ლიცენზია ასეთ ტურნირებზე უნდა მოიპოვოს, აქ კი აუცილებლად 66-ში უნდა იჭიდაოს, თორემ 73-ში მოპოვებული ქულები ამ წონაში არაფერში არგია. ამდენად, ახლა კედელაშვილიც იძულებულია, წონა დაიკლოს. მან ევროპის ჩემპიონატის მოგებით სალიცენზიო რეიტინგში 100 ქულა მიიღო, სხვა ტურნირთაგან კი მხოლოდ რომში იჭიდავა, მაგრამ ისიც 73-ში... ამის მიუხედავად, იგი რეიტინგში მესამე ადგილზეა, თუმცა წინმდგომთაგან ერთმა - უნგრელმა **მიკლოშ უნგვარიმ** მსოფლიოზე უკვე მოიპოვა საგზური. შეგახსენებთ, რომ კედელაშვილი სწორედ მან გამოთიშა ჩემპიონატს. კედელაშვილი საგზურს ნამდვილად მოიპოვებს, მაგრამ მწვრთნელები ჩქარობენ, ეს წლეულსვე გააკეთოს, რათა გაისად მშვიდად მოემზადოს ოლიმპიადისთვის.

და რაკი სალიცენზიო რეიტინგზე მიდგა საქმე, ბარემ აქვე ვთქვათ, რომ 81-შიც ულიცენზიოდ დავრჩით. აქ რეიტინგში ჩვენებურთაგან საუკეთესო **გიორგი ბაინდურაშვილია** - 48 ქულით მე-11 ადგილი, თუმცა წინმყოფთაგან მსოფლიოზე ლიცენზია 5-მა სპორტსმენმა მოიპოვა. თუ ამათ გამოვაკლებთ, ბაინდურაშვილი რეიტინგში მეექვსეა, საბა გავაშელიშვილი მე-19, გრიგოლ შინჯიკაშვილი - 24-ე, წიკლაური - 43-ე. ამ რეიტინგიდან საგზურს 9 მოჭიდავე მიიღებს.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ სეზონის ბოლო სალიცენზიო მსოფლიო თასი 13-14 ოქტომბერს, ბაქოში ჩატარდება.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი

ყველა ერთ დღეს დამარცხდა

ოქსანა კალაშნიკოვა

გუშინდელი დღე უიღბლო გამოდგა. ტურნირზე შემორჩენილი ორი ქართველიდან ნახევარფინალში ვერცერთმა ვერ გააღწია. **ეკატერინე გორგოძემ**, ფაქტობრივად, წინააღმდეგობა ვერ გაუწია **რია დორნემანს** და 0:6, 1:6 დამარცხდა. **ოქსანა კალაშნიკოვამ** კი **კორინა დენტონისთან (7)** წააგო 3:6, 5:7. დენტონი და დორნემანი ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. მეორე მატჩში კი ითამაშებენ **ქსენია პერვაკი** და ტურნირის პირველი ნომერი **ვოისლავა ლუკიჩი,** რომელმაც იმა ბოჰუშს 6:2, 6:1 მოუგო. პერვაკმა ნახევარფინალში თამაშის უფლება **ვერონიკა კაფშაის** დამარცხების შემდეგ მოიპოვა - 6:1, 6:2.

მასპინძელთაგან წყვილთა თანრიგში. არავინ დარჩა გუშინ აქ მეოთხედფინალი და ნახევარფინალი დგაიმართა. **ანა ჯიქიასა** და **მარიამ ქურდაძის** წყვილს 6:2, 6:4 მოუგო **გორგოძე-პერვაკის** ტანდემმა, თუმცა, მათ ნახევარფინალი **დავიდოვა-შამაიკოს** წყვილთან წააგეს ტუი ბრეიკში - 6:4, 4:6, 7:10.

მეოთხედფინალში დამარცხდა კიდევ ორი ქართული დუეტი. **ოქრუაშვილ-ცერცვაძის** წყვილმა **გერასიმუ-ოზგენის** ტანდემთან წააგო - 0:6, 3:6. **კალაშნიკოვა-ქვაცაბაია** კი **ბუზარნესკუ-ლუკიჩთან** 6:7 (4), 1:6 დამარცხდნენ.

დღეს ნახევარფინალში თამაშობენ: ვოისლავა ლუკიჩი - ქსენია პერვაკი, რია დორნემანი - კორინა დენტონი. დღესვე გაიმართება ფინალური შეხვედრა წყვილთა შორის. ბუზარნესკუ-ლუკიჩი დავიდოვა-შამაიკოს წყვილს დაუპირისპირდება.

ირაკლი დარცმელიძე
ბათუმიდან
ავტორის ფოტო

ფარიკაობა

რვა ქართველი მსოფლიო ჩემპიონატზე

გუშინ, რუსეთის ქალაქ სანკტ პეტერბურგში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში. 84 ქვეყნის 731 მონაწილეს შორის ქართველი მოფარიკავეებიც არიან. აქვე აღვნიშავთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები არ გაიცემა. სანკტ პეტერბურგში ხმლით იფარიკავებენ **ნიკა ბახსოლიანი, კახაბერ მაღრაძე, მიხეილ მომცელიძე** და **ირაკლი ზამბახიძე**. დაშნით იასპარეზებენ: **ანზორ ალბრეხტი, დავით არველაძე, დავით ელბაქიძე** და **გიორგი ნაცვლიშვილი**. თქვენს ყურადღებას განსაკუთრებით მიხეილ მომცელიძეს მივაპყრობთ, ის ამერიკის მოქალაქე იყო და ახლახან საქართველოს მოქალაქეობა მიიღო და ჩვენი ქვეყნის სახელით გამოვა. ხმლით მოფარიკავე ქართველები მსოფლიო ჩემპიონატში 1 ოქტომბერს ჩაებმებიან, დაშნით მოფარიკავეები კი - მეორე დღეს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ველოსპორტი

მსოფლიო ტური

ვაჟების სეზონი დასრულდა

ფორტალეზაში მსოფლიო ტურის ბოლო ეტაპი ვაჟთა ქართული წყვილისთვის მეორე საშეჯიბრო დღეს დასრულდა. გეორ-გიამ, რომლებიც ტურნირზე მე-9 ნომრად იყვნენ განთესილნი, 23-ე **ნომერ ზელანდიელებთან** ლოჰიდთან და პიტმანთან წააგეს ორ სეტში 13:21, 14:21. საბოლოოდ, ფორტალეზაში გეორ-გიამ მე-17 ადგილი დაიკავა. რეიტინგში 120 ქულა და პრემიალური თანხა 3000 ამერიკული დოლარი მითვალა. ამრიგად, წლევანდელი სეზონი გეორ-გიასთვის დასრულდა. ჩვენმა ფრენბურთელებმა ჯამში 3 610 სარეიტინგო ქულა დააგროვეს და ცხრილში მე-12 საფეხურზე არიან. შეგახსენებთ, რომ ქალთა დუეტს საქა-რთველოს კიდევ ერთი ეტაპი აქვთ სათამაშო 1-4 ნოემბერს ტაილანდში.



კარლო შენგელია

მოსკოვში გარდაიცვალა კარლო შენგელია, საქართველოს, აზახეთისა და რუსეთის დამსახუებული მწვრთნელი ველოსპორტში, სპორტის ოსტატი, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი საგზატკეციო ველორბოლაში და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ველოკროსში.

სპორტული მოღვაწეობა დაიწყო სოხუმში, სადაც ის დაიბადა, შემდგომში სპორტული მოღვაწეობა განაგრძო თბილისში. სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ იწყებს სამწვრთნელო მოღვაწეობას საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის რანგში. ამ პერიოდს ემთხვევა შემდგომში საბჭოთა კავშირისა და ათგზის მსოფლიო ჩემპიონის ომარ ფხაკაძის ასპარეზზე გამოსვლაც, რომლის აღზრდაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის კარლო შენგელიას. შემდგომში გადადის ყაზახეთში - ამ რესპუბლიკის ნაკრების უფროს მწვრთნელად. ველოტრეკზე, რომლის სახელსაც უკავშირდება ყაზახეთში ველოსპორტის აღორძინება. სადაც აღიზარდა მსოფლიო ჩემპიონი ნ. მაკაროვი. შემდგომში შენგელიას იწვევენ "დინამო" ცენტრალურ საბჭოს მთავარ მწვრთნელად, სადაც ის ხსნის ოლიმპიური მომზადების ცენტრს - აქვე აღიზარდა აგრეთვე მსოფლიოს ჩემპიონი ვ. კუპოვეცი. წლების განმავლობაში იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ველო-ტრეკზე.

80-იანი წლების შუაში ჩამოდის საქართველოში და ინიშნება საქართველოს ახალგაზრდულ გუნდის უფროს მწვთნელად სამგზის ველორბოლაში, რომლის დროსაც გუნდი ხდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, ხოლო ვ. დავიდენკო კი ხდება ჩემპიონი პირად ჩათვლაში. ის ნატრობდა საბოლოოდ საქართველოში დამკვიდრებას, მაგრამ 1992-93 წლების მოვლენებმა აიძულა ისევ დაეტოვებინა საკუთარი სახლი მშობლიურ სოხუმში და რუსეთში დაბრუნებულიყო, სადაც აღესრულა კიდეც.

საქართველოს ველოსპორტის ფედერაცია

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ხელბურთელი

ედუარდ ხინჩიგაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

ინტერვიუ შოთა თევზაძესთან

თურქული ხელბურთის საუკეთესო ქართველი

შოთა თევზაძე

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში რომ ყველაზე ნაკლები კარგი მეკარეების პრობლემაა, ეს წინა სეზონში არაერთხელ აღვნიშნეთ. წლეულს, ჩემპიონატს ჭაბუკებით დაკომპლექტებული "ქუთაისიც" დაემატა და რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, არც ამ გუნდს აქვს საიმედო მეკარის პრობლემა. დავით შიშინაშვილმა არაერთი რთული ბურთი მოიგერია და დაგვანახა, რომ მისი სახით კიდევ ერთი პერსპექტიული მეკარე გვეზრდება.

თუმცა, ალბათ სხვა მეკარეები არ მიწყენენ თუ ვიტყვი, რომ შოთა თევზაძე თანამემამულე კოლეგებს ერთი თავით აღემატება და ამჟამად, ეროვნულ ნაკრებში, ფაქტობრივად, უკონკურენტოა რამდენიმე ქვეყნის მოვლის შემდეგ, შარშანდელი სეზონი შოთამ თურქეთში გაატარა, სადაც ადგილობრივი ჟურნალისტები და სპეციალისტები აღაფრთოვანა და მალე, ალბათ, უკეთეს ჩემპიონატშიც გადაბარგდება. ახლა კი, სანამ ახალ კლუბს გამონახავს, საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს, რათა ფორმიდან არ ამოვარდეს. მას ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში, სტუ-"თელავი' - "თბილისის" მატჩის შემდეგ გავესაუბრეთ.

- "თბილისი" საკმაოდ კარგი გუნდია და დღეს მისი სახით ღირსეული მეტოქე გვყავდა. თუმცა, ჩვენ უფრო ძლიერები აღმოვჩნდით და გავიმარჯვეთ კიდეც.

- ელოდით, რომ უშუალო კონკურენტს ათბურთიანი სხვაობით მოუგებდით?

- ამჟამად, სტუ-"თელავი" უფრო ძლიერი გუნდია და თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ გამარჯვება არ გაგვიჭირდებოდა.

- ბოლო სეზონი თურქეთში გაატარეთ...

- "პოლის აკადემიაში" ვთამაშობდი, რომელიც საბოლოოდ, მეხუთე ადგილზე გავიდა. თავის ქება არ მიყვარს, მაგრამ ადგილობრივ პრესაში ქვეყნდებოდა მოთამაშეთა სტატისტიკა და ერთხმად დამასახელეს თურქეთის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ. მეტიც - ისიც კი თქვეს, რომ თურქეთის ჩემპიონატის ისტორიაში ასეთი მაღალი დონის მეკარეს ჯერ არ უთამაშიაო.

- აქედან გამომდინარე, უფრო ძლიერ გუნდში გადასვლის ვარიანტი არ გქონიათ?

- რა თქმა უნდა. სეზონის დასრულების შემდეგ, თურქეთიდანვე მივიღე მოწვევები "მილიპიანკოსგან", "ანკარასპორტისგან" და ჩემპიონ "ბეშიქთაშისგან". თუმცა, თურქეთში დარჩენა აღარ ვისურვე.

- რატომ?

- იმიტომ, რომ უკეთეს ჩემპიონატში გადასვლის ვარიანტი მაქვს.

- რომელ ქვეყანაში აპირებთ კარიერის გაგრძელებას?

- ბოდიში, მაგრამ სანამ კონტრაქტს არ გავაფორმებ, ჯერ ამაზე ლაპარაკი არ მინდა. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ სანამ მომავალ კლუბთან მოლაპარაკებას არ დავასრულებ, საქართველოს ჩემპიონატში თამაშით ვაპირებ ფორმის შენარჩუნებას.

- დასასრულ, ეროვნულ ნაკრებსაც შევეხოთ. "ჩელენჯ ტროფი" ახლოვდება, სადაც აზერბაიჯანს, მოლდოვასა და სომხეთს ვხვდებით. საქართველოს ნაკრების შანსებს როგორ შეაფასებთ?

- სიმართლე გითხრათ, მოლდოვის გარდა, სხვა გუნდებზე მწირი ინფორმაცია მაქვს. წინასწარ შანსებზე საუბარი გამიჭირდება, მაგრამ ჯგუფიდან გასვლა არც ისე იოლი იქნება. თუმცა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საკუთარი გულშემატკივრის წინაშე, თავი არ შევირცხვინოთ და მიზანს მივაღწიოთ.

კობა ხატისაშვილი

ჟურნალისტი

უგრეხელიძე ბოსნიაში მოეწყო

დავით უგრეხელიძე

ორი კვირის წინათ გაცნობეთ, რომ საქართველოს ნაკრების ცენტრი **დავით უგრეხელიძე** ბოსნიაში აპირებდა თამაშს. დღეს უკვე დაბეჯითებით შეგვიძლია საუბარი დათოს "ბორაც ნექტარში" ჩარიცხვის შესახებ.

ჩვენს ხელთაა კლუბის მთავარი მწვრთნელის, დირექტორისა და მედიელთა მოსაზრებები ქართველი მეფარის შესახებ. დავიწყოთ ერთ-ერთ ბოსნიურ გაზეთში გამოქვეყნებული მცირე სტატიით:

"ბორაც ნექტარში" ერთდროულად ორი გამოცდილი კალათბურთელი ჩაირიცხა – ქართველი ცენტრი დავით უგრეხელიძე და ამერიკელი უკანახაზელი **ჯერემ უილიამსი**. უგრეხელიძე აქამდე სლოვენიის წამყვან გუნდებში თამაშობდა – "პივოვარნასა" და "სლოვანში". ამერიკელი კი კოლეჯების ლიგის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახლდათ. მათი დამატება ნათლად მოწმობს, რომ "ნექტარი" კრიზისიდან საბოლოოდ გამოვიდა და მომავალ ჩემპიონატში საჩემპიონო მიზნებს დაისახავს. ეს გუნდი "შიროკისთან" და "ბოსნასთან" ერთად პირველობის მოპოვების მთავარი პრეტენდენტი იქნება."

დათოს შესახებ საინტერესო მოსაზრებას აფიქსირებს "ბორაც ნექტარის" თავკაცი დრაგო კარალიჩი, რომლის თქმით, გუნდის წინა ხაზის ლიდერი უგრეხელიძე უნდა იყოს, ხოლო უკანა ხაზისა – უილიამსი:

"ამ დუეტის დამატებით "ნექტარი" კარგად დაბალანსდა. ახლა გვყავს მაღალი დონის ცენტრი და გამთამაშებელი. მათზე ბევრი რამე იქნება დამოკიდებული, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ არანაკლებ ძლიერი ბოსნიელი ფორვარდები გვყავს. ასე რომ, ჩვენი გუნდის ქომაგს მომავალ სეზონში მოსაწყენად არ ეცლება."

"ბორაც ნექტარის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა კლუბის დირექტორის ვრცელი ინტერვიუ, რომელშიც ერთ-ერთი კითხვა დავით უგრეხელიძეს ეხებოდა. აი, რას პასუხობს პრედრაგ ბონაჩეკი:

"ევროპაში მაღალი კლასის ცენტრების ნაკლებობაა. ბევრი ბოსნიური კლუბი ნომინალური ცენტრის გარეშე თამაშობს. მათგან განსხვავებით, ჩვენ მომავალ სეზონში გვეყოლება გამოცდილი მეფარე, რომელიც საქართველოს ნაკრების წევრიცაა. მისი დამატებით "ბორაჩ ნექტარი" საგრძნობლად გაძლიერდა."

ახლა ქართულ ინფორმაციასაც მოგაწვდით. დათო ბოსნიურ კლუბთან მეორე კვირაა ვარჯიშობს და ახალი გუნდით თავადაც კმაყოფილია. მან "ნექტართან" კონტრაქტი უკვე გააფორმა, რომლის მიხედვით ბოსნიაში სეზონის ბოლომდე ითამაშებს. გუნდის ხელმძღვანელობამ უგრეხელიძეს ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული ბინა უკვე გამოუყო, ახლა ჯერი ქართველ მეფარეზეა, იმედია, ისიც გაამართლებს მწვრთნელის იმედებს.

ბოლოს დავძენთ, ბოსნიის ჩემპიონატი 17 ოქტომბერს იწყება. პირველ ტურში "ბორაჩ ნექტარი" "ჩელიკს" უმასპინძლებს.

ვაჟა სიმონიშვილი

მესამე მარცხი მეორე მატჩში

ესპანეთში შეკრებაზე ჩასულმა "კიევმა" მეორე დღესვე სენსაცია გამოაცხო – ერთ-ერთი გრანდი "ვალენსია" მისსავე მოედანზე დაამარცხა. მას მერე უკრაინელებმა ორი კონტროლო შეხვედრა ჩაატარეს და ორივეში დამარცხდნენ. ორი დღის წინ "კიევმა" ბასკეთში "ბილბაოსთან" როგორ დათმო, უკვე მოგახსენეთ. ახლა - "მენორკა"-"კიევის" მატჩზე.

სტუმრები სარკისებური ანგარიშით დამარცხდნენ – 78:87. ისევე როგორც ბილბაოში, შეხვედრის ბედი ამჯერადაც მეორე მეოთხედში გადაწყდა, რომელიც "მენორკამ" 26:17 მოიგო. თუ წინა მატჩში კიეველთა სნაიპერი ქართველი **მანუჩარ მარკოიშვილი** გახდა, ახლა იგი 6 ქულას დასჯერდა. თამაშის სნაიპერობა კი მარკუს ფეისონმა იკისრა – 19 ქულა ჩააგდო.

აქვე "კიევის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული გამოკითხვის შედეგებსაც გეტყვით. კითხვაზე – რას ფიქრობთ გუნდის ახალწვეულებზე, იყო სამი პასუხი: ახალწვეულები გუნდს საგრძნობლად გააძლიერებენ (361 ხმა), "კიევი" ისეთივე დონისა იქნება, როგორც შარშან (146 ხმა) და გაცილებით სუსტი შემადგენლობაა (160 ხმა).

როგორც ხედავთ, "კიევის" ქომაგები **ტომო მაჰორიჩის** გუნდს იმედის თვალით უყურებენ. ჩვენც ძალიან გვინდა კლუბის წარმატებაში დიდი წვლილი მანუჩარ მარკოიშვილმაც შეიტანოს.

ელისი ბარსასაც არ შეუშინდა

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი **ტაირონ ელისი** "კახა სან ფერნანდოს" ლიდერი გუნდში გადასვლიდან ერთ თვეში გახდა. იგი სევილიელთა სნაიპერობას არა მარტო სუსტ მეტოქეებთან, არამედ გრანდებთანაც კისრულობს. "კახას" ბოლო საკონტროლო მატჩში, "ბარსელონასთან" ტაირონმა თანაგუნდელთა შორის ყველაზე მეტი, 17 ქულა მიითვალა. მან ბოლო ქულები უკანასკნელ წამებზე ჩააგდო, თუმცა კატალონიელებს გამარჯვება მაინც ვერ გამოგლიჯა. "ბარსამ" სამი ქულის სხვაობით მოიგო – 78:75.

ესპანურ გრანდთან თანაბარმა მატჩმა გვიჩვენა, რომ "კახა სან ფერნანდოს" მომავალ სეზონში შარშანდელთან შედარებით მაღალი მიზნები ექნება. შეგახსენებთ, რომ სევილიელებმა წინა საზონში **ნიკა ცქიტიშვილთან** ერთად რვაეულში ვერ შეაღწიეს და ვერც ფლეიოფში მოხვდნენ.

საქართველოს ნაკრები

კეკელიძე ან მჟავანაძე

ორი კვირაც და საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები მოახლოებული "ჩელენჯ ტროფისთვის" სამზადისს შეუდგება. "ჩელენჯ ტროფი" ორ ჯგუფად ტარდება და ერთი ეტაპიც თბილისში გაიმართება. ჩვენს ქვეჯგუფში არიან მოლდოვა, სომხეთი და აზერბაიჯანი, ფინალში კი მხოლოდ პირველადგილოსანი გადის.

საბოლოოდ გადაწყდა, რომ **მერაბ მეტრეველი** ნაკრებს დატოვებს და "ჩელენჯ ტროფიზე" გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. მისი ვინაობა ორშაბათს ან სამშაბათს გაირკვევა ხელბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე. სავარაუდოდ, ნაკრებს ჩააბარებენ ქვეყნის ორი საუკეთესო კლუბის მთავარი მწვრთნელიდან ერთ-ერთს - **ირაკლი კეკელიძეს** (სტუ-"თელავი") ან **მამუკა მჟავანაძეს** ("თბილისი"). თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ რომელიმე ვეტერანი ხელბურთელი დაინიშნოს. ამჟამად, უცხოელი სპეციალისტის ჩამოყვანა გამორიცხულია, რადგან ფედერაციას საამისოდ არც ფინანსები ეყოფა და არც დრო.

ხელბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ჰქონდა წინასწარი საუბარი წამყვან ლეგიონერებთან და "ჩელენჯ ტროფიზე" თამაშზე ყველასგან დასტური მიიღო. საბედნიეროდ, ჯანმრთელობის პრობლემა არავის ანუხებს. ერთადერთი, ისლანდიური "სტიარნანის" ხელბურთელი **ტიტე კალანდაძეა** დაშავებული, რომელიც თბილისში იმყოფება და მკურნალობის კურსს გადის. როგორც ტიტემ გვითხრა, ტრავმის საბოლოოდ მოსაშუშებლად კიდევ სამი კვირა უნდა. მართალია, "ჩელენჯ ტროფიმდე" სამ კვირაზე ოდნავ მეტი რჩება, მაგრამ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მაინც იმედიანადაა - მთავარია, საბოლოოდ გამოვჯანმრთელდე და აღდგენითი პროცესები ჩემთვის არაფერია, ამას საკმაოდ მალე მოვახერხებო. ისე, კალანდაძეს ხელბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთანაც ჰქონდა საუბარი და ძალიან მოწადინებულია, რომ ნაკრებს დაეხმაროს.

რა თქმა უნდა, ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის გადასაწყვეტია, თუ ვის მოიწვევს გუნდში, მაგრამ ჩვენი ვარაუდით, შარშან გაქართველებულ ბელარუს ხაზის მოთამაშე **სერგეი კირილოვს** ალბათ, აღარ მოიწვევენ. სპეციალისტთა უმეტესობა ფიქრობს, რომ კირილოვმა იმედები ვერ გაამართლა და მის ჩამოყვანას ისევ ქართველი ხელბურთელის თამაში სჯობს.

ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის დასრულების შემდეგ, აქ მოთამაშე ხელბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრები, 12 ოქტომბერს გაივლის სამედიცინო გამოკვლევას, ხოლო 14 ოქტომბრიდან შეკრებაზე გადავა. ნელ-ნელა, მათ შეუერთდებიან ლეგიონერები და 21 ოქტომბრამდე, ყველა მოთამაშე ნაკრებში იქნება. საბოლოოდ, მთავარი მწვრთნელი გაფართოებული შემადგენლობიდან ამოარჩევს იმ თოთხმეტეულს, რომელიც "ჩელენჯ ტროფზე" ითამაშებს. რაც შეეხება საკონტროლო მატჩებს, ეს საკითხი, ისევ და ისევ, მთავარი მწვრთნელის გადასაწყვეტია. თუმცა, ცოტა არ იყოს, საეჭვოა, მოხერხდება თუ ვერა რომელიმე ქვეყანასთან ასე მოკლე დროში მოლაპარაკება თუნდაც მხოლოდ ერთი სპარინგ-მატჩის თაობაზე.

რეკორდი მომდევნო მატჩში დამყარდება

ჯონი ვილკინსონი გევინ ჰესტინგსს სულ ხუთი ქულით ჩამორჩება

ეროვნული ბიბლიოთეკა

28 სექტემბერი. პარიზი. A

ინგლისი-ტონგა 36:20

ინგ: (15-9) ლუსი, საკი (ჰიპკისი 67), ტეიტი, ბარკლი (ფარელი 52), კუეტო (რიჩარდსი 72), ვილკინსონი, გომერსოლი; (1-8) შერიდანი , ჩატერი (მირსი 70), სტივენსი (ვიკერი 57), ბორზვიკი, ქეი, ქორი (დალალიო 64), მუდი, ისტერი - *4ლ (საკი 2, ტეიტი, ფარელი); 2გ,2ს,2ა (ვილკინსონი)*

ტონ: (15-9) ლილო, ტუიფუა, ჰუფანგა (ჰ. ტონგაუიპა 60), ტაიონე, ვაკა (ჰავილი 67), ჰოლა, ტუიპოლოტუ (ჰეჰეა 68); (1-8) ს. ტონგაუიპა (ფილისე 55), ლუტუი (ტაუფაკა 65), ჰულუ, ვაკი (მოლიტიკა 61), ფაასოო (აფეაკი 67), თი-ჰოლე, ლატუ, მაკა - *2ლ (ჰუფანგა, თი-ჰოლე); 2გ,2ს (ჰოლა)*

A ჯგუფი	თ	მ	ფ	ნ	ბ	პ	ქ
ს.აფრიკა	3	3	0	0	125-32	2	14
ინგლისი	4	3	0	1	108-88	2	14
ტონგა	4	2	0	2	89-96	1	9
სამოა	4	1	0	3	69-143	1	5
აშშ	3	0	0	3	46-78	1	1

რა თქმა უნდა, ტონგამ ვერ მოახდინა სასწაული და ვერ მოახერხა ინგლისის დამარცხება. კუნძულელებმა მხოლოდ ყოჩაღად დაწყება მოახერხეს. მე-9 წუთზე **პიერ ჰოლამ** 40 მეტრიდან გახსნა ანგარიში - 3:0. მეცამატეზე **ჯონი ვილკინსონმა** გაათანაბრა. ოთხ წუთში **ეპელი ტაიონემ** ჯონი ვილკინსონის ზონაში გაჭრა ხაზი და ბურთი **სუკაიანივალუ ჰუფანგას** გაატანა ლელოში. ჰოლამ გარდასახა და ტონგა წინ გავიდა - 10:3. კიკოფიდანვე ინგლისმა შეუტია და რამდენიმე ფაზის შემდეგ ვილკინსონმა გრძელ ფრთაზე დაუკიდა ბურთი **პოლ საკის** - 8:10, ჯონიმ კიდიდან ვერ გარდასახა და ტონგა წინ დარჩა.

27-ე წუთზე **ოლი ბარკლიმ** ააცილა არეკნი, მაგრამ მომდევნო 9 წუთში ვილკინსონმა არეკნიც შეუგდო და საჯარიმოც - 14:10. და გარდატეხა მოხდა ტაიმის დასრულებამდე 2 წუთით ადრე. ტონგელები მეტოქის ნახევარზე უტევდნენ, მაგრამ ბურთი გაუვარდათ, **პოლ საკიმ** კი აიღო და გაქუსლა. 19:10 - ვილკინსონმა მეორე გარდასახვა ააცილა.

პოლ საკი, ორი ლელოს ავტორი

მეორე ტაიმში გაწვიმდა და ჯონიმ ერთი საჯარიმოც ააცილა შორიდან. ამის შემდეგ ინგლისს საკუთარ ლელოსთან ჰქონდა 5-მეტრიანი შერკინება და ბურთი ძლივს გამოიტანა. 55-ე წუთზე ჰოლამ სხვაობა შეამცირა - 13:19. მსოფლიო ჩემპიონებმა იქვე დაიგულე თავი სამშვიდობოზე, როცა **ნიკ ისტერის** პასის შემდეგ **მეთიუ ტეიტმა** გაიტანა, ვილკინსონმა კი გარდასახა - 26:13. 66-ე წუთზე უკვე **ენდი ფარელმა** გაიტანა ლელო, ვილკინსონმა კი გარდასახა და მერე ერთი არეკნიც დაურთო - 26:13, საბოლოო ანგარიში კი მე-80 წუთზე დაფიქსირდა.

ჯონი ვილკინსონმა დააგროვა 16 ქულა, სამ მსოფლიო თასზე 222 გაუხდა და სულ 5 ქულით ჩამორჩება შოტლანდიელ **გევინ ჰესტინგსს**. სრულიად აშკარაა, რომ რეკორდი მომდევნო თამაშში, ავსტრალია-ინგლისის მეოთხედფინალში გაუმჯობესდება.

და როგორ დასრულდა ტონგელთა მწვანედ შეღებილი თავების ისტორია? იმის საპროტესტოდ, რომ რაგბის საერთაშორისო საბჭო კუთვნილ ფულს დროზე არ რიცხავდა, მატჩის წინა დღეს მთელი გუნდი მწვანე საღებავით მოიხატა და ასე აპირებდა თამაშს. ბოსები სასჯელით დაიმუქრნენ და ტონგელებს შხაპის მიღება უბრძანეს. ჩამოარეცხინეს.

ნიკოლოზ აბაშიძე

29 სექტემბერი. 15:00. C

ზელანდია-რუმინეთი

ტულუზი, სტად მუნიციპალი

ზელ: 15. ნიკ ევანსი 14. ჯო როკოთოკო 13. ისაია ტოვეა 12. აარონ მეიჯერი 11. სიტივენი სივივატუ 10. ლუკ მაკალისტერი 9. ენდრიუ ელისი; 1. ნეემია ტიალატა 2. კევენ მეალამუ 3. გრეგ სამერვილი 4. რიბენ სორნი 5. ქიის რობინსონი 6. ჯერი კოლინზი (კაპ) 7. ქრის მასოი 8. სიონე ლაუაკი / 16. ენდრიუ ჰორი 17. ტონი ვუდკოკი 18. ქრის ჯეკი 19. რიჩი მაკქოუ; 20. ბრენდონ ლეონარდი 21. დაგ ჰაულიტი 22. კონრად სმითი

რუმ: 15. იულიან დუმიტრაში 14. სტეფან ჩუნტუ 13. ჩაბა გალი 12. რომეო გონტინიაკი 11. გაბრიელ ბრეზოიანუ 10. იონუც დიმოფტე 9. ლუჩან სირბუ; 1. ბოგდან ბალანი 2. მარიუს ტინკუ 3. სილვიუ ფლორია 4. სორინ სოკოლი (კაპ) 5. ქრისტიან პეტრე 6. ფლორინ კოროდიანუ 7. ალექსანდრუ მანტა 8. ოვიდიუ ტონიცა / 16. რაზვან მავროდინი 17. პაულიცა იონი 18. ვალენტინ ურსაკე 19. კოზმინ რაციუ; 20. ვალენტინ კალაფეტიანუ 21. ფლორინ ვლაიკუ 22. კატალინ დასკალუ

29 სექტემბერი. 17:00. B

ავსტრალია-კანადა

ბორდო, შაბან-დელმა

ავს: 15. ქრის ლეითემი 14. კამერონ შეპერდი 13. ლოტე ტუკირი 12. ადამ ეშლიკუპერი 11. დრიუ მიჩელი 10. ჯულიან ჰაქსლი 9. სემ კორდინგლი; 1. გრეგ ჰოლმსი 2. ადამ ფრეიერი 3. ალ ბაქსტერი 4. ნეითან შარპი 5. მარკ ჩიზჰოლმი 6. ჰიუ მაკმენიმენი 7. ჯორჯ სმითი (კაპ) 8. დევიდ ლაიონზი / 16. შონ ჰარდმენი 17. გაი შეპერდსონი 18. როკი ელსომი 19. ფილ ვოო 20. სტივენ ჰოილზი; 21. ჯორჯ გრეგანი 22. მეტ გიტო

კან: 15. დ. ფანდერმერვე 14. ჯასტინ მენსა-კოკერი 13. მაიკ პაიკი 12. დერეკ დეიპაკი 11. ჯეიმზ პრიჩარდი 10. ანდერ მონრო 9. მორგან ვილიამსი (კაპ); 1. როდ სნოუ 2. პატ რიორდანი 3. ჯონ თიელი 4. ლუკ ტეიტი 5. მაიკ ჯეიმზი 6. კოლინ იუქსი 7. დეივ ბიდლი 8. შონ-მაიკლ სტივენი / 16. აარონ კარპენტერი 17. დან ფლეჩი 18. მაიკ ფლეჩი 19. მაიკ ბურაკი; 20. მაიკ ვები 21. ედ ფერჰერსტი 22. დეივ სპაისერი

29 სექტემბერი. 19:00. B

უელსი-ფიჯი

ნანტი, სტად დე ლა ბოჟუარი

უელ: 15. გარეს თომასი (კაპ) 14. მარკ ჯონზი 13. ტომ შენკლინი 12. ჯეიმზ ჰუკი 11. შეინ ვილიამსი 10. სტივენ ჯონზი 9. დვეინ პილი; 1. გეზნინ ჯენკინსი 2. მეთიუ რისი 3. ქრის ჰორსმენი 4. ალუნ-ვაინ ჯონზი 5. იან ევანსი 6. კოლინ ჩარვისი 7. მარტინ ვილიამსი 8. ალიქს პოპემი / 16. თომას რის-თომასი 17. დანკან ჯონზი 18. იან გაფი 19. მაიკლ ოუენი; 20. მაიკლ ფილიპსი 21. ჯეიმი რობინსონი 22. დაფიდ ჯეიმზი

ფიჯ: 15. კამელი რატუვოო 14. ვილიმონი დელასაუ 13. სერუ რაბენი 12. სერემაია ბაი 11. ისოა ნეიეუა 10. ნიკი ლითელი 9. მოსეესე რაულუნი (კაპ); 1. გრეემ დიუისი 2. სუნია კოტო 3. ჯონე რაილომო 4. კელე ლეავერე 5. იფერეიმი რაუაკა 6. სემისი ნაევო 7. აკაპუსი ქერა 8. სისა კოიამაიბოლე / 16. ვერენიკი საუტურაგა 17. ჰენრი ქიოდრავუ 18. ვამე ლევარავუ 19. აკა რატუვა; 20. ჯონე დაუნივუკუ 21. ნორმან ლიგაირი 22. სირელი ბობო

B ჯგუფი	თ	მ	ფ	ნ	ბ	პ	ქ
ავსტრალია	3	3	0	0	178-35	3	15
უელსი	3	2	0	1	134-67	2	10
ფიჯი	3	2	0	1	76-102	2	10
იაპონია	4	0	1	3	64-210	1	3
კანადა	3	0	1	2	45-83	-	2

29 სექტემბერი. 23:00. C

შოტლანდია-იტალია

სენტ-ეტიენი, ჟოფრე გიშარი

შოტ: 15. რორი ლემონი 14. შონ ლემონი 13. საიმონ ვებსტერი 12. რობ დიუი 11. ქრის პატერსონი 10. დან პარქსი 9. მაიკ ბლერი; 1. გევინ ქერი 2. როს ფორდი 3. იუან მარი 4. ნეითან ჰაინსი 5. ჯიმ ჰემილტონი 6. ჯეისონ ვაითი (კაპ) 7. ალისტერ ჰოგი 8. საიმონ ტეილორი / 16. სკოტ ლოუსონი 17. კრეიგ სმითი 18. სკოტ მაკლიოდი 19. კელი ბრაუნი; 20. ქრის კაზიტერი 21. ენდრიუ ჰენდერსონი 22. ჰუგო საუსველი

იტა: 15. დავიდ ბორტოლუსი 14. კეინ რობერტსონი 13. გონსალო კანალე 12. მირკო ბერგამასკო 11. ანდრეა მაზი 10. რამირო პესი 9. ალესანდრო ტრონკონი (კაპ); 1. სალვატორე პერუჯინი 2. კარლო ფესტუჩა 3. მარტინ კასტროჯოვანი 4. სანტიაგო დელაპე 5. კარლო დელფავა 6. ჯოშ ს

ოული 7. მაურო ბერგამასკო 8. სერჯო პარისე / 16. ფაბიო ონგარო 17. ანდრეა ლოჩიჩერო 18. ვალერიო ბერნაბო 19. ლეონარდო გირალდინი; 20. პოლ გრიფენი; 21 როლან დემარინი 22. ეძიო გალონი

C ჯგუფი	თ	მ	ფ	ნ	ბ	პ	ქ
ზელანდია	3	3	0	0	224-27	3	15
შოტლანდია	3	2	0	1	98-50	2	10
იტალია	3	2	0	1	69-99	-	8
რუმინეთი	3	1	0	2	32-76	1	5
პორტუგალია	4	0	0	4	38-209	1	1

30 სექტემბერი. 19:00. D

ირლანდია-არგენტინა

პარიზი, პარკ დე პრინსი

ირლ: 15. ჯორდან მერფი 14. შეინ ჰორგანი 13. ბრაიან ოდრისკოლი (კაპ) 12. გორდონ დარსი 11. დენის პიკი 10. რონან ოგარა 9. იუან რედანი; 1. მარკუს ჰორანი 2. ჯერი ფლენერი 3. ჯონ ჰეიესი 4. დონჩა ოკალაჰანი 5. ჰოლ ოკონელი 6. საიმონ ისტერბი 7. დევიდ ვოლისი 8. დენის ლიმი /16. რორი ბესტი 17. ბრაიან იანგი 18. მალკოლმ ოკელი 19. ნილ ბესტი; 20. აიზეკ ბოსი 21. ჰედი ვოლისი 22. ენდრიუ თრიმბლი

არგ: 15. იგნასიო კორლეტო 14. ლუკას ბორხესი 13. მანუელ კონტეპომი 12. ფელიპე კონტეპომი 11. ორასიო აგულა 10. ხუან მარტინ ერნანდესი 9. აგუსტინ პიშო (კაპ); 1. როდრიგო რონსერო 2. მარიო ლედესმა 3. მარტინ სკელსო 4. იგნასიო ფერნანდესლობე 5. პატრისიო ალბასეტე 6. ლუკას ოსტილია 7. ხუან მარტინ ფერნანდეს-ლობე 8. გონსალო ლონგო / 16. ალბერტო ვერნეტი 17. ომარ ჰასანი 18. რიმას ალვარესი 19. მარტინ დურანი; 20. ნიკოლას ფერნანდეს-მირანდა 21. ფედერიკო ტოდესკინი 22. ერნან სენილიოსა

D ჯგუფი	თ	მ	ფ	ნ	ბ	პ	ქ
არგენტინა	3	3	0	0	113-18	2	14
საფრანგეთი	3	2	0	1	124-30	2	10
ირლანდია	3	2	0	1	49-52	1	9
საქართველო	3	1	0	2	43-47	1	5
ნამიბია	4	0	0	4	30-213	-	0

30 სექტემბერი. 22:00. A

სამხ. აფრიკა-აშშ

მონპელიე, სტად დე ლა მოსონი

აფრ: 15. ჰერსი მონტგომერი 14. აკონა ნდუნგანე 13. ჟაკ ფური 12. ფრანსუა შტაინი 11. ბრაიან ჰაბანა 10. ბუჩ ჯეიმზი 9. ფური დიუპრე; 1. ოს დიურანი 2. ჯონ სმითი (კაპ) 3. ბრენდონ ბოთა 4. ალბერტ ფანდენბერი 5. ვიქტორ მეტფილდი 6. ფიკუს ფანჰირდენი 7. ჟუან სმითი 8. სხალკ ბურხერი / 16. ბისმარკ დიუპლესი 17. ცეხა ფანდერლინდე 18. ბაკის ბოთა 19. ბობი სკინსტადი ; 20. რუან პინარი 21. ანდრე პრეტორიუსი 22. ჯეიპი პიტერსენი

აშშ: 15. ქრის ვაილსი 14. ტაკუძვა ნგვენია 13. ფილიპ ელოფი 12. ვაჰაფოლაუ ესიკია 11. სალესი სიკა 10. მაიკ ჰერკასი (კაპ) 9. ჩად ერსკინი; 1. მაიკ მაკდონალდი 2. ოუენ ლენეი 3. ქრის ოსენტოვსკი 4. ალეკ პარკერი 5. მაიკ მანგანი 6. ლუის სტენფილი 7. ტოდ ქლევერი 8. დენ ჰეინი / 16. ბლეიქ ბარდეტი 17. მატეკიტონგა მოეაკოილა 18. მარკ ეილორი 19. ჰენრი ბლუმფილდი; 20. მაიკ პეტრი 21. ვალენესე მალიფა 22. თრეტონ პალამო

ბოლო შვიდეული

დღეს და ხვალ, 7 მატჩით მსოფლიო თასის ჯგუფური ეტაპი სრულდება. შვიდეული იწყება ზელანდია-რუმინეთის მატჩით, რომელშიც გადასაწყვეტი არაფერია. "ოლ ბლექსს" გუშინ დაუშავდა ნომერი **დანიელ კარტერი**. ექიმებმა მისი დასვენება არჩიეს და ძირითადში **ლუკ მაკალისტერი** მოხვდა. ამ ტურნირზე პირველად ითამაშებენ ერთად დეიდაშვილები - **ჯო როკოთოკო** და **სიტივენი სივივატუ**. შესაძლოა, ბიძაშვილ-მამიდაშვილებიც იყვნენ - ინგლისური ენა ამის დაზუსტების საშუალებას არ იძლევა.

ასევე არაფრის მომტანია ავსტრალია-კანადის თამაში. ავსტრალიელები 10 ნომრად ამჯერად **ჯულიან ჰაქსლის** ცდიან, **სტივენ ლარქემმა** კი პირველი, იაპონიასთან მატჩის შემდეგ მუხლის ოპერაცია გაიკეთა და მეოთხედფინალში ნამდვილად ვერ ითამაშებს, ამის შემდეგ - შანსი აქვს. **სტივენ მორტლოკისა** და **ჯორჯ გრეგანის** არყოფნაში კაპიტანი იქნება **ჯორჯ სმითი**. ავსტრალია მეოთხედფინალში ინგლისს შეხვდება. ეს პირველი გარკვეული წყვილია.

უელსი და ფიჯი კი ამავე ჯგუფში მეორეადგილოსანს გაარკვევენ, ანუ სამხრეთი აფრიკის მეტოქეს. ფიჯის უკვე გაღაღდებული აქვს მომდევნო მსოფლიო თასზე შეურჩევლად თამაშის უფლება, უელსს კი უბრუნდება ავსტრალიასთან დაშავებული კაპიტანი **გარეს თომასი**, ვინც დღეს მეასედ ითამაშებს ნაკრებში.

დღის ბოლოს შოტლანდია და იტალია ითამაშებენ მეოთხედფინალში გასასვლელად. იტალიას გამოაკლდა კაპიტანი **მარკო ბორტოლამი**, მაგრამ იმედი აქვს, რომ წლეულს მეორედ მოუგებს მეტოქეს - "ექვს ერზე", ედინბურგში, მათ 37:17 დაამარცხეს მასპინძლები. ამ თამაშში გამარჯვებული


ჯორდან მერფი, ირლანდიის ბოლო იმედი

D ჯგუფში პირველ ადგილზე გასულს შეხვდება.

კვირადღის სულ ბოლო თამაშში, ამერიკელთა წინააღმდეგ "ქურციკებს" უბრუნდება სასჯელმოხდილი **სხალკ ბურხერი**, ოღონდ უჩვეულო, 8 ნომრის პოზიციაზე, იქამდე კი ჩვენს, D ჯგუფშიც გაირკვევა ყველაფერი. არგენტინელთა მწვრთნელმა **მარსელო ლოფრედამ** პირველ მატჩში, ფრანგებთან გამარჯვებული ხალხი დაბრუნა ძირითადში და მხოლოდ 8 ნომერი გამოცვალა. ირლანდიის ნაკრებში კი იმავე ფრანგებთან წაგების შემდეგ ორი კაცი გამოიცვალა. მარცხენა ფრთაზე დაბრუნდა **დენის ჰიკი**, ხოლო ფულბეკად პირველად დადგება **ჯორდან მერფი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ენდი როდიკთან

სლემი თუ დევისი?



ამერიკის ნაკრები დევისის თასის ფინალში რუსეთს შეხვდება. მატჩი რომ მოსკოვში იმართებოდეს, დაპირისპირების მთავარი ფავორიტი რუსეთი იქნებოდა, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში, იანკები საფარსაც სათავისოს დააგებენ და ყველანაირად ეცდებიან, პრინციპულ მეტოქეს სანუკვარი ჯილდო არ დაანებონ.

თავისთავად, ამერიკელებს, პირველ რიგში, თავიანთი ტოპ-ვარსკვლავის, მოურჯულებელი, უნიჭიერესი და ჯერაც არასტაბილური ენდი როდიკის იმედი აქვთ. მთლად უნივერსალიზმს თუ ვერ დაიბრალებს, ყოველ შემთხვევაში, როდიკი ჯეიმს ბლეიკზე კარგად თამაშობს ნელ საფარზე და ბალახზეც თანაგუნდელზე გაცილებით ეფექტური და შედეგიანია. როდიკს წლევანდელი სეზონიც ჩაუვარდა, რადგან ფედერერის კომპლექსი ვერც ამჯერად დაძლია და "დიდი სლემის" ტიტულიც დარჩა. როდიკი პირველ ხუთეულში სტაბილურად ბუდობს, მაგრამ გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია. ენდის კარიერაში ჯერაც ერთადერთი სასლემო, ამერიკის ღია პირველობა აქვს მოგებული.

წლევანდელ სეზონში, ამერიკელს ერთეულებში 64 მატჩიდან 51 აქვს მოგებული. როდიკის აქტივში ორი ტიტულია. უიმბლდონსა და ამერიკის ღია პირველობაზე 1/4 ფინალში გავიდა, ხოლო მემფისში კი ფინალს უწია. დევისის თასის ფინალი, გამოუყენებელი შანსები და მომავალი - ამაზე ენდი როდიკი ინტერვიუში საუბრობს.

- ორი ტიტული, დევისის თასის ფინალი და კვლავ არცერთი სლემი. მოდით, განვლილი სეზონი შეაფასეთ.

- სეზონი ჯერ არ დასრულებულა. იმედი მაქვს, წლის ბოლოს გასამართ მასტერსის თასზე კარგ შედეგს ვაჩვენებ და დევისის თასსაც მოვიგებ. უფრო სწორად, ამერიკას ამ თასის მოგებაში დავეხმარები. რა თქმა უნდა, ჩემი მთავარი მიზანი დიდი სლემის რომელიმე ტურნირისა და დევისის თასის მოგება იყო. გარკვეულწილად, არ გამიმართლა, თუმცა იმასაც ვერ ვიტვი, რომ მათ, ვინც ოთხი მთავარი ტურნირი მოიგო, ტრიუმფს მხოლოდ გამართლებით მიაღწია. საკუთარი თავისადმი მეტად მომთხოვნი კი გავხდი, მაგრამ ეტყობა, მაინც რაღაც ბოლომდე ვერ მიმყავს და იმედი მაქვს, რომ მომავალ სეზონში ყველაფერს გამოვასწორებ.

- რომელი ტურნირი იყო ისეთი, სადაც საუკეთესო ფორმაში იყავით, მაგრამ მთავარი პრიზის მოგება ვერ შეძელით?

- მთელი სეზონი ასე არ მიდის (იცინის)? პირველივე ტურნირზე, ავსტრალიის ღია პირველობაზე ძალიან კარგ ფორმაში ვიყავი. თუ გახსოვთ, ზედიზედ ორ მატჩში ხუთ-ხუთი სეტის გამართვა დამჭირდა და მიუხედავად იმისა, რომ მას მერე კიდევ ერთი წრე გავიარე, ნახევარფინალში, ფედერერთან გამოფიტული ვიყავი. შეიძლება ტურნირს საუკეთესო კონდიციებში შეხვდე, მაგრამ ენერგია ვერ გადაანაწილო და კონკრეტულ მომენტში ფეხი დაგიცდეს. ფედერერთან ყოველთვის ასე მემართება, მაგრამ იმ მატჩისთვის ოდნავ მეტი ენერგია რომ შემომრჩენოდა, მინიმუმ, ერთ სეტს მაინც მოვიგებდი. ასევე ძალიან ცუდად ჩავატარე ფინალი მემფისში ჰაასის წინააღმდეგ, სადაც იმდენი სისულელე ჩავიდინე, ორ-სამ მატჩს თავისუფლად ეყოფოდა.

- სხვას ვერაფერს გაიხსენებთ?

- ხომ გითხარით, ამ შემთხვევაში, პრაქტიკულად, მთელი სეზონის, ყველა ტურნირის გაანალიზება მომიწევს. ალბათ, მაიამიშიც საჩემპიონო კონდიციებში ვიყავი, თუმცა ტრავმა მივიღე. ვცადე ექიმის დახმარებით თამაშის გაგრძელება, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

- კონკურენცია გაიზარდა, რამდენიმე ძალიან ძლიერი ახალგაზრდა გამოჩნდა. ხომ არ გგონიათ, რომ მხოლოდ ფედერერსა და ნადალზე ფიქრით, სხვებისადმი ყურადღებას ადუნებთ?

- არავითარ შემთხვევაში. საიდან მოიტანეთ, რომ ჩემს მთავარ კონკურენტებად მხოლოდ როჯერსა და რაფაელს მივიჩნევ? როჯერთან თითქმის ყოველთვის სერიოზული პრობლემები მექმნება, მაგრამ ყველაფერი ეს მოგვარებადია. ალბათ, მოგვარებადი... რაფაელის წინააღმდეგ თამაში კი ხშირად არ მიწევს და სამი ურთიერთშეხვედრიდან ერთხელ მოვუგე. სხვები ელიტასთან მანძილს ძალიან სწრაფად ამცირებენ. იგივე ჯოკოვიჩი კომფორტულად გრძნობს თავს ნებისმიერ საფარზე. ბლეიკს მცირე ჩავარდნა ჰქონდა და იმედი მაქვს, ჯეიმსი სულ მალე დაიბრუნებს სტაბილურობას და ისევე სახიფათო იქნება, როგორც ადრე.

- ბევრის აზრით, ჯოკოვიჩი უკვე შემდეგ სეზონში შეძლებს ფედერერის ჰეგემონიის დარღვევას. ამაზე რას ფიქრობთ?

- ძალიან რთულია ვისაუბროთ იმ მოთამაშის შეჩერებაზე, რომელიც 3-4 წელიწადია, თითქმის არავისთან აგებს პრინციპულ მატჩებს. ნოვაკისთვის ყველაზე რთული სეზონი სწორედ შემდეგი იქნება. ჯოკოვიჩს უამრავი სარეიტინგო ქულა ექნება დასაცავი და მის წინააღმდეგ ყველა გაცილებით კონცენტრირებული გავა კორტზე. არ ვამბობ, რომ სერბს ჩავარდნა ექნება, მაგრამ მაინც დაველოდებოდი მომდევნო სეზონს და მხოლოდ შემდეგ შევადარებ ფედერერისა და ნოვაკის შედეგებს.

- დღეს, ძალიან ბევრი საუბრობს ამერიკელ ჯონ ისნერზე. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ეს ახალგაზრდა პირველი ათეულის პოტენციური ნევრი?

- პოტენციურად, ჯონი პირველ ათეულში ნამდვილად შედის. ის უკვე 22 წლის არის და ნელ-ნელა მეტი პროფესიონალიზმით უნდა მოეკიდოს საქმეს. კარგია გართობა, თუნდაც ერთი მოგებული შეხვედრის მერე საპრიზოების დახარჯვა ან ამ თანხის დახარჯვაზე ფიქრი, მაგრამ ჯერ შენი უშუალო მოვალეობა უნდა გახსოვდეს და მერე - გართობა. ისნერს არანორმალურად ძლიერი მოწოდება აქვს, მაგრამ უკანა ხაზიდან თამაშში სტაბილურობა აკლია. ვაშინგტონის ფინალში პრობლემები შემიქმნა, მაგრამ, ისევ და ისევ, გამოუცდელობის ხარჯზე წააგო, თორემ მე იდეალურად ნამდვილად არ ვთამაშობდი და თავისუფლად შემეძლო, ის შეხვედრა წამეგო კიდეც. ისე, ამერიკის ღია პირველობაზე ფედერერს მეც შევხვდი და ისნერიც. როჯერმა სამივე სეტი მომიგო, ჯონმა კი ფედერერს ერთი სეტი აართვა.

- დევისის თასის ფინალში რუსეთს მასპინძლობთ. რომელ საფარზე გირჩევნიათ თამაში?

- ნებისმიერზე, ოღონდ არა თიხნარზე. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს თიხნარზე ვიღაცა ფეხებზე მებღაუჭება და ნაბიჯების გადადგმა მიჭირს. ბალახი, ჰარდი, ხალიჩა - ყველა საფარზე ვითამაშებ და იმედი მაქვს, ტურნირის მოგებით, ამერიკაში ჩოგბურთი კიდევ უფრო წინ წაიწევს. ბეისბოლამდე და ამერიკულ ფეხბურთამდე ვერ მივალთ, მაგრამ თუ ამერიკელებს ეცოდინებათ, რომ გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგეთ, ეს დადებით იმპულსს გამოიწვევს.

ზურაბ თალაკვაძე



ბრედ რიჩარდსი და მარტინ სენტ ლუისი

ოქტომბრიდან, 30 გუნდი და მინიმუმ 60 ვარსკვლავი ყინულზე მორიგ შოუთაიმს შეაკონწიწებს და დაიწყება ფლეი ოფამდე ყველაფერი იმის დემონსტრირება, რის გამოც NHL მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს სპორტულ ლიგად მიიჩნევა.

მანამდე კი, ჩვენ წარმოგიდგენთ ჰოკეის ეროვნული ლიგის ექვსივე დივიზიონს და მათი ბინადარი გუნდების შანსებს. პირველად ჯერი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონზეა.

ფლორიდა

2006-07-ის შედეგი: 35 მოგება, 31 წაგება, 16 ფრე, XII ადგილი აღმოსავლეთში
თამაშის სტილი: ხშირი დაცვითი "ხაფანგები" და პრესინგი მთელ მოედანზე
ძლიერი მხარე: ძლიერი ცენტრები, სოლიდური მეკარე, უმრავლესობის გამოყენება
სუსტი მხარე: ფრთების სუსტი თამაში, ძლიერი ფორვარდების დეფიციტი
MVP: ოლი იოკინენი ან როსტისლავ ოლეში
ვერ გაამართლებს: რადეკ დვორაკი
იმედი: როსტისლავ ოლეში

შარშანდელ სეზონამდე ეს იყო ერთი კაცის, შეუდარებელი მეკარის, **რობერტო ლუონგოს** გუნდი, ხოლო მას მერე, რაც ბობი "ვანკუვერში" გაცვალეს, "პანტერზში" ყველაფერი თავდაყირა დადგა. მიუხედავად ამისა, გუნდმა სეზონი წაგებაზე მეტი მოგებით დაასრულა და წელს, კარში "ნეშვილიდან" აყვანილი **ტომაშ ვოკოუნი** ეყოლება. ეს უკანასკნელი კი ლიგის 10 საუკეთესო მეკარეში ნამდვილად შედის. ახალგაზრდა ჩეხი **როსტისლავ ოლეში** კი სეზონის უმთავრეს აღმოჩენად უნდა იქცეს.

კაროლინა

2006-07-ის შედეგი: 40 მოგება, 34 წაგება, 8 ფრე, XI ადგილი აღმოსავლეთში
თამაშის სტილი: პრესინგი მთელ მოედანზე, რამაც გუნდს 2006-ში სტენლის თასი მოაგებინა
ძლიერი მხარე: ვეტერანების გამოცდილება, მრავალფეროვნება შეტევაში.
სუსტი მხარე: ბებერი, ტრავმებით დატანჯული დაცვა, საეჭვო კვალიფიკაციის მქონე, არასტაბილური მეკარეები
MVP: როდ ბრინდამორი
ვერ გაამართლებს: მეტ კალენი
იმედი: კეისი ბორერი

მეტ კალენმა 2006-ში 25 შაიბა კი გაიტანა, მაგრამ მერე და მერე ძალიან უკლო და წლეულს მაქსიმუმ, 15 შაიბას თუ შეაგდებს. შარშან, "კაროლინა" გახდა მხოლოდ მესამე გუნდი ისტორიაში, რომელმაც ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ, ფლეი ოფში გასვლა ვერ შეძლო. გუნდის მთავარი იმედი კი კვლავ ფორვარდი **ერიკ სტაალია,** რომელსაც შარშან არაფრით გამორჩეული სეზონი ჰქონდა და თუ წელს 40-შაიბიან ზღვარს მაინც მიატანს, "ჰარიქეინზს" შეტევაში პრობლემები არ უნდა შეექმნას. უნდა გაუმჯობესოს თამაში მეკარე **კემ უორდმაც** (შარშან საშუალოდ 2.93 შაიბას უშვებდა). ფლეი ოფი პრობლემად არ უნდა იქცეს.

ვაშინგტონი

2006-07-ის შედეგი: 28 მოგება, 40 წაგება, 14 ფრე, XIV ადგილი აღმოსავლეთში
თამაშის სტილი: თამაში პრაქტიკულად, დაცვის გარეშე და შეტევა, შეტევა და კიდევ ერთხელ, შეტევა
ძლიერი მხარე: უძლიერესი შეტევა, ალექსანდრ ოვეჩკინი, მთავარი მწვრთნელი გლენ ჰენლონი
სუსტი მხარე: გამოუცდელი დაცვა, სუსტი სპეც-ბრიგადები
MVP: ოლაფ კოლიგიგი ან ალექსანდრ ოვეჩკინი
ვერ გაამართლებს: ტომ პოტი
იმედი: ნიკლას ბეკსტრომი

"ვაშინგტონი" დღესაც ერთი კაცის, **ალექს ოვეჩკინის** (46+46) გუნდად რჩება. შარშანდელ რეგულარულში, დედაქალაქელებს კონფერენციაში უსუსტესი შეტევა ჰყავდათ, რომლის გასაძლიერებლადაც "კეპიტალზმა" გამოცდილი **მიკაელ ნიულანდერი** და **ვიქტორ კოზლოვი** დაიმატა. ბევრს ელიან ახალგაზრდა **ნიკლას ბეკსტრომისგანაც,** რომელიც გუნდმა 2006 წლის დრაფტის მეოთხე ნომრად აირჩია.

ატლანტა

2006-07-ის შედეგი: 43 მოგება, 28 წაგება, 11 ფრე, III ადგილი აღმოსავლეთში
თამაშის სტილი: უკომპრომისო დაცვა, ვარირებადი შეტევა
ძლიერი მხარე: ძლიერი ცენტრები, სოლიდური მეკარე, უმრავლესობის კარგად გამოყენება
სუსტი მხარე: უსუსტესი ცენტრფორვარდები, სპეციალური ბრიგადების არასტბილურობა
MVP: მარიან ჰოსა
ვერ გაამართლებს: ტრდ უაითი
იმედი: ბრეტ სტერლინგი/ტობიას ენსტრომი.

როდესაც გუნდში **მარიან ჰოსა** და **ილია კოვალჩუკი** გყავს, თითქოსდა შეტევაში არანაირი პრობლემა არ უნდა შეგექმნას. მიუხედავად ამისა, "თრეშერზი" დიდ სირთულეებს აწყდებოდა უმრავლესობაში თამაშისას, ხოლო კოვალჩუკმა კი სეზონის მეორე ნახევარი ძალიან სუსტად ჩაატარა. ალბათ, უფრო სტაბილურად უნდა ითამაშოს მეკარე **ლეჰტონენმაც,** რომელმაც არაჩვეულებრივი სტარტის შემდეგ იმდენად უკლო, რომ ბოლოს, გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაშიც კი ვერ ხვდებოდა. ქვედა ლიგის სეზონის საუკეთესო მოთამაშე **ბრეტ სტერლინგი** "ჩიკაგო ვულვზში" 55 გატანილი შაიბით გამოირჩა და თუ უმაღლეს დონეზე ამის ნახევარს მაინც გაიტანს, მაშინ გუნდს პრობლემები არ შეექმნება.

ტამპა ბეი

2006-07-ის შედეგი: 44 მოგება, 33 წაგება, 5 ფრე, VI ადგილი აღმოსავლეთში
თამაშის სტილი: თითქმის მთელი თამაში ვენსან ლეკავალიესა და მარტინ სენ ლუიზე გადადის
ძლიერი მხარე: დიდი სამეული (ლეკავალიე-სენტ ლუისი-რიჩარდსი), უმრავლესობაში ძლიერი თამაში
სუსტი მხარე: ფრთების სუსტი თამაში, ძლიერი ფორვარდების დეფიციტი
MVP: ვენსან ლეკავალიე
ვერ გაამართლებს: ბრედ რიჩარდსი
იმედი: კარი რამო

ბრედ რიჩარდსმა შარშან, კარიერაში ყველაზე სუსტი სეზონი ჩაატარა და თუ გავითვალისწინებთ, რომ გუნდში იგი მნიშვნელობით მესამე ფიგურაა (**ლეკავალიესა** და **სენტ ლუისის** მერე), "ტამპას" წამყვანი სამეულის თამაში შეიძლება შესამჩნევად აირიოს. გუნდი შარშან ძლივს გაძვრა ფლეი ოფში, სადაც ვარსკვლავ მცველს, **დენ ბოილს** მიკროტრავმა რომ არ მიეღო, "ლაითნინგი" გაცილებით უკეთეს შედეგს აჩვენებდა. მთავარი მწვრთნელი **ჯონ ტორტორელა** დიდ იმედებს ამყარებს ახალგაზრდა ფინელ მეკარე **კარი რამოზე** (21 წლის), რომელიც **მარკ დენისსა** და **იოჰან ჰოლმკვისტს** სერიოზულ კონკურენციას გაუწევს.

NHL. სეზონის წინ. სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონი

ოლი, ოლე, ოვი

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲓᲘ ᲚᲣᲙᲐ ᲒᲐᲐᲒᲓᲔᲡ, ᲑᲔᲢᲘᲜᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲡ

ᲞᲐᲝᲚᲝ ᲑᲔᲢᲘᲜᲘ

ᲨᲢᲣᲢᲒᲐᲠᲢᲨᲘ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება ჩამოერთვა ჯიროს წლევანდელ ჩემპიონს, იტალიელ **დანილო დი ლუკას**. სამაგიეროდ, საგზაო რბოლაში მონაწილეობის უფლება მიეცა მოქმედ ჩემპიონს, ასევე იტალიელ **პაოლო ბეტინის**.

ბეტინისგან ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი, ეგრეთ წოდებულ, დოპინგსაწინააღმდეგო აღთქმაზე ხელის მოწერას მოითხოვდა, მაგრამ ველომრბოლმა ეს არ გააკეთა. აღნიშნული აღთქმა ფაქტობრივად, ველომრბოლის დეკლარაციაა, რომელშიც ის ოფიციალურად აცხადებს, რომ არაა გარეული ესპანურ დოპინგსკანდალ ოპერასიონ პუერტოში. გარდა ამისა, დოპინგზე ჩავარდნის შემთხვევაში, ამ დეკლარაციით ისინი თანახმანი არიან, რომ ჯარიმის სახით გადაიხადონ ერთი სეზონის ხელფასი.

ბეტინის სხვა პრობლემაც ჰქონდა. კერძოდ, "ტე-მობილის" ყოფილი წევრი, გერმანელი **პატრიკ სინკევიცი**, ვისაც ტურ დე ფრანსის დროს, სინჯში ჰორმონ ტესტოსტერონის ჭარბი შემცველობა აღმოაჩნდა, ირწმუნება, რომ ამ პრეპარატს მას სწორედ ბეტინი აწვდიდა. თუმცა, ამის პირდაპირი დამამტკიცებელი სამხილები არ არსებობს.

ბეტინიმ არც დნმ-ის ტესტის გავლა და თავისი სინჯის ამ დანიშნულებით გამოყენებაზე განაცხადა თანხმობა. არადა, კავშირი ყველა ველომრბოლისგან მოითხოვს ამას და არაა გამორიცხული, რომ მალე ველომრბოლებისთვის დნმ-ის პასპორტებიც შემოიღოს.

მიუხედავად იმისა, რომ კავშირი ყოველივეს გამო მას მსოფლიო ჩემპიონატზე არდაშვებით ემუქრებოდა, საბოლოოდ, მუქარა არ შესრულდა. ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ დეკლარაცია ნებაყოფლობითია და მასზე ხელმოწერლობის გამო, ველომრბოლს ვერავინ წაართმევს რბოლებში მონაწილეობის უფლებას.

რაც შეეხება დი ლუკას, ის იტალიის ნაკრებიდან ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის მოთხოვნით გაირიცხა. საქმე კი ისაა, რომ ჯიროს დროს მისგან აღებული სინჯი ზრდასრული ადამიანისას არ შეესაბამება. სპეციალისტების თქმით, ეს სინჯი ბავშვისგან უნდა იყოს აღებული. სანამ ყველაფერი გაირკვეოდეს, იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ჯიროს ჯერ კიდევ მოქმედ ჩემპიონს ოთხთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა.

ამასთან, იტალიის ოლიმპიური კომიტეტი აცხადებს, რომ დი ლუკას სინჯების შესწავლა და ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის დოპინგსაწინააღმდეგო სამსახურის ხელთ არსებულ სინჯებთან შედარება ჯერაც არ დასრულებულა. ოღონდ, ამ ეტაპზე უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ ჯიროს დროს აღებული მინიმუმ ერთი სინჯი არ შეესაბამება ზრდასრული ადამიანისას.

მოკლედ, თუ ბრალდება დაუმტკიცდა, დი ლუკას ჯიროს ჩემპიონის წოდება ჩამოერთმევა და მას ალბათ უფრო სერიოზული დისკვალიფიკაციითაც დასჯიან.

ᲓᲝᲞᲘᲜᲒᲘ

ᲠᲐᲡᲛᲣᲡᲔᲜᲘᲡ ᲓᲔᲕᲜᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

საფრანგეთის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს ცნობით, ტურ დე ფრანსის დროს, დანიელი **მიქაელ რასმუსენისგან** აღებულ ერთ-ერთ სინჯში, აკრძალულ პრეპარატ ერითროპოიეტინის ერთ-ერთი ანალოგის, კერძოდ კი დინეპოს კვალია აღმოჩენილი.

სააგენტოს განცხადებით, პარიზული ლაბორატორიის მიერ ჩატარებული ტესტის შედეგად დადგინდა, რომ სინჯში აღმოჩენილია მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს მიერ აკრძალული პრეპარატების სიაში შეტანილი დინეპოს კვალი, რომლის შემცველობაც ნორმაზე მეტია. ამდენად, აღნიშნული ტესტის შედეგი შეიძლება დადებითად ჩაითვალოს.

მაგრამ აქ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი. კერძოდ, დინეპო ადამიანის უჯრედებისგან ხელოვნურად მზადდება, რის გამოც, მისი აღმომჩენი ზუსტი ტესტი ჯერჯერობით, არ არსებობს. ამიტომ, შემოწმების მსგავს შედეგებს მსოფლიო დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო "არა-პოზიტიურად" მიიჩნევს და ამგვარი გამოვლინება დისკვალიფიკაციით არ ისჯება.

შეგახსენებთ, რომ დანიელი ველომრბოლი წლევანდელ ტურს დამაჯერებლად ლიდერობდა, მაგრამ შემდეგ ის თავისმა გუნდმა, ჰოლანდიურმა "რაბობანკმა" ასპარეზობიდან მოხსნა. ასეთი მკაცრი სასჯელის მიზეზი კი ტურის დაწყებამდე სამი დოპინგტესტის გაცდენა იყო. როგორც გაირკვა, რასმუსენმა ეს ტესტები იმის გამო გააცდინა, რომ მათ შესახებ გვიან შეიტყო, თავად კი ტესტების დროს მექსიკაში იმყოფებოდა. ტურის დროს კი, ერთ-ერთმა იტალიელმა ველომრბოლმა განაცხადა, იმ დროს, როცა რასმუსენი მექსიკაში უნდა ყოფილიყო, ის იტალიის ერთ-ერთ კურორტზე ვნახეო...

ᲛᲫᲚᲔᲠᲜᲝᲑᲐ

ᲞᲐᲣᲔᲚᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲓᲐᲣᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად დაამტკიცა 100 მეტრზე **ასაფა პაუელის** მსოფლიო რეკორდი. როგორც იცით, იტალიის ქალაქ რიეტიში გამართული ტურნირის ნახევარფინალში, იამაიკელმა ეს დისტანცია 9.74 წამში გაირბინა, ხოლო ფინალში 9.78 აჩვენა. პაუელმა 3 მესამედი წამით გააუმჯობესა მისი და ამერიკელი **ჯასტინ გეტლინის** მსოფლიო რეკორდი.

ᲞᲝᲙᲔᲠᲘ

ᲙᲠᲝᲡᲑᲘᲛ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲐᲮᲚᲐ

"პიტსბურგ პინგვინზის" ლიდერი **სიდნი კროსბი** ვარჯიშებს დაუბრუნდა. შეგახსენებთ, რომ 20 წლის ჰოკეისტმა ორშაბათს, საზარდულის ტკივილის გამო ყინული მიატოვა და ექიმების რჩევით, რამდენიმე დღე დაისვენა. კლუბის ხელმძღვანელთა განცხადებით, გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშე ჯანმრთელია და ის სრულ მზადყოფნაში შეხვდება ახალ რეგულარულ ჩემპიონატს.

ᲖᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ ᲧᲘᲜᲣᲚᲖᲔ

იტალიური კლუბის, "ასიაგოს" კანადელი ლეგიონერი **დარსი რობინსონი** ხუთშაბათს, იტალიის ლიგის პირველი ტურის მატჩის მსვლელობისას ყინულზე გარდაიცვალა. "ასიაგო" სეზონის პირველ შეხვედრაში "რენონს" ხვდებოდა.

პირველი პერიოდის დროს, 26 წლის კანადელი მოულოდნელად ყინულზე დაეცა. რობინსონი სასწრაფოდ კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზი ცნობილი არ არის.

29 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

I ᲐᲠᲮᲘ

16:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. სპარტაკიადერი (LIVE).
23:00 რაგბი. მსოფლიო თასი.. შოტლანდია-იტალია (LIVE).

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო ჯალები.
13:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
14:45 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი (LIVE).
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ფულჰემი (LIVE).
19:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
22:10 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-არსენალი (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-ბარსელონა (LIVE).

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

06:59 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კანზას სიტი-ლოს ანჯელესი.
08:42 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტურის მიმოხილვა.
09:42 ავტოსპორტი. ევროპის თასი. იალტის რალი.
10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტაილანდის ღია პირველობა. 1/2 ფინალი (LIVE).
14:15 სპორტის სამყარო.
14:45 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
15:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
15:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი (LIVE).
17:42 მინი-მოედანი.
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ლივერპული (LIVE).
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ინტერი (LIVE).
22:00 ავტოსპორტი. ევროპის თასი. იალტის რალი.
22:15 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბენფიკა-სპორტინგი (LIVE).
00:10 სპორტული ისტორია.
00:30 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
00:50 მინი-მოედანი.
01:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-ატ. მინეირო (LIVE).
03:05 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კანზას სიტი-ლოს ანჯელესი.
04:49 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰამბურგი.
06:33 სპორტდოსიე. ბეისბოლი.

EUROSPORT

10:30 ვეროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
11:30 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. შტუტგარტი. გერმანია.
14:45 მძლეოსნობა. ოქროს გრან-პრი, შანხაი. ჩინეთი.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ლუქსემბურგი (LIVE).
17:45 რალი. IRC-ის სერია. III დღე. იტალია (LIVE).
18:15 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. 23-ნლამდელები. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
20:00 მულტისპორტი.
20:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ლუქსემბურგი.
22:00 მულტისპორტი.
22:45 კიკბოქსინგი.
01:30 პრო-რესტლინგი.
03:00 სნუკერი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი. საფრანგეთი.
10:00 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. საფრანგეთი.
11:00 ახალი ამბები.
12:00 მულტისპორტი.
12:30 ვეროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 სერფინგი. საფრანგეთი.
14:00 ახალი ამბები.
14:15 ვეროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
14:45 სერფინგი. საფრანგეთი.
16:00 ჰოკეი.
17:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. ბრაზილია (LIVE).
18:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ლუქსემბურგი (LIVE).
20:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. რეიკიავიკი (ისლანდია)-გუმერსბახი (გერმანია) (LIVE).
21:30 ახალი ამბები.
22:30 ტაივანდო. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. მანჩესტერი. ინგლისი.
23:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ვალენსია. გერმანია.
00:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. რეიკიავიკი (ისლანდია)-გუმერსბახი (გერმანია).
01:00 სერფინგი. საფრანგეთი.
01:15 რალი. IRC-ის სერია. III დღე. იტალია.
01:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
02:30 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. საფრანგეთი.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. საფრანგეთი.
04:00 ახალი ამბები.
04:15 რალი. IRC-ის სერია. III დღე. იტალია.

30 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. ᲙᲕᲘᲠᲐ

I ᲐᲠᲮᲘ

16:00 რაგბი. მსოფლიო თასი. საფრანგეთი-საქართველო (LIVE).
19:00 რაგბი. მსოფლიო თასი. ირლანდია-იტალია (LIVE).

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ)

10:15 პორტუგალიის ჩემპიონატი. ბენფიკა-სპორტინგი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ლივერპული.
14:05 ესპანეთის ჩემპიონატი.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 ტოქ-შოუ - 2:1.
16:50 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ბაიერნი.
18:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მიდლსბრო (LIVE).
20:55 გერმანიის ჩემპიონატი. კოტბუსი-აინტრახტი.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეკრეატივო-ვალენსია (LIVE).
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:10 არგენტინის ჩემპიონატი.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

07:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი.
08:45 სპორტული ისტორია.
09:00 ფრენბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
11:03 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სეზონის წინ.
11:32 სპორტის სამყარო.
12:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტაილანდის ღია პირველობა. ფინალი (LIVE).
13:52 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი.
15:33 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-მანჩესტერ იუნაიტედი.
17:17 ფეხბურთი. სუდამერიკა [illegible]
17:40 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:00 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. [illegible] ნალი (LIVE).
19:55 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. დნეპრი-არსენალი. მატჩის შემდეგ.
20:06 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
20:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
21:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-რეალი (LIVE).
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეკრეატივო-ვალენსია (LIVE).
00:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ატალანტა.
02:45 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სეზონის წინ.
04:28 ფრენბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
06:31 სპორტდოსიე.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ვალენსია. გერმანია (LIVE).
12:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ვალენსია. გერმანია (LIVE).
12:45 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
16:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ფინალი. გერმანია-ბრაზილია. ჩინეთი (LIVE).
18:00 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
19:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. იტალია.
20:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ლუქსემბურგი.
22:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ფინალი. გერმანია-ბრაზილია. ჩინეთი.
23:45 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეეფურნალი.
00:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ფინალი. ქალები. ბრაზილია.
01:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ფინალი. მამაკაცები. ბრაზილია.
01:45 პროფესიული კრივი. ზემძიმე წონა.

EUROSPORT-2

10:00 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. საფრანგეთი.
12:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
12:30 სუპერსტოკი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია (LIVE).
14:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ვალენსია. გერმანია (LIVE).
14:45 ახალი ამბები.
15:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. რეიკიავიკი (ისლანდია)-გუმერსბახი (გერმანია).
16:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ლუბინი (პოლონეთი)-დრამენი (ნორვეგია).
16:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. იტალია.
17:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. იტალია (LIVE).
18:30 სუპერმოტო. იტალია (LIVE).
20:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. ბრაზილია.
21:00 ტაეკვონდო. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. მანჩესტერი. ინგლისი (LIVE).
22:00 ახალი ამბები.
22:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
00:30 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ვალენსია. გერმანია.
01:00 სერფინგი. საფრანგეთი.
01:15 ახალი ამბები.
01:30 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. რეიკიავიკი (ისლანდია)-გუმერსბახი (გერმანია).
02:30 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. საფრანგეთი.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. საფრანგეთი.

ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲠᲮᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

შალკე-პერტა	1:0

II ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲐ

ბორუსია (მ)-ალემანია	2:1
ოსნაბრიუკი-სტ. პაული	3:1
პადერბორნი-აუგსბურგი	1:1

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲚᲘᲗᲐ (ᲡᲐᲛ)

რეგენსბურგი-ქარლსრუე II	1:4
ინგოლშტადტი-ზანდჰაუზენი	0:0
ზიგენი-ბაიერნი II	1:1

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

აიაჩო-აიარი	0:3
ბულონი-რეიმსი	1:0
გენიონი-ლიბერნი	2:2
გინგამი-შამორუ	2:2
ნიორი-ბასტია	1:3
დიეონი-ბრესტი	2:2

ᲞᲝᲚᲜᲔᲗᲘ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

აელფორნი-ელეფონდი	3:1
ᲔᲛᲔᲜᲘ-ᲤᲝᲠᲒᲣᲜᲐ	1:1
ᲔᲜᲔᲓᲘᲙᲝᲜᲔᲜ II-ᲓᲝᲠᲓᲠᲔᲮᲘ	1:3
ᲝᲛᲜᲘᲕᲝᲠᲚᲓᲘ-ᲕᲔᲜᲔᲓᲘᲙᲘ	0:0
ᲐᲐᲠᲚᲔᲛᲘ-ᲠᲝᲡᲜᲔᲓᲚᲘ	1:1
ᲒᲐᲡᲙᲝᲜᲘᲡᲘ-ᲕᲝᲚᲝᲜᲔᲓᲘᲙᲘ	2:0

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

ᲒᲝᲜᲘᲡ-ᲒᲔᲜᲙᲘ	1:1

ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ᲑᲝᲚᲝ ᲒᲚᲘᲛᲒᲘ-ᲑᲠᲘᲜᲘ	2:0

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐ II-ᲑᲐᲓ ᲝᲡᲘ	2:1
ᲚᲘᲜᲪᲘᲜᲐᲣ-ᲨᲢᲣᲒᲐᲠᲢᲘ	3:0
ᲙᲐᲠᲜᲢᲔᲜᲘ-ᲒᲠᲐᲪᲘᲠᲜᲘ	1:2
ᲞᲐᲠᲜᲔᲚᲠᲘᲗᲘ-ᲨᲢᲣᲒᲐᲠᲢᲘ	1:4
ᲖᲐᲚᲪᲑᲣᲠᲒᲘ II-ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐ (Ლ)	2:1

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

ᲨᲔᲜᲔᲠᲑᲐᲩᲘ-ᲐᲜᲙᲐᲠᲐᲒᲘᲣᲯᲣ	2:0

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ᲑᲝᲚᲔᲛᲘᲐᲜᲘ-ᲡᲚᲘᲒᲝ	3:0
ᲑᲠᲘᲜ-ᲨᲔᲛᲠᲝᲙᲘ	გადაიდო
ᲓᲔᲠᲘ-ᲙᲝᲠᲙᲘ	1:2
ᲒᲐᲚᲕᲔᲗ-ᲡᲢ. ᲞᲐᲢᲠᲘ	0:1
ᲓᲣᲑᲚᲘᲜ-ᲣᲝᲢᲔᲠᲤᲝᲠᲓ	2:1
ᲚᲘᲜᲒᲤᲝᲠᲓ-ᲓᲠᲝᲰᲔᲓᲐ	1:2

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ

ᲡᲚᲐᲕᲘᲐ-ᲥᲚᲘᲜᲘ	7:1

ᲡᲚᲝᲕᲐ�კᲔᲗᲘ

ᲓᲣᲑᲜᲘᲪᲐ-ᲐᲠᲒᲔᲚᲘᲐ	1:3
ᲨᲔᲜᲯᲘ-ᲠᲣᲪᲔᲛᲑᲔᲠᲝᲙᲘ	2:3

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ

ᲛᲔᲒᲐᲚᲣᲠᲒᲘ (Დ)-ᲖᲐᲠᲘᲐ	1:0

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

ᲞᲝᲚᲝᲜᲘᲜᲐ-ᲖᲐᲒᲚᲔᲯᲔ	1:0
ᲚᲔᲒᲘᲐ-ᲑᲔᲚᲮᲐᲒᲝᲕᲘ	4:1

ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘ

ᲖᲐᲚᲐᲔᲒᲔᲠᲨᲔᲒᲘ-ᲕᲐᲨᲐᲨᲘ	3:3

ᲥᲐᲚᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ-ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ	85:63
ᲚᲐᲢᲕᲘᲐ-ᲚᲘᲗᲕᲐ	76:46
ᲩᲔᲩᲔᲗᲘ-ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ	47:54

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲯᲠ ᲝᲠᲒᲔᲯᲩᲘ-ᲠᲣᲐᲜᲘ	79:74

ᲞᲝᲚᲔᲗᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲘᲡᲑᲐᲠᲔᲜᲘ-ᲓᲣᲘᲡᲑᲣᲠᲒᲘ	3:1
ᲕᲝᲚᲤᲡᲑᲣᲠᲒᲘ-ᲓᲘᲣᲡᲔᲚᲓᲝᲠᲤᲘ	1:5
ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ-ᲘᲜᲒᲝᲚᲨᲢᲐᲓᲢᲘ	2:2
ᲙᲠᲔᲤᲔᲚᲓᲘ-ᲙᲝᲚᲝᲜᲘ	1:3
ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲘ-ᲦᲠᲐᲜᲔᲤᲣᲠᲒᲘ	0:2
ᲨᲢᲒᲐᲣᲑᲘᲜᲒᲘ-ᲛᲐᲜᲰᲔᲘᲛᲘ	1:3

ᲡᲚᲝᲕᲐ�კᲔᲗᲘ

ᲙᲔᲨᲐᲠᲝᲙᲘ-ᲞᲝᲠᲐᲚᲘ	3:2
ᲙᲝᲰᲘᲪᲔ-ᲖᲕᲝᲚᲔᲜᲘ	4:2
ᲡᲐᲚᲔᲜᲘᲪᲐ-ᲜᲘᲪᲠᲐ	2:1
ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ (ᲐᲮ)-ᲨᲐᲠᲒᲘᲜᲘ	0:2
ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘ-ᲨᲘᲠᲣᲚᲐᲨᲘ	10:2
ᲑᲠᲔᲜᲩᲘᲜᲘ-ᲥᲘᲚᲘᲜᲐ	4:3

ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐ

ᲐᲠᲐ-ᲡᲐᲠᲘᲐ	1:3

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ

ᲑᲠᲨᲘᲜᲔᲪᲘ-ᲥᲚᲘᲜᲘ	8:2
ᲖᲚᲝᲕᲘᲐ-ᲡᲚᲐᲕᲘᲐ	3:4
ᲙᲚᲐᲓᲜᲝ-ᲚᲐᲑᲔᲛᲘ	1:5
ᲑᲣᲓᲔᲘᲝᲕᲘᲪᲔ-ᲚᲘᲑᲔᲠᲔᲪᲘ	2:2 ᲞᲔᲜ. 3:2
ᲙᲐᲠᲚᲝᲕᲘ ᲕᲐᲠᲘ-ᲐᲚᲖᲔᲜᲘ	4:0
ᲡᲐᲐᲠᲐ-ᲕᲘᲪᲙᲝᲕᲘᲪᲔ	4:1

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

ᲐᲛᲒᲠᲘ-ᲠᲐᲐᲠᲡᲚᲘᲚᲘ	3:4
ᲑᲐᲠᲜᲘ-ᲡᲐᲠᲔᲚᲘ	2:2 ᲞᲔᲜ. 0:1
ᲓᲐᲕᲝᲡᲘ-ᲪᲣᲒᲘ	1:2
ᲙᲚᲝᲢᲔᲜᲘ-ᲑᲐᲖᲔᲚᲘ	2:1
ᲚᲐᲒᲜᲐᲣ-ᲤᲘᲠᲑᲣᲠᲒᲘ	3:1
ᲪᲘᲣᲠᲘᲩᲘ-ᲚᲣᲒᲐᲜᲝ	7:2

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ATP. ᲛᲣᲛᲑᲐᲘ

ნიემინენი-სანტორო	3:6, 4:6
გასკე-კუბეკი	6:2, 6:4
კიფერი-ო. როხუსი	1:6, 0:6
ჰიუიტი-შუტლერი	3:6, 5:7

ATP. ᲑᲐᲜᲒᲙᲝᲙᲘ

ტურსუნოვი-ვანგი	4:6, 6:2, 6:4
ბეკერი-მეფერტი	7:6, 7:5
ბერდიჩი-კარლოვიჩი	7:5, 6:4

WTA. ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘ

ზვონარევა-აზარენკა	6:1, 7:6
ჰანტუხოვა-შნიდერი	6:3, 5:7, 7:5
ჩაკვეტაძე-ბარტოლი	4:6, 6:4, 4:6
ივანოვიჩი-გოლოვინი	6:1, 6:2

WTA. ᲡᲔᲣᲚᲘ

მორიტა-პენეტა	1:6, 2:6
ვ. უილიამსი-დომაჩოვსკა	6:2, 6:3
კასტანიო-კირილენკო	3:6, 0:6

WTA. ᲒᲣᲐᲜᲒᲯᲝᲣ

რუანო პასკუალი-რაზანო	3:6, 1:6
მედინა გარიგესი-როდიონოვა	7:6, 5:7, 3:6
ციბულკოვა-მოლიკი	6:7, 6:1, 6:4

სკანდალი

მატჩების ჩაწყობა ჩოგბურთშიც მოსულა



სკანდალური განცხადება გააკეთა მსოფლიო კლასიფიკაციის მესამე ნომერმა, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**. ნლევანდელი სეზონის ერთ-ერთი გმირი ამბობს, რომ გასულ წელს, სანკტ პეტერბურგის ღია პირველობის წინ, მას ქრთამი შესთავაზეს: თუ ნოვაკი პირველი წრის მატჩს საკუთარი ნებით დათმობდა, ამის სანაცვლოდ 110 ათას ფუნტს მიიღებდა. სერბმა ამ გარიგებაზე კატეგორიული უარი განაცხადა და ტურნირზე გამგზავრება გადაიფიქრა.

ჯოკოვიჩის სიტყვებით ATP-ის ხელმძღვანელობა დაინტერესდა. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა განცხადებით, ისინი ჩაწყობილი მატჩების წინააღმდეგ მკაცრ ბრძოლას დაიწყებენ.

ერთი დღის შემდეგ, სერბის განცხადებას ორი ბელგიელი ჩოგბურთელი გამოეხმაურა, რომელთა თქმით, მატჩების დათმობის ნაცვლად, მათაც შეაძლიეს ქრთამი. კერძოდ, ამჟამად მსოფლიო კლასიფიკაციის 770-ე ჩოგბურთელს **ჟილ ელსნერს,** 2005 წლის უიმბლდონის პირველ წრეში იტალიელ **პოტიტო სტარაჩესთან** წაგების სანაცვლოდ, 100 ათასი ევროს დაპირდნენ. ხოლო ასევე ბელგიელი **დიკ ნორმანი** აცხადებს, რომ 7 წლის წინათ, ჩელენჯერის ერთ-ერთი ტურნირის მსვლელობისას მასაც ანალოგიური წინადადებით მიმართეს.

ასე რომ, ჩოგბურთში ახალი სკანდალი მწიფდება. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ, ATP-ის ხელმძღვანელთა დაინტერესება გამოიწვია სოპოტის ტურნირზე რუსი **ნიკოლაი დავიდენკოსა** და არგენტინელი **მარტინ ვასალო არგელოს** მატჩის შედეგმა. აუტსაიდერად მიჩნეულმა არგენტინელმა შეხვედრა მოიგო, ხოლო მის გამარჯვებაზე ტოტალიზატორებში შესული თანხის ოდენობა, ჩვეულებრივზე 10-ჯერ მეტი იყო. სწორედ ამან გამოიწვია ეჭვი.

ამ საქმესთან დაკავშირებით, ATP გამოძიებას აწარმოებს.

ჭადრაკი

მსოფლიო ჩემპიონატი

XII ტური. **გელფანდი** (ისრაელი)-**არონიანი** (სომხეთი) 1:0; **კრამნიკი** (რუსეთი)-**ლეკო** (უნგრეთი) - 1:0; **მოროზევიჩი** (რუსეთი)-**გრიშჩუკი** (რუსეთი) - 1:0; **ანანდი** (ინდოეთი)-**სვიდლერი** (რუსეთი) - 0.5:0.5.

სატურნირო მდგომარეობა: 1. **ანანდი** - 8 ქულა; 2. **გელფანდი** - 7; 3. **კრამნიკი** - 6.5; 4-6. **მოროზევიჩი, ლეკო, არონიანი** - 5.5; 7-8. **გრიშჩუკი, სვიდლერი** - 5.

კალათბურთი

სიგალასმა თამაში დაამთავრა

ცნობილმა ბერძენმა კალათბურთელმა **გიორგოს სიგალასმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. საგენტო "როიტერის" ცნობით, 36 წლის მოთამაშე ოფიციალურად თავის გადაწყვეტილებას ორშაბათს გამოაცხადებს.

სიგალასის საკლუბო კარიერის დიდი ნაწილი "ოლიმპიაკოსთან" იყო დაკავშირებული. რაც შეეხება საბერძნეთის ნაკრებს, აქ ის 2003 წლამდე თამაშობდა, სულ ეროვნული გუნდის მაისურით 185 მატჩი ჩაატარა და ერთი პირობა, მისი კაპიტანიც იყო.

ბელკმენი ოთხ კვირას გამოტოვებს

საწვრთნელი ბანაკების გახსნის წინ, დანაკლისი განიცადა "ნიუ იორკ ნიქსმა". ამ გუნდის ფორვარდმა **რენალდო ბელკმენმა** ფეხის ტრავმა მიიღო, რის გამოც მას დაახლოებით ოთხი კვირა მოუნევს დასვენება. ამ პერიოდის განმავლობაში, ბელკმენს სპეციალური ფეხსაცმლის ტარება მოუწევს.

შარშან, მისთვის სადებიუტო სეზონში, კალათბურთელი საშუალოდ მატჩში 4.9 ქულასა და 4.3 მოხსნას აგროვებდა. როგორც ვარაუდობენ, ბელკმენი მთლიანად გამოტოვებს საწვრთნელ შეკრებას.

ბუზერი შეკრებას ვერ დაიწყებს

უფრო მნიშვნელოვანია "იუტა ჯაზის" დანაკლისი. პირველი ოქტომბრისთვის საწვრთნელ შეკრებაზე ვერ გამოცხადდება გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **კარლოს ბუზერი**. საქმე ისაა, რომ კალათბურთელის სამიდან ერთ-ერთ შვილს, ძვლის ტვინის გადანერგვის ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს.

კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე წერია, რომ "იუტას" ხელმძღვანელობა გაგებით ეკიდება ბუზერის გადაწყვეტილებას. კალათბურთელი აპირებს, მხოლოდ მაშინ შეუერთდეს გუნდს, როცა მისი შვილის მდგომარეობა სტაბილური გახდება და მას შინ გაუშვებენ.

ფორმულა 1

როსბერგი 10 ადგილით უკან დაიხევს

კვირას გასამართი იაპონიის გრან-პრის წინ ცნობილი ხდება, რომ "უილიამსის" პილოტი **ნიკო როსბერგი** კვირას, რბოლის დღეს, სასტარტო ბილიკზე ათი ადგილით დაიწევს უკან იმ პოზიციასთან შედარებით, რომელსაც გერმანელი პილოტი შაბათს, კვალიფიციკაციის დროს დაიკავებს.

"უილიამსის" ხელმძღვანელობამ საკუთარ ვებ-გვერდზე გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პირველი თავისუფალი პრაქტიკის შემდეგ, გუნდის ინჟინრები იძულებულნი გახდნენ, როსბერგის ბოლიდისთვის ძრავა შეეცვალათ.

შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა პილოტი ბოლო ოთხი რბოლისას, მუდმივად ქულათა ზონაში შედიოდა.

ჩოგბურთი

დევისის თასის წილისყრა

ლონდონში 2008 წლის დევისის თასის პირველი ეტაპის წილისყრა გაიმართა. მსოფლიო ჯგუფის 16 ნაკრები მერვედფინალში ასე დაწყვილდა:

ბელგია-ჩეხეთი, არგენტინა-ბრიტანეთი, შვედეთი-ისრაელი, სამხრეთ კორეა-გერმანია, პერუ-ესპანეთი, რუმინეთი-საფრანგეთი, ავსტრია-აშშ, რუსეთი-სერბეთი.

მატჩები თებერვალში, პირველად დასახელებული ქვეყნების მოედნებზე გაიმართება.

შანხაის ტურნირი

შანხაიში ჩემპიონები დამარცხდნენ

წარუმატებელი გამოდგა ჩინეთის მიწაზე მსოფლიოს ჩემპიონ **ტაისონ გაის** დებიუტი. შანხაის ოქროს დიდ პრიზზე მან ამ სეზონში პირველი მარცხი იწვნია და რაც ასევე მნიშვნელოვანია, პირველად ვერ შეძლო ათწამიანი ზღვრის გადალახვა. გაის მსგავსად, კრახი განიცადა ჩინელმა სუპერვასარკვლავმა, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა და მსოფლიოს რეკორდსმენმა **ლიუ სიანმა**.

გაიმ, ვინც ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს სამი მედალი მოიპოვა, ას მეტრზე სპრინტში კარგი სტარტი აიღო და თითქოს, ფინიშთან მისი მიმსწრებიც არავინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბოლო ოც მეტრზე მას თანაგუნდელმა და მეგობარმა, **უოლეს სპირმონმა** გაასწრო. გამარჯვებულის შედეგია 9.96 წამი, გაიმ კი ამჯერად ფინიშის ხაზი 10.02 წამში გადაკვეთა.

"ჩემი გამოსვლით გახარებული ვარ. შარშან, ამ ბილიკზე, კარიერის რეკორდი გავაუმჯობესე. ამჯერადაც იგივე შევძელი და თანაც, უკან მსოფლიოს ჩემპიონი მოვიტოვე", - განაცხადა სპირმონმა. რაც შეეხება გაის, მან თქვა, რომ ოსაკას შემდეგ ბევრი არ უვარჯიშია და ამდენად, ჩვეულ ფორმაში არ იყო. თანაც, უოლესმაც შესანიშნავად იასპარეზაო.

სხვათა შორის, შანხაიში ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოს რეკორდსმენმა, იამაიკელმა **ასაფა პაუელმაც** იასპარეზა, თუმცა ამჯერად ის ორას მეტრზე სპრინტში გამოვიდა. როგორც თავად განაცხადა, მას გაისთან დაპირისპირება სურდა, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორებმა ეს სურვილი არ შეუსრულეს.

პაუელმა, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატიდან ერთ კვირაში, იტალიის ქალაქ რიეტიში გამოსვლისას, მსოფლიოს რეკორდი განაახლა (9.74 წამი), ორას მეტრზეც წინ არავინ გაუშვა, ფინიშამდე მისაღწევად კი მხოლოდ ოცი წამი დასჭირდა, რაც ოდნავ მეტია მის საკარიერო რეკორდზე. ნაფინიშევს კი თავისი გამოსვლით უკმაყოფილო იყო: შორ მანძილზე ფრენით ძალიან დავიღალე და გარწმუნებთ, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა ვერ შეგძელიო.

მას შემდეგ, რაც 110 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა, სიანმა, ვინც წარმოშობით შანხაელია, ჩინეთში პირველად იასპარეზა და ბუნებრივია, შანხაელი მაყურებელი მის გამოსვლას მოუთმენლად ელოდა. მაგრამ ლიუმ წინდაწინვე განაცხადა, ჩემგან გადასარევ შედეგს ნუ ელითო და სიტყვაც შეასრულა.

ჩინელმა მისთვის შეუფერებლად, ნელი სტარტი აიღო და მერე ფინიშამდე ვეღარ შეძლო ჩამორჩენის აღმოფხვრა. სამაგიეროდ, შესანიშნავად იასპარეზა კუბელმა **დაირონ რობლესმა**, ვინც სტარტზევე ხელთ იგდო ლიდერობა და ბოლომდე წინ არავინ გაუშვია. გამარჯვებულის შედეგი - 13.01 წამი, საკმაოდ ახლოსაა ლიუს მსოფლიო რეკორდთან (12.88 წამი). ჩინელი თარჯმრბენი მესამე ადგილს დასჯერდა. მასა და გამარჯვებულს შორის კი ამერიკელი **ანვარ მური** ჩადგა.

ნაფინიშევს ლიუმ თავისი უხეირო გამოსვლა თავისივე სიზარმაცეს დააბრალა: *"ოსაკას შემდეგ სავარჯიშო რეჟიმი შევიმსუბუქე. რობლესი კი ფორმის პიკში იმყოფება. რა თქმა უნდა, მოგება მაინც ძალიან მინდოდა, მე ხომ ჩემი ქალაქის სტადიონზე გამოვდიოდი. მაგრამ ამჯერად ჩემი ქომაგის გახარება ვერ შევძელი",* - ნაფინიშევს განაცხადა ლიუმ.

ლიუსა და გაისგან განსხვავებით, კვლავ შეუდარებელი იყო 400 მეტრზე მორბენალი ამერიკელი, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი **ჯერემი უონინერი**. ფინიშამდე მისაღწევად მან 44.02 წამი იმყოფინა. მან წამზე მეტით მოიტოვა უკან თანაგუნდელი **ანჯელო ტეილორი** და კანადელი **ტაილერ კრისტოფერი**.

საშუალო დისტანციების (10 000m და 5 000 მეტრი) სპეციალისტმა, ეთიოპიელმა კენენისა ბეკელემ ამჯერად რატომღაც, 1 500 მეტრზე იასპარეზა და წააგო. თუმცა, მისი ეს მარცხი არც იყო გასაკვირი. მას კენიელმა **დანიელ კიპჩირჩირმა** აჯობა.

ქალთა შორის ას მეტრზე სპრინტში ბადალი არ ჰყავდა იამაიკელ **ვერონიკა კემპბელს,** ვინც ფინიშის ხაზი 10.90 წამში გადაკვეთა და მხოლოდ 0.07 წამით აჯობა ამერიკელ **სანია რიჩარდსს,** ვისი ფავორიტი დისტანციაც 400 მეტრია და ამდენად, შანხაიში დაკავებული მეორე ადგილი მისთვის წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ქალთა შორის 400 მეტრზე თარჯრბენში კვლავ საუკეთესო იყო ავსტრალიელი მსოფლიო ჩემპიონი **იანა რაულინსონი**. რაულინსონმა სულ რაღაც ხუთი თვის წინათ იმშობიარა, ოსაკაში კი მსოფლიო ჩემპიონი გახდა და ახლაც ყველაზე სწრაფი იყო.

ქალთა ჭოკით ხტომაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება რუსმა **ელენა ისინბაევამ** მოიპოვა, ვინც დაძაბულ პაექრობაში ამჯერად თანამემამულე **სვეტლანა ფეოფანოვას** აჯობა. გამარჯვება რომ გაინაღდა (4.83 მეტრზე გადახტომით), ისინბაევამ მსოფლიო რეკორდის დამყარებაც განიზრახა და თამასა 5.02 მეტრზე დაადებინა; მაგრამ ისევე, როგორც მთელი სეზონის განმავლობაში, ამჯერადაც ხელი მოეცარა.

მასავით რეკორდს შეეჭიდა სიმაღლეზე მხტომელი მსოფლიოს ხორვატი ჩემპიონი **ბლანკა ვლასიჩიც**, ვინც გამარჯვება 2.02 მეტრზე გადახტომით გაინაღდა, შემდეგ კი თამასა 2.10 მეტრამდე აანევინა. მაგრამ ისინბაევას მსგავსად, მიზანს მანაც ვერ მიაღწია. არადა, ასპარეზობის დროს ისე ჩანდა, რომ მას რეკორდის გაუმჯობესება შეეძლო. როგორც ჩანს, როცა საქმე რეკორდზე მიდგება ხოლმე, ხორვატი ზედმეტად ნერვიულობს, რაც მას თავის შესაძლებლობათა გამოვლენაში უშლის ხელს. ყოველ შემთხვევაში, მთელი სეზონის განმავლობაში სწორედ ასე ხდებოდა...

მერაბ ლორთქიფანიძე

ლიუ სიანს (მარცხნივ) ფინიშთან კუბელმა დაირონ რობლესმა (მარჯვნივ) მიასწრო

ქრონიკული სპორტული გაზეთი

განახლებულია
ბადრი პატარკაციშვილის
ხელშენყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბაიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეიშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილავიანი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაგაიძე,
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახვლედიანის 10³,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98,
46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. გარდა კვირისა